ეუთო-ს დახმარება და რჩევები A8 | "თქვენი აფხაზეთი" A6 | დოსიე B6

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 17 მარტი, 2004 წელი. №64 (613)
ფასი 50 თეთრი

# ცენტრი მუქარას ასრულებს

## ეკონომიკური ბლოკადა ამოქმედდა

*საქართველოს ხელისუფლებამ მუქარის ასრულება რეალურად დაიწყო. მიუხედავად სააკაშვილის მკვეთრი განცხადებებისა, საქართველოში და მის ფარგლებს მიღმაც ცოტას თუ სჯეროდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ მუქარის ასრულებას გარისკავდა და შეძლებდა. ცენტრმა სანქციების ამოქმედება მოახერხა. გადაწყვეტილება, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, მართლაც ძალიან მძიმეა, თუმცა, როგორც იგივე ეკონომისტებიც ადასტურებენ, პოლიტიკურად და შესაძლო შედეგის თვალსაზრისით, იგი გამართლებულია. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეკონომიკურ ბლოკადას, რომელიც ცენტრმა აბაშიძის ხელისუფლებას გამოუცხადა, უკვე მოაქვს თავისი კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური შედეგები:*

თამარ ხორბალაძე
ეთერ მამულაშვილი

### საზღვაო ბანკს ლიცენზია შეუჩერდა

გუშინ საქართველოს ეროვნული ბანკი ბათუმის ფილიალიდან ნაღდი ფულის გამოტანას ცდილობდა. აჭარაში ბანკის ფილიალს ამის თაობაზე მითითება გუშინ დილით მიეცა.

ამასთან, ეროვნულმა ბანკმა პრეზიდენტის ბრძანებაც შეასრულა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განთავსებულ კომერციულ ბანკებს ანგარიშსწორების შეჩერება მოსთხოვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პროვოკაცია და სეპარატიზმის წაქეზება

გუშინ "კავკასიურ სახლში" ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა და სამშვიდობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აჭარაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატეს. ქართველი ინტელიგენცია აჭარის ხელისუფლების მოქმედებას კონსტიტუციის უხეშ დარღვევას უწოდებს.

როგორია კონფლიქტიდან გამოსასვლელი გზა? მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე გადამჭრელი ზომების მიღების მომხრეა: **"უნდათ, კიდევ ერთხელ მოგვეჭრას თავი მსოფლიოსთან, რომ, აი, აფხაზეთში რაც ხდებოდა, ისევ იგივე დღეში არიან,"** – აცხადებს ცნობილი მსახიობი.

საკმაოდ ემოციური იყო გუშინ ვახუშტი კოტეტიშვილის განცხადება: **"ეს არის ავადმყოფი კაცი, ქონდრისკაცური მანია გრანდიოზათი შეპყრობილი, და ამ კაცს ეწირება მთელი საქართველო".**

გაგრძელება A8 გვერდზე



*დავით მაღრაძე, ნაირა გელაშვილი, გიორგი ლობჟანიძე.*

# ვშიშობ, სანქციები დაგვიანებული არ იყოს

მაია ჭალაგანიძე

*წინა პრეზიდენტის მიერ შეწყალებული და აბაშიძისგან შერისხული თენგიზ ასანიძისგან ლევან ქიძინიძე მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ის ოთხ კედელს არ უყურებს და უცხო ქვეყანაში ცხოვრობს. ოდესღაც აჭარის ოფიციალურ მილიონერად აღიარებული ბიზნესმენი დღეს "დემოკრატიული სიმართლის პარტიის" თავჯდომარეა და მოთმინებით ელის დროს, როდესაც ახალი ხელისუფლება მოიცლის და დააყენებს იმ ბიზნესმენების საკითხს, რომლებიც აბაშიძის ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ გაასწორა მიწასთან, რომ ფულს ბიუჯეტს უხდიდნენ და არა რეჟიმს.*

*ქიძინიძე ასლან აბაშიძის დავალებით ბათუმის პორტში საკუთარი ხელით ტვირთავდა კონფლიქტის დროს აფხაზეთში გასაგზავნ "ჰუმანიტარულ ტვირთს", ოღონდ, არ იცოდა, რომ ის სეპარატისტებისთვის იყო განკუთვნილი... ამჯერად ჩვენი საუბარი აფხაზეთს არ შეხებია, ეს წინ არის. უბრალოდ, შეგახსენებთ, ეს ის ქიძინიძეა, რომელიც ორიოდე დღის წინ "ღამის კურიერში" აცხადებდა, რომ ასლან აბაშიძე ჟიული შარტავას დახვრეტას ესწრებოდა და ამის ამსახველი ფირიც არსებობსო.*

*თუმცა, ჩვენი საუბარი არანაკლებ მძიმე თემებს შეეხო. თემებს, რომელიც შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმებმა ერთად შექმნეს. ამის გამოსასწორებლად დღეს ხელისუფლებას ხშირად არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა უხდება, რაც მოსახლეობისგან უკვე გამოცხადებულ ნდობას უქადის საფრთხეს. თუმცა, ქვეყანას, რომელიც 12 წლის განმავლობაში სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა, საუბედუროდ, მხოლოდ პოპულარული ნაბიჯებითა და კაზუისტიკით მაკიაველიც ვერ გამოასწორებს.*

გაგრძელება B1 გვერდზე

# გრიგორი ლუჩანსკი

## წარმატებული ბიზნესმენი თუ საერთაშორისო დამნაშავე?

ლევან ღირსიაშვილი

*რამდენიმე ხნის წინ, "რუსთავი-2"-ის სიუჟეტმა მოსკოვში ასლან აბაშიძის და გრიგორი ლუჩანსკის სასახლეების თაობაზე, აჭარის ლიდერის და მისი მეგობრის აღშფოთება გამოიწვია. თუკი ასლან აბაშიძის პიროვნება ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, საზოგადოებას ძალზე მწირი წარმოდგენა აქვს მისი მეგობრის - ბიზნესმენ გრიგორი ლუჩანსკის შესახებ. "24 საათი" შეეცადა, თავის მკითხველისათვის მიეწოდებინა ობიექტური ინფორმაცია "აჭარის ლომის" უახლოესი მეგობრის შესახებ, ანუ "მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ." ამჟამად, გრიგორი ლუჩანსკი ბათუმში, თავისი მეგობრის მხარდასაჭერად ჩავიდა. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ვინ არის ასლან აბაშიძის უახლოესი მეგობარი და რა მიზნები უნდა ამოძრავებდეს მას აჭარაში. ქვემოთ მოყვანილი მასალა ეყრდნობა როგორც ღია წყაროებს, ასევე ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა სახის ინფორმაციებსაც.*

გაგრძელება B6 გვერდზე



*გრიგორი ლუჩანსკი.*

## პოლიტიკა

### არჩევნებზე სასამართლო კონტროლი უნდა გაძლიერდეს

ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სხდომა დასრულებულია. ამ სხდომაზე საქართველოსთვის საინტერესო ის ხდებოდა, რომ ოფიციალურად გადმოგვეცა "ვენეციის კომისიის" დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

A3

## ეკონომიკა

### ენერგოდეფიციტი და არა ბლოკადა

ენერგოკრიზისი მწვავდება. დეფიციტის გამო, საქართველოს რეგიონებს ელექტროენერგია მკაცრი გრაფიკით მიეწოდება, ზოგიერთი რაიონი კი, სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების ჩათვლით, საერთოდ გამორთულია.

A4

## უცხოეთი

### კოლინ პაუელი სამხრეთ-აზიურ ტურნეს იწყებს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გუშინ აზიური ტურნე ინდოეთში ვიზიტით დაიწყო. ვიზიტის ძირითადი მიზანი ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარება და ქაშმირის საკითხია.

A5

## სამართალი

### სისასტიკით ცნობილი კრიმინალი უშიშროების სპეცრაზმმა დააკავა

"შიდა ქართლში ლეკიანობაა!" - შიდა ქართლში არსებული ურთულესი კრიმინოგენური სიტუაცია რეგიონის მოსახლეობამ რამდენიმე თვის წინ ასე შეაფასა. მკვლელობებით, ძარცვა-ყაჩაღობით, ადამიანისა და მანქანების გატაცებით შეწუხებულმა მოსახლეობამ არაერთხელ მოაწყო საპროტესტო აქციები და ხელისუფლებას მათი არსებობა შეახსენა.

A7

## პოლიტიკა

### "ჩვენი აჭარა" აჭარის კრიზისს ეხმიანება

მოძრაობა "ჩვენი აჭარა" მომხრეა, რომ აჭარის კრიზისი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, მაგრამ, როგორც მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ედვარდ სურმანიძე აცხადებს, ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის შელახვის ხარჯზე.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 10 |
| ბათუმი | 9 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 11 |
| თელავი | 3 |
| ზუგდიდი | 11 |
| გორი | 3 |
| ახმეტა | 5 |
| ჭიათურა | 6 |
| გაგრა | 10 |
| სამტრედია | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0400 |
| ევრო | 2.5155 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6934 |
| რუბლი | 0.0715 |

# რა რაოდენობის სამხედრო ძალაა კონცენტრირებული აჭარაში

მინდია დავითური

*მესამე დღეა, მთელი საქართველო დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან შექმნილ ვითარებას, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში ნელ-ნელა ფრონტის ხაზთან ასოცირდება. თანაც, თუ ანალოგიებს გავყვებით, აჭარის ხელისუფლება დღეს ბევრად მეტ შეიარაღებას ფლობს, ვიდრე აფხაზი სეპარატისტები ფლობდნენ 1992-1993 წლებში.*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საკუთარი მომხრეებისგან თავდაცვითი რაზმების ჩამოყალიბება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო. მაშინ ჯერ კიდევ პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე არ მალავდა, რომ მისი მთავარი მიზანი იყო, წინ აღდგომოდა "ნაციონალურ მოძრაობას" და მის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აჭარელ მაღალჩინოსნებს იმუნიტეტი მოეხსნათ

თამარ კაციტაძე

*როდის და რა ფორმით დასრულდება ბოლო პერიოდში აჭარის ხელმძღვანელობასა და ცენტრს შორის უკიდურესად დაძაბული მდგომარეობა, მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ფაქტია, აჭარის მაღალჩინოსნების მიმართ წლების მანძილზე არაოფიციალურად დაკანონებული იმუნიტეტი მოხსნილია. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სამართლებრივი ბერკეტები აამოქმედა და დანაშაულში მხილებული იმ აჭარელი მაღალჩინოსნების გვარები დაასახელა, რომლებიც დღეიდან ბრალდებულთა ნუსხაში ფიგურირებენ. ვინ - ვინ და, ირაკლი ოქრუაშვილს რომ ხუმრობა არ უყვარს, უკვე დიდი ხანია, დავრწმუნდით.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# ლუჟკოვის ვიზიტის სხვა მიზნები

**"მოსკოვის მერი დიპლომატიურ სტაჟირებას იწყებს,"** – ასეთი სტატიით ეხმაურება ინტერნეტგამოცემა "გაზეტა.რუ" იური ლუჟკოვის ვიზიტს ბათუმში. "საჭირო დროს საჭირო ადგილას" - ეს გამოთქმა, სტატიის ავტორის აზრით, თანაბრად ესადაგება ყველა პროფესიის ადამიანს, იქნება ეს პოლიტიკოსი, მეწარმე თუ პროფესიონალი ავანტიურისტი. ამასთან, სტატიაში არაა დაკონკრეტებული, თუ რომელ სფეროში საქმიანობს მოსკოვის მერი; სავარაუდოა, რომ სამივეში.

ლუჟკოვი თურქეთის გავლით აჭარაში ჩავიდა. სტატია ლუჟკოვის ვიზიტის რამდენიმე "მიზეზს" ასახელებს. უპირველეს ყოვლისა, მას დიდი ხანია, რაც თავისი მეგობარი არ უნახავს. მოსკოვში აბაშიძის ბოლო ვიზიტიდან ხომ უკვე დიდი დრო, რამდენიმე საათი გავიდა. მიზეზი მეორე: როგორც აბაშიძე ამბობს, მოსკოვში გახშირებული ვიზიტების მიზანი არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური, უფრო ზუსტად - საყოფაცხოვრებო ხასიათის იყო. აბაშიძეს მოსკოვში ტროლეიბუსების შეძენა სურდა. მოსკოვისათვის კი ეს იმდენად მნიშვნელოვანი კონტრაქტია, რომ ქალაქის თავს იგი მუდმივ კონტროლზე აქვს აყვანილი.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პროექტი | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 დოსიე | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ბატონო ასლან!

მოგმართავთ ახალგაზრდობის იმ ნაწილის სახელით, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენს რეგიონში მიმდინარე პროცესები მიმართულია საქართველოს ერთიანობისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. იმ რეჟიმის პირობებში, რომელსაც თქვენ ქმნიდით მრავალი წლის განმავლობაში, შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. კარგად მოგეხსენებათ, ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის განმსაზღვრელი სწორედაც რომ არჩევნები გახლავთ. ჩვენი მოთხოვნაა, უკანონო შეიარაღებული რაზმების განიარაღება და ოპოზიციური ძალებისათვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა არჩევნებისთვის. ვფიქრობთ, რომ ამა წლის 14 მარტს ჩოლოქთან განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო ის, რომ თქვენში აბსოლუტურად მკვდარია გენეტიკური თავმოყვარეობა, რომელიც მემედ და იბრაიმ აბაშიძეების შთამომავალს უნდა გქონოდათ. თუმცა, მადლობა ღმერთს, ვერ მოახერხეთ ხელისუფლებისა და მოსახლეობის დაშანტაჟება. საქართველოს პრეზიდენტის გონივრული ნაბიჯით ავიშორეთ სისხლის ღვრა, რომელიც თქვენ ასე გწყუროდათ, რათა საბოლოოდ მოგეხდინათ აჭარის საკუთარ სამფლობელოდ გამოცხადება. გვინდა "გახაროთ", რომ აჭარის ახალგაზრდობა სულაც არ ვფიქრობთ ასე. აჭარა არა თქვენი კლანის სამფლობელო, არამედ საქართველოს განუყოფელი ნაწილი და საამაყო კუთხეა.

28 მარტს მიეცით მოსახლეობას საშუალება, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე გააკეთოს თავისი არჩევანი. ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აჭარა მალე ჩადგეს იმ ფერხულში, რომელსაც ერთიანი საქართველოს ინტეგრაცია ჰქვია, ცივილიზებულ დემოკრატიულ სივრცეში.

*ახალგაზრდული კომიტეტი*
*თბილისი, 2004 წ.*

# აბაშიძე ჯორჯ ბუშს დახმარებას სთხოვს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს მიმართა თხოვნით, აჭარაში სისხლისღვრა არ დაუშვას. თეთრ სახლში გაგზავნილ წერილში ასლან აბაშიძე ჯორჯ ბუშს ასევე სთხოვს, თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად "თავისი შესაძლებლობები გამოიყენოს".

ამასობაში, აჭარაში მყოფმა რუსეთის მერმა იური ლუჟკოვმა შუამავლის როლის შესრულებაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, "ისინი აქ ასლან აბაშიძესთან, როგორც ახლობელთან ჩამოვიდნენ". ლუჟკოვთან ერთად ბათუმში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ვიქტორ ალქსნისი და ანდრეი საველიევი ჩავიდნენ. ალქსნისმა განაცხადა, რომ "რუსეთი აჭარაში მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებულია". "რუსეთისთვის სულ ერთი არ არის, რა ხდება აჭარაში და არა მარტო მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ აჭარაში ჩვენი თანამემამულეები და ჩვენი სამხედროები იმყოფებიან და ისინი უნებლიეთ ჩათრეულები აღმოჩნდებიან ამ პროცესებში," - განმარტა მან.

*ინტერ-პრესი*

# თურქეთის საელჩოს განცხადება

**თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არსებული დაძაბულობის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად,** - ნათქვამია საქართველოში თურქეთის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. თურქეთი ელოდება, რომ საქართველოს მთავრობასა და აჭარის ხელმძღვანელობას შორის ბოლო დღეებში წარმოქმნილი დაძაბულობა განიმუხტება მხარეების ჯანსაღი და კეთილგონივრული პოზიციების შედეგად, საქართველოში დიდი წარმატებით მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის თანმხვედრი მშვიდობიანი მეთოდებით. თურქეთი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საზღვრის მეორე მხარეს განვითარებულ მოვლენებს და იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სტაბილურობას და ქართველი ხალხის კეთილდღეობას", - აცხადებენ თურქი დიპლომატები.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ვილაიათ გულიევი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობას შესწევს უნარი, დამოუკიდებლად მოაგვაროს უთანხმოება აჭარის ავტონომიასთან. "საქართველოში მიმდინარე პროცესები ამ ქვეყნის შიდა საქმეა და მასში რომელიმე მესამე მხარის ჩარევის აუცილებლობა არ არსებობს", – განაცხადა გულიევმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის უნივერსიტეტის ათმა სტუდენტმა სამშაბათს უნივერსიტეტის შენობაში კვლავ განაახლა შიმშილობის აქცია თბილისსა და ბათუმს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის და ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღების მოთხოვნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ გოგიტიძე ამტკიცებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება, ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯარების შემოყვანის მიზნით, პროვოკაციებს ამზადებს. მისი თქმით, გარკვეულ ჯგუფებს აჭარაში ოპოზიციური პარტიის ლიდერის ან სტუდენტის ლიკვიდაციის დავალება აქვთ მიცემული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩოვი აცხადებს, რომ მოსკოვი საქართველოს ფეოდალურ სამთავროებად დაშლით დაინტერესებული არ არის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" შეშფოთებას გამოთქვამს აჭარის მხრიდან უკანონო ფორმირებების მიერ ჩოლოქის გამშვებ პუნქტთან გზის გადაკეტვის გამო. როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ჩოლოქთან უკანონო ფორმირებების მიერ გზის გადაკეტვა შეურაცხმყოფელია საქართველოს კონსტიტუციის, ქართული სახელმწიფოსა და მისი თითოეული მოქალაქისათვის". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის საზღვაო პორტის ბლოკირების პირობებში, ფოთის პორტს შეუძლია მიიღოს ყველა ტვირთი და სრული დატვირთვით იმუშაოს", - აცხადებს ფოთის ყოფილი და თბილისის ამჟამინდელი მერი ვანო ზოდელავა. თუმცა, ეეჭვება, რომ აჭარაზე დაკისრებული ფინანსური სანქციები დიდ ეფექტს გამოიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საპატრიარქო მედიას აჭარაში შექმნილი ვითარების ობიექტურად გაშუქებას სთხოვს. გუშინ საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა სხვა ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებმა, კერძოდ კი - რუსეთისამ, ობიექტურად გააშუქონ საქართველოში მიმდინარე მოვლენები და გარკვევით აღნიშნონ, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი**. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო შენაერთები ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდნენ. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროების საბჭოს მდივნის ჯემალ ქარქუსოვის განცხადებით, განკარგულება ამის შესახებ ედუარდ კოკოევმა აჭარაში შექმნილი რთული ვითარების გამო გამოსცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს და თურქეთის ტერიტორიებზე კონტრაბანდული ტვირთბრუნვის წინააღმდეგ და თურქეთიდან საქართველოში არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის მეთოდების დასახვეწად, საქართველო-თურქეთის საზღვრის სამხრეთ მონაკვეთზე დღეიდან ერთობლივი სამდღიანი წვრთნები დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საჰაერო სივრცის, საზღვრისა და პორტის დახურვა, სახელმწიფო ორგანოთა ანგარიშების გაყინვა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა პრეზიდენტს არ აქვს უფლება, სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშები გაყინოს იმ მოტივით, რომ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს რეგიონს, სადაც ეს ფირმებია რეგისტრირებული, - აცხადებს პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე. **მედია-ნიუსი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 93

*2004 წლის 15 მარტი ქ. თბილისი*

დ. კეზერაშვილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს დავით კეზერაშვილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსის თანამდებობაზე "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 224

*2004 წლის 15 მარტი ქ. თბილისი*

სალომე ზურაბიშვილი-კაშიასათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთის მოქალაქის სალომე ზურაბიშვილი-კაშიასათვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ ორ კვირაში უზრუნველყონ საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება № 3

*2004 წლის 13 მარტი ქ. თბილისი*

სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებათა განხორციელებისა და ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად სახელმწიფო ხაზინაში სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეფორმის დანერგვის მიზნით:

1. სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგება და ანგარიშსწორება განხორციელდეს 2004 წლის 5 აპრილიდან.

2. 2004 წლის 5 აპრილიდან საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება განხორციელდეს ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან.

3. დამტკიცდეს "სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებათა შესახებ და ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" თანდართული ინსტრუქცია.

4. ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს (ი. მანაგაძე) შეიმუშაოს საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების განხორციელების დროითი გრაფიკი იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) კომერციულმა ბანკებმა უზრუნველყონ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების სრული განთავსება ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშებზე, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე;

ბ) სახელმწიფო ხაზინიდან მიღებულ საგადახდო დავალებათა საფუძველზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს ოპერაციები ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან;

გ) კომერციულ ბანკში ან მის ფილიალში განთავსებული სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად ჩაირიცხოს ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშებზე;

დ) საგადასახადო დავალების მიღებისას ბანკი მასზე უთითებს საგადასახადო დავალების ბანკში მიღების თარიღს და ასლს გადასცემს გადამხდელს;

ე) საგადასახადო დავალების ბანკში მიღებისა და გატარების თარიღები აგრეთვე მითითებულ უნდა იქნეს საგადასახადო დავალების ელექტრონულ ფორმატზე;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკი 17.00 საათამდე სახელმწიფო ხაზინას ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო და ერთიანი ანგარიშების ამონაწერებსა და საგადასახადო საბუთებს გადასცემს ელექტრონული სახით.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი):

ა) 2004 წლის 18 მარტამდე დაამტკიცოს ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები ბიუჯეტის შემოსავლების და დეფიციტის დაფინანსების წყაროების კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) 2004 წლის 26 მარტამდე უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელების და იმ დაწესებულებების, რომლებიც კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული ფუნქციების შესრულებისას ახორციელებენ არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზებას, ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშებისა და ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების შესახებ ინფორმირება, რომლებიც გადახდის დროს აუცილებლად მითითებულ უნდა იქნეს საგადასახადო დავალებაზე ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდის ველში;

გ) სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებასთან და ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული ოპერაციების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემის წინა საბანკო დღეს განახორციელოს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებში არსებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და სადეპოზიტო ანგარიშების დახურვა და ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესაბამის ანგარიშებზე გადატანა.

6. თანდართული ინსტრუქცია ძალაში შევიდეს 2004 წლის 5 აპრილიდან.

7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2004 წლის № 3 დადგენილებით ინსტრუქცია

*2004 წლის 13 მარტი ქ. თბილისი*

სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებათა შესახებ და ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ.

კარი I. სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგება და ანგარიშსწორება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სხვა განმთავსებლები - საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხო ქვეყნის მთავრობები, სხვა პირები;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების მართვა - სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

გ) ფინანსური ოპერაცია - შემოსავლის, გრანტის ან დეფიციტის დასაფინანსებლად სახსრების მიღება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის საბანკო ანგარიშიდან ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვა-გადარიცხვა ფულადი სახსრების ფაქტიური მიღების საფუძველზე;

დ) სახსრების მფლობელი - ცენტრალური ბიუჯეტი, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო საგზაო ფონდი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები.

თავი II. ბიუჯეტის შემოსულობების მართვა

მუხლი 2.

საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების მართვას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მეშვეობით.

მუხლი 3.

სამთავრობო დაწესებულებები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სახელმწიფო ხაზინის ნებართვის გარეშე არ არიან უფლებამოსილი გახსნან და იქონიონ ბიუჯეტის შემოსულობების საბანკო ანგარიშები.

თავი III. ბიუჯეტის შემოსულობების განთავსების პროცედურა

მუხლი 4.

1. კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდა ხორციელდება საგადასახადო საბუთების მეშვეობით ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში ან მის ფილიალში.

2. გადასახადის გადამხდელებისა და/ან სხვა განმთავსებლების მიერ მომზადებული საგადახდო დავალებით ხორციელდება ბიუჯეტის შემოსულობების განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშებზე.

მუხლი 5.

1. საგადასახადო ინსპექციის მიერ მობილიზებული სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების განთავსება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში თითოეული ტერიტორიული ერთეულისათვის გახსნილ სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მსხვილგადამხდელთა ინსპექციის მიერ საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში მობილიზებული სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების განთავსება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში თითოეული ტერიტორიული ერთეულისათვის დამატებით გახსნილ სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშებზე.

3. საგადასახადო შემოსავლების განთავსება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში თითოეული რეგიონალური საბაჟოსათვის გახსნილ სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე.

4. სხვა განმთავსებლის მიერ გამოყოფილი სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების კუთვნილი არასაგადასახადო შემოსავლების და სხვა შემოსულობების თანხების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში ტერიტორიული ერთეულისათვის დამატებით გახსნილ ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე.

5. სხვა განმთავსებლის მიერ გამოყოფილი ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი გრანტების, საშინაო და საგარეო სესხების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში ცენტრალიზებული შემოსულობებისათვის გახსნილ სახელმწიფო ხაზინის სატრანზიტო ანგარიშზე.

6. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნას შემოსულობების სხვა სატრანზიტო ანგარიშები.

მუხლი 6.

საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშები ყოველდღიურად იხურება ნულოვანი ნაშთით. ნაშთები ავტომატურად ირიცხება ეროვნული ბანკის მიერ ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 7.

სახელმწიფო ხაზინა:

ა) ახორციელებს საბანკო დღის განმავლობაში მიღებული ბიუჯეტის შემოსულობების ყოველდღიურ განაწილებას შესაბამისი საბიუჯეტო დონეების (ცენტრალური ბიუჯეტი, სპეციალური სახელმწიფო ფონდები, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები და საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშები) მიხედვით;

ბ) ყოველდღიურად ამზადებს საგადახდო დავალებებს შესაბამისი ბიუჯეტების (ცენტრალური ბიუჯეტი, სპეციალური სახელმწიფო ფონდები, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები) ანგარიშებზე თანხების გადასარიცხად;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიშს.

მუხლი 8.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ასევე დაწესებულებები, რომლებიც კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული ფუნქციების შესრულებისას ახორციელებენ ბიუჯეტის შემოსულობების მობილიზებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ უნდა იქნენ უზრუნველყოფილი შესაბამისი ამონაწერებით.

მუხლი 9.

1. სახელმწიფო ხაზინა ამზადებს ინფორმაციას სატრანზიტო ანგარიშებზე ბანკების მიერ დაგვიანებით ჩარიცხული ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

2. ინფორმაციაში მიეთითება შესაბამისი კომერციული ბანკის ან მისი ფილიალის დასახელება, საგადახდო დავალების ნომერი და ბანკში წარდგენის თარიღი, ბიუჯეტის შემოსულობის თანხა და დაგვიანებული დღეების რაოდენობა.

3. სახელმწიფო ხაზინა დაგვიანებით ჩარიცხული ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციას გადასცემს უფლებამოსილ საგადასახადო ინსპექციას შემდგომი რეაგირებისათვის ყოველი თვის 10 რიცხვამდე.

მუხლი 10.

1. საქართველოს ეროვნული ბანკი სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული საგადახდო დავალებების საფუძველზე ახორციელებს გადარიცხვებს შემოსულობათა ერთიანი ანგარიშიდან.

2. ხარჯვითი ოპერაციები იწარმოება სახსრების მფლობელების ხარჯების ანგარიშიდან.

თავი IV. აღრიცხვა-ანგარიშგება და მონიტორინგი

მუხლი 11.

1. სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს ბიუჯეტის შემოსულობების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც მოიცავს ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვას და ანალიზს.

2. ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული ელექტრონული ამონაწერების და საგადახდო საბუთების მიხედვით იწარმოება აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმები და რეგისტრები.

3. რეგისტრი არის აღრიცხვის საფუძველი.

4. რეგისტრში აღირიცხება ფინანსური ოპერაცია და მისი შედეგი.

5. აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმები და რეგისტრთა სისტემა მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

კარი II. ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნება, აღრიცხვა და ანგარიშგება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 12.

1. ყველა პირი ვალდებულია დაიცვას შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების ამ ინსტრუქციაში მოცემული პროცედურები, რაც მოიცავს:

ა) ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის დაბრუნებას ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშებიდან საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანას ცენტრალური ბიუჯეტის, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, სახელმწიფო საგზაო ფონდის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების მიმდინარე შემოსავლებიდან საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის დაბრუნებას ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების გადახდის ანგარიშში გადატანას, ცენტრალური ბიუჯეტის, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, სახელმწიფო საგზაო ფონდის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების მიმდინარე შემოსავლებიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13.

1. ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებს ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშებიდან უფლებამოსილი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.

2. ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანა წარმოებს ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის თანახმად უფლებამოსილი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.

3. ზედმეტად ან შეცდომით ჩარიცხული არასაგადასახადო შემოსავლის ან სხვა შემოსულობის თანხის დაბრუნება, ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლებში გადატანა წარმოებს ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინის მიერ.

4. სახელმწიფო ხაზინა ამზადებს ანგარიშს გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან სხვა გადასახადების (არასაგადასახადო შემოსავლების) გადახდის ანგარიშში გადატანის შესახებ, რომელსაც წარუდგენს ყოველთვიურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

5. საგადასახადო შემოსავლის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება არ განიხილება როგორც ხარჯი. იგი ტარდება როგორც ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის, არასაგადასახადო შემოსავლის და სხვა შემოსულობის დაბრუნება და მიეთითება ბიუჯეტის შემოსულობის კლასიფიკაციის შესაბამისი კოდი.

თავი V. ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის თანხის დაბრუნების პროცედურები

მუხლი 14.

1. საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშებიდან სახელმწიფო ხაზინაში შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.

2. საგადახდო დავალება მზადდება ცალ-ცალკე გადასახადების სახეების მიხედვით.

3. საგადახდო დავალება მზადდება ხუთ ეგზემპლარად, რომლის მეორე და მეხუთე ეგზემპლარები ხელმოწერილია შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს უფროსის და შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ და დადასტურებულია ბეჭდით.

4. საგადახდო დავალებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) თანხის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე საგადასახადო ინსპექციისათვის ან რეგიონალური საბაჟოსათვის წარდგენილი იმ გადამხდელის წერილის ასლი, რომლის სასარგებლოდაც ხდება საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის წერილობითი მომართვა, რომელიც დადასტურებულია ბეჭდით.

5. სახელმწიფო ხაზინის მიერ საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება წარმოებს შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი რიგითობით, სახელმწიფო ხაზინაში მოთხოვნის წარმოდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით.

6. სახელმწიფო ხაზინა არ აღასრულებს და უბრუნებს მოთხოვნას საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ შესაბამის საგადასახადო ინსპექციას ან რეგიონალურ საბაჟოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებული სახსრები მოცემული პერიოდისათვის არასაკმარისია წარმოდგენილი საგადახდო დავალების აღსასრულებლად;

ბ) საგადახდო დავალების თანდართული დოკუმენტაცია არასრული ან არასრულყოფილია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რა რაოდენობის სამხედრო ძალაა კონცენტრირებული აჭარაში

პირველი გვერდიდან

**"ხალხში საბრძოლო განწყობაა. ჩვენ არ ვაპირებთ, ლოყა შევუშვიროთ სააკაშვილს,"** – ამბობდა გოგიტიძე.

ამ საუბრიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძის დასაცავად ასლან აბაშიძის მომხრეები თბილისში, პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ. თუმცა, "აღორძინების" მშვიდობიან აქციაზე, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ჩამოყვანილი იყო ბათუმის შინაგანი ჯარის ასეულიც, რომელსაც აჭარის ტერიტორია არ დაუტოვებია 10 წლის განმავლობაში. მაგრამ ამ ფაქტს მაშინ შეფასება არ მისცემია. დღეს ეს შეიარაღებული ქვედანაყოფი გამოსულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან, რაც ჩვენთან საუბარში შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სომხეთში ყოფნის დროს დაადასტურა.

**"არა, არ გვექვემდებარებიან. ნაწილობრივ ფინანსდებიან ცენტრალური ბიუჯეტიდან და ნაწილობრივ - აჭარის ადგილობრივი ბიუჯეტიდან."**

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელ კადრირებულ ბრიგადას, იგი პოსტრევოლუციური პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა ლოიალობას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ეს დადასტურდა საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის პირველ აღლუმზე ბათუმში, როდესაც გარნიზონის მეთაურმა პატაკი სწორედ მიხეილ სააკაშვილს ჩააბარა. დღეს უკვე საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადამ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა უმაღლეს მთავარსარდალს, თუმცა ეს ინფორმაცია რადიო "თავისუფლებასთან" ინტერვიუში გადაჭრით უარყო ბრიგადის მეთაურმა, გენერალმა რომან დუმბაძემ, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების აქტიური მონაწილეა.

**"ასეთი რამ რომ ყოფილიყო, მე დავწერდი პატაკს და ჩავაბარებდი თავდაცვის მინისტრს. აქედან იწყება ყველაფერი, სპეციალურად უნდათ, რომ ამაგორონ მე,"** - აცხადებს დუმბაძე.

ჯერჯერობით, საკუთარ ყაზარმებში რჩება ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საგუშაგოები, მაგრამ მათი მეთაურები ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან აჭარის ხელისუფლების მხრიდან. რაც შეეხება სხვა შეიარაღებულ რაზმებს. უშიშროების მინისტრის ზურაბ ადეიშვილის თქმით, **"აჭარის ტერიტორიაზე არსებობენ სპეცრაზმები, რომელთა საერთო რაოდენობაც ათასს აღემატება და რომლებიც აჭარის უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, ავტონომიის მეთაურის პირად დაქვემდებარებაში არიან. ამასთან, აღნიშნული სპეცრაზმები ბოლო წლების განმავლობაში აიარაღებდნენ და ქმნიდნენ სახალხო რაზმებს, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, კრიმინალები ხელმძღვანელობენ. ყველა რაიონში და უმეტეს სოფლებში არის საძმოები, რომელთა რაოდენობა ათასიდან ათასხუთასამდეა, არ არიან ძალიან კარგად გაწვრთნილნი, თუმცა მათ საკმარისი შეიარაღება აქვთ."**



*მძიმე ტექნიკა ჩოლოქზე.*

ამას ემატება რამდენიმე ერთეული მძიმე საბრძოლო ტექნიკა, ჯავშანმანქანა და ორი საბრძოლო ვერტმფრენი, რომლებიც ასლან აბაშიძეს მე-12 რუსული ბაზის ხელმძღვანელობამ გადასცა. ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლების განკარგულებაში არსებული საბრძოლო პოტენციალი გაცილებით აღემატება აჭარის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ძალას. სტატისტიკის მოყვარულთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შეიძლება ითქვას, რომ თანაფარდობა დაახლოებით არის 10-1-ზე ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგრამ ეს ძალა არ არის საკმარისი შიდაკონფლიქტების მოსაგვარებლად (საკითხავია, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ძალით პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება). ეს ძალა საკმარისია მხოლოდ კონფლიქტების გასაღვივებლად, ამიტომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება - მიემართა სხვა ეკონომიკური და სამართლებრივი ანტიკრიზისული მეთოდებისათვის - ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო შექმნილ სიტუაციაში. თუმცა, დღეს თუ არა ხვალ, მოსახლეობაში გაფანტული იარაღი აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს იმათ, ვინც ხალხს აიარაღებს.

# ნინო ბურჯანაძე ბათუმში მიემგზავრება

ლელა მჭედლიძე

ნინო ბურჯანაძე, უშიშროების მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად, დღეს აჭარაში მიფრინავს. ამგვარი გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა და ნინო ბურჯანაძემ კანცელარიაში გამართული მეორე შეხვედრის შემდეგ მიიღეს. ბურჯანაძე არ აკონკრეტებს, ცენტრალური ხელისუფლების სახელით რას შესთავაზებს იგი რეგიონის მმართველს.

**"ხელისუფლება კონფრონტაციის გამწვავებას არ აპირებს. ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება არათუ პრეზიდენტს, არამედ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს. შესაბამისად, ეს უფლება დაცული უნდა იყოს. როდესაც პრეზიდენტს ამა თუ იმ რეგიონში არ უშვებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონი არ ემორჩილება ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას,"** - განაცხადა გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტთან პირველი შეხვედრის შემდეგ.

პრეზიდენტს გუშინ ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილიც ეწვია. შეხვედრაზე შესვლამდე იგი ამბობდა, რომ არ იცოდა, თუ რა თემაზე სასაუბროდ დაიბარა პრეზიდენტმა. დაახლოებით თხუთმეტწუთიანი საუბრის შემდეგ, ბიზნესმენმა განაცხადა, რომ აჭარის თემის ნაცვლად, მომავალ ათენის ოლიმპიადაზე ისაუბრა. თუმცა, პატარკაციშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას, საჭიროების შემთხვევაში არც თავისი რუსული კავშირების გამოყენება გამორიცხა. მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით განმარტა, "ამგვარი რამ მისთვის პრეზიდენტს არ უთხოვია".

მიუხედავად იმისა, რომ ასლან აბაშიძეს გულშემატკივრები და დამცველები რუსეთში უხვად გამოუჩნდნენ, საქართველო რუსი შუამავლის გამოყენებას ამ ეტაპზე არ აპირებს. ნინო ბურჯანაძის აზრით, **"მეზობელმა ქვეყანამ ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას და საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერიოს."**

პარლამენტის თავმჯდომარე ბათუმში გამგზავრებამდე აბაშიძეს ტელეფონით ესაუბრა. მოგვიანებით კი საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა. ჩხიკვიშვილის განცხადებით, **"რუსეთი შეშფოთებულია ბოლო დღეებში საქართველოში და აჭარაში სიტუაციის დაძაბვის გამო, რასაც სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის."**

გუშინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა პრეზიდენტსა და კათალიკოს-პატრიარქს შორის. შეხვედრის დეტალები არ გახმაურებულა.

# თელავში ძველი ხელისუფლება ახალ მთავრობას უპირისპირდება

*კახეთის რეგიონში საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა დღემდე არ ცხრება. ამჯერად კი მოვლენები იმდენად იძაბება, რომ შესაძლოა საქმე სასამართლომდე მივიდეს. თელავში ძველი ხელისუფლება ახალ მთავრობას უპირისპირდება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთის რეგიონმა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ უკვე ორი მთავრობა გამოიცვალა. ამ ფაქტს დღევანდელი ხელისუფალნი იმით ხსნიან, რომ ის ადამიანები, რომლებიც რევოლუციის შედეგად მოგვევლინნენ ახალ მთავრობაში, კვლავ ძველი მენტალიტეტით მუშაობდნენ. მათი გათავისუფლება მას შემდეგ მოხდა, როცა კახეთში ახალი გუბერნატორი, პეტრე ცისკარიშვილი დაინიშნა. განსაკუთრებით კი საკადრო პოლიტიკა თელავის გამგეობას და სამხარეო ადმინისტრაციას შეეხო. ჩინოვნიკები ამჯერად ღირსების აღსადგენად ყველანაირი მექანიზმის ამუშავებას ცდილობენ, თავდაპირველად კი ისინი სასამართლოში სარჩელის აღძვრას აპირებენ. თანამდებობის პირები აცხადებენ, რომ მათი გათავისუფლება კანონის დარღვევით მოხდა. ამ ყველაფერში კი ისინი თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, "ტრადიციონალებისგან" განდგომილ გოჩა მამაცაშვილს ადანაშაულებენ: **"დღეს თელავში კადრების დაკომპლექტება უცოდინარი ადამიანებით ხდება. რაც შეეხება ჩვენს განთავისუფლებას, ეს პროცესი ყოველგვარი კანონის დაცვის გარეშე წარიმართა. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი ახალ "რევოლუციას" ახდენს,"** - აცხდებს იურიდიული განყოფილების ყოფილი გამგე თამაზ კარდენახიშვილი. მისივე თქმით, თანამდებობაზე დანიშნული კადრები ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებენ. **"თუ საქმე ეხება პარტიულობას, არც ერთი ის თანამდებობის პირი არ არის პარტიული. გარდა ამისა, მათი ცოდნა და კვალიფიციურობაც კი ეჭვქვეშ დგება. მაგალითისთვის, გამგეობის იურიდიული განყოფილების ამჟამინდელი ხელმძღვანელს გია თევდორაშვილს, აპარატის უფროსს ნუნუ მაისურაძეს და პეტრე ცისკარიშვილის მოადგილეს გელა აზიკურს მოგიყვანთ. ეს უკანასკნელი კი, თავის დროზე თელავის III საშუალო სკოლის პედაგოგებმა სკოლიდან გააძევეს. მის სახელს უკავშირდება რაიონში შემოსული გრანტების არამიზნობრივად დახარჯვა,"** - ამბობს კარდენახიშვილი. კადრების არაკვალიფიციურობაზე საუბრობს, აგრეთვე, "დემოკრატი" ლევან დიასამიძე, რომელიც ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ თელავის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა და იგიც, სხვების მსგავსად, გაათავისუფლეს. დიასამიძის განცხადებით, თელავის გამგებელი დღემდე გათავისუფლებული არ არის და მისი ადგილი გოჩა მამაცაშვილმა მიითვისა:

"პრეზიდენტის გარდა, არავის ჰქონდა უფლება, რომ გამგებელი გაეთავისუფლებინა. როგორც ჩანს, თვითნებობას აქვს აქ ადგილი. უბრალოდ, ჩვენც და კირვალიძეც იძულებული გაგვხადეს, რომ წავსულიყავით თანამდებობიდან,"- გვითხრა დიასამიძემ.

თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განმარტებისთვის დიასამიძემ და კარდენახიშვილმა, გოჩა მამაცაშვილს წერილობით მიმართეს, თუ რა მიზეზით მოხდა მათი გათავისუფლება, მაგრამ როგორც "დაზარალებული" პირები აცხადებენ, ამის შესახებ პასუხი დღემდე მათ არ მიუღიათ. "როგორ უნდა გვიპასუხონ, როცა ყველანაირად კანონის დარღვევით მოხდა ჩვენი გათავისუფლება?"- კითხულობს კარდენახიშვილი.

ურთიერთგამომრიცხავ განცხადებას აკეთებს გოჩა მამაცაშვილი. მისი თქმით, მას არავინ გაუთავისუფლებია. **"მე გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად მას შემდეგ დავინიშნე, რაც გელა კირვალიძე აღარ გამოცხადდა თანამდებობაზე. რაც შეეხება ამჯერად უკვე ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს, შევახსენებ, რომ მე ისინი არ გამითავისუფლებია. უფრო მეტიც, მე მათ ვთხოვე, რომ დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენილიყვნენ. ჩემ წინააღმდეგ მხოლოდ ის ადამიანები გამოდიან, ვინც მედეა მეზვრიშვილის ერთგულები იყვნენ,"** - ასე იმართლებს თავს გოჩა მამაცაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ მედეა მეზვრიშვილის გადაგომის შემდეგ, გოჩა მამაცაშვილს და გელა კირვალიძეს გამგებლის სავარძლის დასაკავებლად ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ. ბოლოს კი ფორტუნამ მამაცაშვილს გაუღიმა. სწორედ ამის გამო, როგორც ჩანს, კირვალიძის და მეზვრიშვილის დამქაშები ფარხმალის დაყრას არ აპირებენ და სამართალის პოვნას სასამართლოში ცდილობენ. **"ჩვენ არავის ვაპატიებთ სულში ჩაფურთხებას,"** - აცხადებენ ახალი ხელისუფლების ოპოზიციაში ჩამდგარი ყოფილი ჩინოვნიკები. ამ დღეებში კი თელავში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, თანამდებობის პირების დანიშვნის კვალიფიციურობის და წარსულის შესახებ, სპეციალური პრესკონფერენციის ჩატარებას გეგმავენ.

# არჩევნებზე სასამართლო კონტროლი უნდა გაძლიერდეს

ევროსაბჭოს ახალი რეკომენდაცია

*ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სხდომა დასრულებულია. ამ სხდომაზე საქართველოსთვის საინტერესო ის ხდებოდა, რომ ოფიციალურად გადმოგვეცა "ვენეციის კომისიის" დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. სამკაციანი ქართული დელეგაციიდან თბილისში ყველაზე ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოძაშვილი დაბრუნდა. "24 საათი" მას ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა:*

ოთარ ქირია

- კომისია ევროპის საბჭოს მიერ შექმნილი სტრუქტურაა და, ძირითადად, მუშაობს საკონსტიტუციო ცვლილებების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და კანონმდებლობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე. ის არაა ორგანო, რომელიც რაღაცას ითხოვს კატეგორიულად, ის თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და, რეკომენდაციების სახით, ცდილობს, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები სამართლებივ ჩარჩოებში დარჩნენ ნებისმიერ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

**- რა წერია დასკვნაში?**

- მოწონებულია ის, რომ საქართველო საპრეზიდენტო მმართველობიდან გადავიდა ნახევრად-საპრეზიდენტო (ე.წ. ფრანგული მოდელის) მმართველობის მოდელზე. ანუ შემოღებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის პოსტი და გუნდური პასუხისმგებლობის მინისტრთა კაბინეტი.

**- რაც შეეხება შენიშვნებს?**

- შენიშვნები, ძირითადად, უკავშირდება დაბალანსების, ანუ ხელისუფლების სადავეების გადანაწილების საკითხებს, თუმცა უკანასკნელ სხდომაზე ყურადღება მხოლოდ საკონსტიტციო ცვლილებებს დაეთმო, კერძოდ კი იმას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სწრაფად მოხდა. ასეთი ცვლილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს ერთთვიანი საერთო სახალხო განხილვა.

**- ანუ პრობლემები გვაქვს?**

- არა. ცვლილებებს საფუძვლად დაედო 2001 წელს მიღებული პროექტი მინისტრთა კაბინეტის შემოღების თაობაზე და, ამდენად, პროცესი სამართლებრივ ფარგლებს არ გასცილებია. გარდა ამისა, ევროსაბჭომ სრულად გაითვალისწინა ის მომენტი, რომ ცვლილებების მიღება ექსტრაორდინალურმა ვითარებამ განაპირობა. ისინი ამბობენ, რომ ყველაფერი რაც მოხდა, კარგია, თუმცა აუცილებელია კონსტიტუციის დახვეწა და ცვლილებების პროცესის გაგრძელება.

**- რა კუთხით?**

- საჭიროა ტერიტორიული მოწყობის, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხების მოგვარება; ასევე - ადამიანის უფლებათა დაცვის თავში რამდენიმე საკითხის გადახედვა; ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით, სრულად არჩევითობის შემოღება და ა.შ. ამასთან, საბჭო მიიჩნევს, რომ საჭიროა, შეიქმნას საკონსტიტუციო კომისია. ერთი სიტყვით, საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე უნდა ვიმუშაოთ კონსტიტუციის დახვეწაზე, თუმცა - არა ფორსირებული მეთოდით.

**- ვადები განისაზღვრა?**

- არა. როგორც სხდომაზე გავარკვიეთ, არჩევნების დასრულების შემდეგ მონიტორინგის კომიტეტი თბილისს ეწვევა და ხელისუფლებასთან შეათანხმებს იმ ვადებს, რომელშიც შევძლებთ იმ რეკომენდაციების სისრულეში მოყვანას, რომელიც ზემოხსენებულ და, ძირითადად, საარჩევნო საკითხებს ეხება.

**- დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ახალმა ხელისუფლებამ, საარჩევნო ადმინისტრირების თვალსაზრისით, არაფერი შეცვალა - ამას ხომ არ გულისხმობენ სტრასბურგშიც?**

- ვენეციის კომისია პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს. ის დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს. ამ კუთხით, უნდა მოხდეს საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდება, შემდეგ კი სასამართლო კონტროლის გამკაცრება არჩევნების პროცესზე. დღეს საარჩევნო ადმინისტრაცია კომპლექტება პოლიტიკური ნიშნით და ყოველი წევრი ცდილობს, საკუთარი ინტერესი გაატაროს პროცესში. ეს უარყოფითად მოქმედებს პროცესის ხარისხსა და ობიექტურობაზე. საქართველოში უკვე საკმაოდ არის კადრი, რომელიც არჩევნებში ერკვევა. ამდენად, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს დავა იმაზე, რომ კომისიამ ვიღაცის სასარგებლოდ გააყალბა არჩევნები. რაც შეეხება სასამართლო კონტროლს, ეს არ ნიშნავს პოლიტიკურ ჩარევას, ან ზეგავლენას ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე.



*ლევან ბოძაშვილი.*

**- მაგრამ, შესაძლოა, სიტყვა კონტროლი ასე აღიქვან?**

- ეს არაა კონტროლი პირდაპირი გაგებით. ეს არის, გარკვეულწილად, მონიტორინგი. თუმცა არის მეორე მხარეც - სასამართლო მონაწილეობს საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესში. აბსოლუტურად ყველა არჩევნები არანორმალურ რეჟიმში მიმდინარეობს. ადმინისტრირების თუ კომისიის დაკომპლექტების თვალსაზრისით, გადაწყვეტილებები შეიძლება არჩევნების წინა დღესაც შეიცვალოს. გაუთავებლად იცვლება ხმის მიცემის წესი და ა.შ. სასამართლო ღამე მუშაობს, საარჩევნო კომისია სამი დღე ელოდება გადაწყვეტილებას, რომელიც მეორე დღეს შეიძლება, საერთოდ, შეიცვალოს. ეს არანორმალურია. ევროსაბჭო მიიჩნევს, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მკაცრად უნდა განისაზღვროს ყველა წესი, კომისიის შემადგენლობა და ა.შ. სასამართლო არ ჩაერევა ხმის დათვლის პროცესში, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ამა თუ იმ დავაზე საბოლოო იქნება.

**- რაც შეეხება არჩევნების შემდგომ პროცესს?**

- აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითად, პრეზიდენტის არჩევნების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, 17 დღის განმავლობაში განიხილოს სარჩელი - ანუ იმ დრომდე, სანამ პრეზიდენტი დადებს ფიცს. ეს ასეც უნდა იყოს. არ შეიძლება საპარეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანა დადგეს იმ საფრთხის წინაშე, რომ პრეზიდენტი არაკონსტიტუციურად იქნა არჩეული. ცალკე პრობლემაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. 2000 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვტილებით, ოთხ დეპუტატს უნდა შეწყვეტოდა უფლებამოსილება - მარტვილის, ხონის, აბაშისა და წალენჯიხის რაიონებიდან. ეს დეპუტატები ბოლომდე პარლამენტში იყვნენ. რა აზრი აქვს გადაყვეტილებას, თუ ის არ აღსრულდა.

**- და კომისია რას ამბობს ამაზე?**

- კომისიამ რეკომენდაციები უკვე დაწერა. ის არაფერს გვავალდებულებს და ხელისუფლებას ამოსუნთქვის საშუალებასაც აძლევს. მთავარია, არსებობდეს პოლიტიკური ნება. მახსოვს, 1999 წელს, როცა ევროსაბჭოს წევრი ვხდებოდით, მოგვეცა ორწლიანი ვადა ადამიანის უფლებათა კონვენციის შეერთებისთვის. სააკაშვილმა იმდენი გააკეთა, კონვენციის რატიფიცირება ერთ თვეში მოხდა.

**- რამდენადაც ვიცით თქვენ "ერთობაში" ხართ - ხელისუფლებას ემხრობით, თუმცა ოპოზიციად ითვლებით...**

- პარტიაში არ ვარ, სიაში გახლავართ. ჩემი თანამდებობა არაა იმ დონის, რომ დეპუტატის კანდიდატობის უფლებას მიზღუდავდეს. რაც შეეხება ოპოზიციის საკითხს, რთულია ამაზე საუბარი, როცა ქვეყანამ ვერ გაარკვია ოპოზიციის ფუნქცია. საზოგადოებამ არ იცის, რას ნიშნავს მემარჯვენე და მემარცხენე. თუ ხელისუფლებას ემხრობი, სახელისუფლო ხარ, თუ არა - პირიქით. არ შეიძლება ყველას და ყველაფერს ეწინააღმდეგებოდე გაუთავებლად. ოპოზიცია, ჩემი და "ერთობის" გაგებით, ნიშნავს იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელისუფლებას უნდა მივცეთ წელში გამართვის, ნორმალურად ჩამოყალიბების საშუალება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება თანამშრომლობაზე ან ოპონირებაზე ვილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ მუდმივ ქაოსს. ჩემი პოზიცია დიდად არ განსხვავდება ევროსაბჭოს მიდგომისგან. მთავარია, პროცესები ჩარჩოებს არ გაცდეს და ადრე თუ გვიან ყველაფერს მიეცეს სამართლებრივი სტატუსი.

# ცენტრი მუქარას ასრულებს - ეკონომიკური ბლოკადა ამოქმედდა

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის ფინანსური გადარიცხვები შეჩერებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ანგარიშები თავისთავად დაყადაღებულიც არის.

ეროვნულ ბანკში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად პრეზიდენტის ზეპირ განცხადებას ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ **"საგანგებო მდგომარეობაში აღნიშნული ღონისძიებების გატარებას ეროვნული ბანკის შესახებ არსებული კანონიც ითვალისწინებს."**

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ბათუმში რეგისტრირებულ "საზღვაო ბანკს" ლიცენზია შეუჩერდა. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ განაცხადა, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო არსებობს საშიშროება, რომ ბანკის მეანაბრეებს თავის ანაბრებთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნებათ.

ბანკის საბჭოს ეს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასაწყისს ნიშნავს. აქამდე საზღვაო ბანკი ეროვნული ბანკის საგანგებო ზედამხედველობის რეჟიმში მუშაობდა. ამავე დროს, ბანკის მიმართ პრეტენზიები გენერალურ პროკურატურასაც გააჩნია.

2004 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, "საქართველოს საზღვაო ბანკს" 70,5 მილიონი ლარის ოდენობის მთლიანი ვალდებულებები, 79,3 მილიონი ლარის ოდენობის მთლიანი აქტივები და 8,7 მილიონი ლარის ოდენობის სააქციო კაპიტალი გააჩნია.

## პენსიების დარიგება აჭარაში, შესაძლოა, შეფერხდეს

ცხადია, ცენტრის მიერ აჭარის რეგიონისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებისა და საქართველოს საზღვაო ბანკისთვის ლიცენზიის შეჩერების შემდეგ გაურკვეველი გახდა, მიიღებენ თუ არა რეგიონში მცხოვრები პენსიონერები კუთვნილ თანხას.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილის კობა ძაძამიას განცხადებით, რეგიონისთვის საპენსიო თანხების გადარიცხვის შეწყვეტის საკითხი ფონდში არ განხილულა. თუმცა მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც აჭარელმა პენსიონერებმა თანხები უნდა მიიღონ, მან ვერ დაასახელა.

**"აჭარაში პენსიები ფოსტის მეშვეობით რიგდება. ფოსტას ანგარიში საზღვაო ბანკში ჰქონდა გახსნილი. ვინაიდან ბანკს ლიცენზია შეუჩერდა, ალბათ, დავსვამთ საკითხს ანგარიშის სხვა ბანკში გახსნის შესახებ,"** - განაცხადა ძაძამიამ, თუმცა არ დააკონკრეტა, როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს, როცა ეროვნული ბანკის ბრძანებით, აჭარის რეგიონში ფინანსური ოპერაციები კომერციული ბანკების ყველა ფილიალს აეკრძალა. ცხადია, ამ პრობლემის დასარეგულირებლად ცენტრი-რეგიონის ურთიერთობის დარეგულირებაა აუცილებელი.

## ბათუმის პორტი და აეროპორტი "დაკეტილია"

გუშინვე ბათუმის პორტი რეალურად "დაიხურა" - პორტში შესვლის საშუალება არ მიეცა შვიდ სატვირთო გემს. გემები ფოთის პორტისკენ შემოაბრუნეს, სადაც საბაჟო სამსახური უკვე 24-საათიანი რეჟიმით მუშაობს.

აბაშიძის გაღიზიანების ძირითადი მიზეზი სწორედ გემების ფოთისკენ წაყვანა გახდა. ამის თაობაზე იგი დაუკავშირდა პრემიერ-მინისტრს, მაგრამ - უშედეგოდ. ცხადია, პორტის დაკეტვა სერიოზულ ფინანსურ დანაკარგებს უქადის აჭარის მმართველ კლანს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეულ ფინანსურ სანქციებს, შესაძლოა, ვერც საქართველოს ხელისუფლება ასცდეს ტვირთების მეპატრონეების მხრიდან.

დახურულია ბათუმის საჰაერო სივრცეც.

## სარფის საბაჟო დაიხურა, ვალეს საბაჟოზე ტვირთი იზრდება

ცენტრმა სარფის საბაჟო დახურულად გამოაცხადა. მართალია, გუშინ რამდენიმე ადამიანმა საზღვარი გადმოკვეთა, მაგრამ ტვირთების მოძრაობა ამ მიმართულებით უკვე შეჩერებულია. სანაცვლოდ კი, დამატებითი ტვირთები გამოჩნდა ვალეს, იგივე "სამხრეთის" საბაჟოზე. "24 საათი" გუშინ თურქეთის საზღვარზე საბაჟო პუნქტების ხელმძღვანელებს დაუკავშირდა. აჭარის საბაჟო-საგადასახადოს უფროსმა ჯუმბერ გოგიტიძემ "24 საათს" განუცხადა: **"რა უნდა ხდებოდეს სარფის საბაჟოზე? მაშინ, როცა არის პრეზიდენტის განკარგულება, რომ იქიდან არ შემოვიდეს ტვირთი. აქედან გამსვლელთა რაოდენობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. ასეთი განცხადების შემდეგ არც ერთ იმპორტიორს არა აქვს სურვილი, რომ შემოიტანოს ტვირთი, მით უმეტეს, როდესაც ჩოლოქს გაღმა ჩაკეტილია და არავის არ ატარებენ და არ აძლევენ არაფრის საშუალებას. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, რადგან ბატონი ასლანის და პრეზიდენტის გონიერება ამ პრობლემას დროულად გადაწყვეტს და ეს ტვირთები მალე ამოძრავდება. ის, რაც დღეს ხდება, იქნება მხოლოდ "იყო და არა იყო რას" მსგავსი ზღაპარი და ამით ყველაფერი დამთავრდება. დღეს საბაჟოზე არც ისე დიდი რაოდენობის ტვირთია შემოსული, რადგან ღამით თურქეთის საბაჟო არ მუშაობს და ამ დროს ისინი ტვირთებს არ ატარებენ. პრეზიდენტის განცხადება კი სწორედ საღამოს საათებში გაკეთდა, ეს ინფორმაცია ხუთ წუთში გავრცელდა და, ამიტომაც, დატვირთული მანქანები დიდი რაოდენობით არ შემოსულა სარფის საზღვარზე. იმის გამო, რომ თურქეთის საბაჟო ღამით ტვირთებს არ ატარებს, ამ წუთში ერთი-ორი მანქანა თუ არის გაჩერებული. ჩვენ გაგვაჩნია საბაჟო ტერმინალი, სადაც გუშინ მე გავეცი ბრძანება, რომ ყველა უზრუნველყოფილი იქნეს, არავის შეექმნას საშიშროება".**

რეგიონული საბაჟო "სამხრეთის" უფროსი ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი კი აცხადებს: **"დღეს ჩვენ ვმუშაობთ საგანგებო რეჟიმში. იმის გამო, რომ ტვირთების რაოდენობა და მოცულობა გაიზარდა, ჩვენ რვასაათიანი სამუშაო გრაფიკი 16 საათამდე გავზარდეთ. თუ საჭირო გახდება, 24-საათიან სამუშაო გრაფიკზეც გადავალთ. ვაპირებთ გავზარდოთ მუშამოსამსახურეთა ცვლების რაოდენობაც. თუკი სამი დღის წინათ საბაჟოზე ერთი მანქანა იყო, დღეს ეს ციფრი ოცამდე გაიზარდა. დღეს ვალეს საბაჟოზე, ძირითადად, ის ტვირთები შემოდის, რომლებმაც საქართველოში შემოსვლა სარფის საბაჟოთი ვერ მოახერხეს. უკანასკნელ ორ დღეში ტვირთების მოცულობა გასამმაგდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს სარფის საბაჟოს ჩაკეტვის "დამსახურებაა". დღეს საბაჟოზე არის პატარა პრობლემა, კერძოდ ის, რომ თურქეთის მხრიდან ხიდი ცოტათი დაზიანებულია, რომლის შეკეთება ამჟამად მიმდინარეობს, თუმცა ამ მხრივ პრობლემა არ არის, შეკეთების პარალელურად მიდის ტვირთების შემოდინება".**

## და ბოლოს

ეკონომიკური ბლოკადა უდავოდ მტკივნეული იქნება აჭარის ხელისუფლებისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, არა მხოლოდ მისთვის. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგი უდავოდ იმოქმედებს აჭარაში ზოგად სოციალურ მდგომარეობაზე და მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზეც. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ აბაშიძის რეჟიმის პრობლემა მოსაგვარებელია.

# „გაზპრომმა", როგორც იქნა, კონკურენტად აღიქვა აზერბაიჯანული გაზი



ალექსეი მილერს "სტატოილის" აქტიურობა აშფოთებს.

მაია ურუშაძე

"გაზპრომში" ღელავენ. მღელვარების საბაბი კი "სტატოილის" წარმომადგენლის განცხადებაა, რომლის თანახმადაც, **"აზერბაიჯანული გაზი თურქეთისა და ამიერკავკასიის ბაზრებზე მართლაც სერიოზულ კონკურენციას გაუწევს რუსულ გაზს."**

ამგვარი განცხადება ნორვეგიული სახელმწიფო ნავთობკომპანია "სტატოილის" ბაქოელმა წარმომადგენელმა კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ტერიე ოვერიკის ბაქოში ვიზიტის წინ გააკეთა. ოვერიკი ბაქოს დღეს ეწვევა. მისი აზერბაიჯანით დაინტერესება კი იმითაა გამოწვეული, რომ "სტატოილის" აზერბაიჯანული პროექტების რეალიზების პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის. კომპანიამ სოლიდური ინვესტიციები გაიღო აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ნავთობსაბადოს ათვისებისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისათვის, ასევე, შაჰდენიზის გაზის საბადოს ათვისებისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის ე.წ. "სამხრეთ კავკასიის მილსადენის" მშენებლობისათვის.

ამ პროექტებში მონაწილეობის დაწყების დღიდან ნორვეგიულმა სახელმწიფო ნავთობკომპანიამ აზერბიჯანის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში 1,23 მილიარდი დოლარი ჩადო. ახლა "სტატოილი" წილებს ფლობს აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის სექტორებში, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიცია 25,5-პროცენტიანი წილია შაჰდენიზის საბადოს ათვისებასა და სამხრეთ-კავკასიის გაზსადენის მშენებლობაში. ის ამ მილსადენის ოპერატორია. გარდა ამისა, "სტატოილი" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსაბადოს 8,71-პროცენტიანი მეწილეა.

ყველაფერი ეს მეტყველებს, რომ "სტატოილის" ინტერესები რეგიონის მიმართ საკმაოდ სოლიდურია. "გაზპრომში" შიშობენ, რომ ამ პროექტების რეალიზაციის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონს რუსული გაზი, უბრალოდ, აღარ დასჭირდება.

"გაზპრომში" კარგად აცნობიერებენ, რომ სამხრეთ კავკასიას სამხრეთკავკასიური გაზის პროექტები გაზის საჭირო მოცულობით ვერ უზრუნველყოფენ, ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე მაინც. მაგრამ, "გაზპრომში" საეჭვოდ ეჩვენებათ "სტატოილის" აზერბაიჯანში "გამაგრება". **"სტატოილი" "გაზპრომის" კონკურენტი" ხდება არა მარტო ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც. ამის გამო, შესაძლოა, "გაზპრომი" თავისი ტრადიციული სამომხმარებლო ბაზრებიდან მოწყვეტილი აღმოჩნდეს,"** – წინასწარ შიშობენ გაზის რუსული მონოპოლისტის მენეჯერები. მღელვარების უმთავრეს საბაბად კი კვლავ ის რჩება, რომ სამხრეთ-კავკასიური პროექტების რეალიზაციის შემდეგ შუააზიური ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტირება შესაძლებელი გახდება რუსეთის მარშრუტის ალტერნატიული გზებით. ანუ მთელ იმ ტერიტორიას, რომლის "ბუფერში" მოსაქცევადაც, თავის დროზე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იმპერიამ უამრავი დრო და ფული დახარჯა, გზა ევროპული ბაზრისკენ უპირობოდ – რუსეთის დაუკითხავად ეხსნება.

რუსეთს ჯერ კიდევ მწარედ ახსოვს, რომ გასულ წელს თურქულმა "ბოტაშმა" გაზზე ფასი დააწევინა. ახლა, ოღონდ თურქეთის გაზის ბაზრის მნიშვნელოვანი მოცულობა აკონტროლოს, "გაზპრომი" იძულებულია "ბოტაშის" პირობებით ითამაშოს. არადა, საქართველოსა და უკრაინისგან დამოუკიდებლად თურქეთის ბაზარზე შესაღწევად მას შავი ზღვის ფსკერზე გაზის მილების ჩალაგება და მსოფლიოში ერთ-ერთი ძვირადღირებული, ურთულესი მილსადენის პროექტის – "ცისფერი ნაკადის" განხორციელება მოუხდა.

# ენერგოდეფიციტი და არა ბლოკადა

ნიკა მარიამიძე

ენერგოკრიზისი მწვავდება. დეფიციტის გამო, საქართველოს რეგიონებს ელექტროენერგია მკაცრი გრაფიკით მიეწოდება, ზოგიერთი რაიონი კი, სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების ჩათვლით, საერთოდ გამორთულია. როგორც "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" (გსეკ) განაცხადეს, დღის საათებში კომპანიას დენი დაგეგმილზე გაცილებით ნაკლები სიმძლავრით მიეწოდება, რის გამოც ბევრ რაიონში დაუგეგმავი გამორთვები ხორციელდება.

გუშინ კომპანიაში აცხადებდნენ, რომ "ენგურჰესის" წყალსაცავში წყლის რესურსების სიმცირის გამო, კრიზისის კიდევ უფრო გამწვავებაა მოსალოდნელი. ენერგეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავში დარჩენილი ჰიდრორესურსი გამოზომილად უნდა დაიხარჯოს. ამის გამო, სავარაუდოდ, ენგურჰესის გამომუშავებას საგანგებო კონტროლზე აიყვანენ.

მაგრამ, დეფიციტის უმთავრესი მიზეზი მაინც ისაა, რომ ჯერ კიდევ არ აღდგენილა რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი", რომლის მეშვეობითაც, ახალი წლიდან მოყოლებული, საქართველოს ენერგოსისტემა ელექტროენერგიის დეფიციტს ივსებდა.

პერიოდულად ითიშება თბილისის განაპირა რაიონებიც. "თელასში" განმარტავენ, რომ ეს დეფიციტის უშუალო შედეგია. საქმე ისაა, რომ დეფიციტი ერთნაირად მოქმედებს ქვეყნის ყველა ელექტროგამანაწილებელ კომპანიაზე. "თელასიც", შესაბამისად, დაგეგმილზე 80 მეგავატით ნაკლებ ელექტროენერგიას იღებს.

შეზღუდულია აჭარის ელექტრომომარაგებაც. აქამდე კომპანია რუსეთიდან "კავკასიონის" მეშვეობით იმპორტირებული ელექტროენერგიის ნაწილს მოიხმარდა. მას შემდეგ, რაც ხაზი დაზიანდა, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში, კრიზისი ამ რეგიონშიც გამწვავდა. დღეისათვის აჭარას, ფაქტობრივად, საჭიროზე სამჯერ ნაკლები დენი მიეწოდება. **"ეს არ არის ეკონომიკური ბლოკადის შემადგენელი ნაწილი. ეს, უბრალოდ, დეფიციტია,"** – აზუსტებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და განმარტავს, რომ აჭარის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციები ენერგეტიკულ ბლოკადას არ ითვალისწინებს. ამდენად, აჭარის ელექტრომომარაგება მთლიანად "კავკასიონის" ოპერატორ "საქრუსენერგოზეა" დამოკიდებული. "საქრუსენერგოს" კი ხაზის აღდგენის საშუალებას უამინდობა არ აძლევს. "საქრუსენერგოში" ვარაუდობდნენ, რომ "კავკასიონი" რუსეთის მხარეს იყო დაზიანებული, მაგრამ ხაზის დათვალიერებამ დაზიანების ადგილი ვერ გამოავლინა. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის შოთა მაისურაძის ვარაუდით, შესაძლოა, ხაზი კავკასიონის ქედის ფერდობზე იყოს დაზიანებული, რაც ბურუსის გაფანტვისთანავე გამოჩნდება. **"საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებზე 10-10 კილომეტრი დაგვრჩა შესამოწმებელი და ამინდის გაუმჯობესებისთანავე, აღდგენით სამუშაოებს დავიწყებთ,"** – განაცხადა მაისურაძემ.

ამასობაში, დეფიციტმა რუსთაველებიც შეაწუხა. ქალაქში დენით მარტო სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტები მარაგდება. გუშინ მოსახლეობამ "რელასის" წინ საპროტესტო აქციაც კი გამართა, სადაც კომერციული ხაზების აღდგენა მოითხოვა. რუსთავის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ამ პირობებში მათთვის უშუქობის პრობლემის გადაჭრას გსეკ-ის მიერ ნონ-გრატად გამოცხადებული "მცირე ლიცენზიანტი" კომპანიები მაინც მოახერხებენ. მოსახლეობის მოთხოვნა აღიზიანებს გსეკ-ის ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელობას. "რელასში" აცხადებენ, რომ "მცირე ლიცენზიანტები" მოსახლეობაში არასწორ ხმებს ავრცელებენ და შექმნილ ენერგოდეფიციტს გსეკ-ის წინააღმდეგ კამპანიის წარმოებისათვის იყენებენ.


## შესყიდვების სპეციალისტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლის და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბი-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესების და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არა-სასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:
- საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;
- ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;
- ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;
- შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება; და "მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- "მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არა-სასწრაფო მომსახურებაზე;
- ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
- სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
- კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
- კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:

- დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
- პროფესიონალური და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
- დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
- ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
- შეკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2-წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარსიხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.

აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევები.

კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:

შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;

ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;

შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **ორშაბათი, 2004 წლის 29 მარტი, 18 საათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38



## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ**

**19 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

9 ძმის, აბაშის, აფხაზეთის, აგარის, ასხინის, აჭარის, ლაილაშის, ლანჩხუთის, ლებარდეს, მამრაძის ხევის, ქვალონის, სალხინოს, სამურზაყანოს, სენაკის, თეკლათის, ხონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**19 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**

სამრეწველო დასახლების, ბალადინის, ბოგდან ხმელნიცკის(ნაწილობრივ), ციხისძირის, ჩოხელის, გრომოვის, ივლეთის, ნარგიზის, ქედის კომუნის, როსტომაშვილის, რუსუდანის, თეთრიწყაროს ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ლუჟკოვის ვიზიტის სხვა მიზნები

პირველი გვერდიდან

**"კიდევ ერთხელ უნდა გადაიზომოს ტროლეიბუსის სადენებს შორის მანძილი,"** – შენიშნავს სტატიის ავტორი.

"ორივე მხარისთვის საინტერესო" ეკონომიკური საკითხებიდან ასევე დასახელებულია მეფუტკრეობა. ავტორს, ეტყობა, არ ჰქონდა ინფორმაცია ჯიშიანი ძაღლებისა და თხების მოშენების საკითხებში აჭარული გამოცდილების შესახებ, რაც მოსკოვისათვის სტრატეგიული მიშნვნელობის უნდა იყოს. ამასთან, სტატიაში ნათქვამია, რომ ბათუმში აკვაპარიკისა და მოსკოვური კომპანიების მიერ მაღალსართულიანი კვარტლის მშენებლობაა დაგეგმილი. ამ შემთხვევაში მინიშნება ლუჟკოვის გასაგონად კეთდება, რომლის მეუღლის კომპანია, სხვადასხვა ინფორმაციით, სამშენებლო ბიზნესს კურირებს მოსკოვში, ხოლო თუ რა მოუვიდა თებერვალში მის მიერ მოსკოვში აშენებულ ერთ-ერთ აკვაპარკს, ყველას კარგად ახსოვს.

აბაშიძე და ლუჟკოვი მათდამი მინდობილ რეგიონებს ერთნაირად მართავენ: უკონტროლო ძალაუფლება, პოლიტიკასა და ბიზნესში ახლო ნათესავების მონაწილეობა, არატრანსპარენტული ადგილობრივი ბიუჯეტები მათ **"არა მხოლოდ მეგობრებად, არამედ თანამოაზრეებად ხდის."**

რა თქმა უნდა, ლუჟკოვის ვიზიტს სხვა, "უფრო სერიოზული" მიზეზებიც აქვს. სტატიაში გადაჭრით არ არის ნათქვამი, არის თუ არა ლუჟკოვი მოსკოვის ოფიციალური აზრის გამომხატველი პირი. "გაზეტა.რუ"-ს კიდევ ერთი სტატია ეხმაურება ამ თემას და აღნიშნავს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება აშკარად აბაშიძის რეჟიმს უჭერს მხარს. ასეთ პირობებში კი მოსკოვის მერის ვიზიტი უფრო კონფრონტაციას უწყობს ხელს, ვიდრე კონფლიქტის მოგვარებას.


ვლადიმირ ლუჟკოვი.

ყველას კარგად ახსოვს, რომ მსგავს ფუნქციას ლუჟკოვი უკრაინაში უკვე ასრულებდა, როცა ყირიმის ქალაქ სევასტოპოლის "დედარუსეთთან დაბრუნების" კამპანიას ედგა სათავეში. მაგრამ ეს იყო 1998 წელს, ანუ პუტინამდე, როცა ლუჟკოვი ელცინის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ჩართვას აპირებდა და ნაციონალისტური იდეოლოგიით ქულების დაწერას ცდილობდა.

სტატიის ავტორი ლუჟკოვის ვიზიტს მაინც საქმიან სფეროში განიხილავს და უმთავრეს მიზნად "დიპლომატიურ სტაჟირებას" ასახელებს. ვინ იცის, რას მოიტანს მომავალი და იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ლუჟკოვს რომელიმე შორეულ ქვეყანაში დიპლომატიური სამსახური მოუწიოს?! "მოსკოვის მერიც სწორედ ამისათვის ემზადება," - ასკვნის სტატიის ავტორი.

აქვე დავამატებთ, რომ თუ რუსეთის ხელისუფლება ლუჟკოვს დიპლომატიურ სამსახურში "ჩამოაქვეითებს", რომელიმე მართლაც უმნიშვნელო, მეტად შორეული ქვეყანა უნდა შეარჩიოს, რადგან ლუჟკოვის დიპლომატიურ მონაცემებზე იგივე სტავროპოლის სკანდალიც მოწმობს. ლუჟკოვის დემარშებმა მაშინ კიევისა და მოსკოვის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბა, ხოლო სტავროპოლი ისევ კიევის კონტროლს ექვემდებარება. ამრიგად, დავუბრუნდეთ კითხვას, რომელიც ჯერ კიდევ სტატიის დასაწყისში დაისვა: რამდენად "საჭირო ადგილას და საჭირო დროს" ამოჰყო ბატონმა ლუჟკოვმა თავი? როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, "უდროო დროს და უადგილო ადგილას" აღმოჩენამ შეიძლება საბედისწერო შედეგებამდე მიიყვანოს ყველა.

# თურქეთს საქართველოში მშვიდობა სურს

აჭარის გარშემო შექმნილ ვითარებას გუშინ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული გამოეხმაურა. მისი თქმით, აჭარის ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს, რომ ის საქართველოს შემადგენელი ნაწილია. აბდულა გულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თურქეთის მთავრობა დაკვირვებით ადევნებს თვალყურს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და ის ამ საკითხზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიასაც ესაუბრა. მან ამასთანავე აღნიშნა, რომ აჭარის რეგიონს და ბათუმს სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს ანკარისათვის. მან ასევე დასძინა, რომ თურქეთს სურს, დაცული იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური ერთობა. გულის თქმით, ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას ან შეტაკებას კავკასიისათვის ღრმა ჭრილობების მიყენება შეუძლია.

**"აჭარის ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს, რომ ის საქართველოს შემადგენელი ნაწილია და ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის და ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს,"** - დასძინა აბდულა გულმა. მან გამოთქვა ღრმა რწმენა და იმედი, რომ საქართველო ამ პრობლემას დემოკრატიული გზებით და საშუალებით მოაგვარებს.

გუშინვე საქართველოში შექმნილ ვითარებაზე კომენტარი გააკეთა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმაც. **"საქართველოში დარღვეული სიმშვიდე ჩვენს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს. ჩვენ გვსურს, რომ საქართველომ ეს პრობლემა მშვიდობიანად გადაწყვიტოს უმოკლეს დროში. იმედი მაქვს, რომ ეს ასე იქნება."**

# კოლინ პაუელი სამხრეთ-აზიურ ტურნეს იწყებს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გუშინ აზიური ტურნე ინდოეთში ვიზიტით დაიწყო. ვიზიტის ძირითადი მიზანი ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარება და ქაშმირის საკითხია.

აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის ერთ-ერთი მწვავე თემა ამერიკული წარმოების საზღვარგარეთ გატანის საკითხია. წარმოების საზღვარგარეთ გატანა ამერიკელ ამომრჩეველს მნიშვნელოვან პრობლემად ესახება. ამაზე ხომ მათი სამუშაო ადგილების რაოდენობაა დამოკიდებული. ზოგიერთი ცნობით, ინდოეთში ამერიკულმა ფირმებმა 170 ათასი სამუშაო ადგილი შექმნეს. აქედან გამომდინარე, ეს 170 ათასი ადგილი რიგითმა ამერიკელებმა დაკარგეს. ახლა პრეზიდენტობის კანდიდატები ამერიკელთა სამუშაო ადგილების დაცვის განცხადებებს აკეთებენ, რაც ხშირად ამერიკული წარმოების "იმპორტიორ" ქვეყნებს, მათ შორის - ინდოეთს, აფრთხობს.

სახელმწიფო მდივანს გუშინ ინდოელი კოლეგების დარწმუნება უწევდა, რომ მათი შიში უსაფუძვლოა და ამერიკა ამ ქვეყანაში ინვესტიციებს კვლავაც გააგრძელებს. პაუელმა განაცხადა, რომ, მართალია, საწარმოების საზღვარგარეთ გატანით ამერიკელები სამუშაო ადგილებს კარგავენ, მაგრამ ამ პრაქტიკის შეჩერება შეუძლებელია და იგი გლობალიზაციის პროცესითაა ნაკარნახევი. სანაცვლოდ, ამერიკაში ხარისხობრივად უკეთესი სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას, - მიაჩნია მინისტრს.

კოლინ პაუელის აზიური ტურნეს მეორე ნაწილი პაკისტანში ვიზიტი იქნება. ეს ნაბიჯი ამერიკის ერთგვარი რეაქციაა ინდოეთისა და პაკისტანის ბოლოდროინდელ დაახლოებაზე. ინდოეთსა და პაკისტ-


სახელმწიფო მდივანი პაუელი და პრემიერ-მინისტრი ვაჯპაი.

ანს შორის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამი ომი მოხდა, ძირითადად, ქაშმირის სადავო პროვინციის გამო. პაუელის განცხადებით, აშშ მიესალმება მეზობელი ქვეყნების პოზიციების დაახლოებას. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პაკისტანიდან ქაშმირის ინდურ ნაწილში გადასული მუსლიმი მებრძოლების რიცხვი უკანასკნელ პერიოდში შემცირდა და აუცილებელია, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნებულ იქნას. "მთავარია, საზღვრისპირა ძალადობის ფაქტები აღმოიფხვრას და სასიამოვნოა, რომ ამგვარი ქმედებები ორივე მხრიდან დღეისათვის მნიშვნელოვნად შემცირებულია," - ამბობს პაუელი.

პაკისტანში ვიზიტის დღის წესრიგში ბირთვული იარაღის დამზადების საიდუმლოებების გაჟონვის საკითხიც დგას. თებერვალში ცნობილი გახდა, რომ პაკისტანელი მეცნიერი აჰმად ყადირ ხანი ლიბიას, ჩრდილოეთ კორეასა და ირანს ბირთვული საიდუმლოებებით ამარაგებდა.

კოლინ პაუელის ვიზიტი პაკისტანში ანტიტერორისტული ოპერაციების, მათ შორის – ოსამა ბინ ლადენის ძებნის პროცესის გააქტიურებასაც ისახავს მიზნად. პაკისტანელი სამართალდამცველები ბოლო დღეებში ავღანეთის საზღვარზე აქტიურად ებრძვიან "ალ-ქაიდასა" და "თალიბანის" მოძრაობის წევრებს. ამ ოპერაციის დროს მათ ტერორისტების მხარდამჭერ ადგილობრივ ტომებთანაც უწევთ ბრძოლა. დაუზუსტებელი ცნობით, ანტიტერორისტული ოპერაციის საბაბით, რამდენიმე ადგილობრივი ტომის ბელადი უკვე დააკავეს. ბინ ლადენის ძებნის საკითხი პირდაპირ უკავშირდება აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებს. ნომერ პირველი ტერორისტის დაკავება აშშ-ს ახლანდელ მთავრობას ამომრჩეველთა გულის მოგებაში უნდა დაეხმაროს.






# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზურ კლუბში



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*პირველი კონცეფციის წარდგენა.*

გასულ ოთხშაბათს "აფხაზურ კლუბში" დაიწყო აფხაზეთის საკითხის მოგვარების თაობაზე შექმნილი ყველა არსებული კონცეფციის განხილვა. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ასეთი კონცეფცია და, მით უმეტეს – პროგრამა, ჯერ არ შეუქმნია, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე განსხვავებული ვითარებაა. შექმნილი ყოფილა 4-5 შესაბამისი კონცეფცია.

"აფხაზურ კლუბში" განხილვების ციკლი გაიხსნა არასამთავრობო ორგანიზაციის "სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის" მიერ შექმნილი კონცეფციით, რომელიც წარმოადგინა ინსტიტუტის ექსპერტმა ალექსანდრე რუსეცკიმ.

კონცეფცია გამოირჩევა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომით. მასში განმარტებულია, რომ აფხაზეთში საქმე გვაქვს რთულ კონფლიქტთან, რომელიც მრავალი ქვეკონფლიქტისაგან შედგება. მისი დარეგულირებისათვის კი საჭიროა კონფლიქტის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და მათი სათითაოდ მოგვარება. ორსაათიანი განხილვის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებამ, რომელთა შორის პირველად იყო თბილისის საკრებულოს წევრი გიორგი ტაბიძე, კონცეფცია მოიწონა, ავტორებმა კი საკითხისადმი მეცნიერული მიდგომისათვის დიდი მადლობაც დაიმსახურეს. აღნიშნული განხილვების ციკლის მიზანია, კონცეფციის შეჯერებული ვარიანტის შემუშავება და მთავრობისათვის მიწოდება.

დღეს "აფხაზური კლუბის" თემა იქნება "აჭარაში განვითარებული მოვლენები და აფხაზეთი". დისკუსიაში მოწვეულნი არიან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და აჭარის წარმომადგენლები. მონაწილენი განიხილავენ საკითხს, თუ რამდენად ნორმალურია აჭარასა და აფხაზეთში თავის დროზე განვითარებულ მოვლენებს შორის პარალელების გავლება.

*24 საათი*

## ორი ნაბიჯი აფხაზეთისკენ

ზაზა ფაჩუაშვილი

*რამდენიმე დღის წინათ სოხუმიდან დაბრუნდა ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამების დირექტორი ჯონათან კოენი, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ.*

**- როგორი პოლიტიკური ვითარება დაგხვდათ სოხუმში, სადაც არჩევნებისთვის მზადება იწყება?**

- შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში ცოტა ხნის წინ, დაძლეულია. რამდენიმე თვის წინათ დღის წესრიგში იდგა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი და "ამცახარას" მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების შესახებ.

დღეს, როგორც ჩანს, ეს საკითხი მოხსნილია და მიღწეულია შეთანხმება, რომ ვადამდელი არჩევნები აღარ გაიმართება და ყველა ოქტომბრისთვის მოემზადება.

**- რას ნიშნავს აფხაზეთისთვის ეს არჩევნები?**

- რა თქმა უნდა, ამ არჩევნების მიმართ საქართველოს უარყოფითი დამოკიდებულება ექნება – როგორ შეიძლება არჩევნების ჩატარება აუღიარებელ ტერიტორიაზე, საიდანაც დევნილია მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაგრამ აფხაზეთისთვის ეს არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. არძინბას, რომელიც პრეზიდენტი იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სრულყოფილი მმართველობა აღარ შეუძლია. როგორც ამბობენ, აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ის დაუსწრებლად მონაწილეობს, მაგრამ ოპოზიციონერებისთვის ეს მაინც სალაპარაკო გახდა და ისინი მოითხოვენ პრეზიდენტს, რომელიც ჩანს.

**- რამდენი კანდიდატია აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე და რა შეგიძლიათ თქვათ მათ შესახებ?**

- არჩევნების შესახებ ოფიციალური განცხადება ივნისში გაკეთდება და კანდიდატურების ზუსტი ვინაობაც მერე გაცხადდება. მანამდე, ალბათ, ნაადრევიცაა საუბარი, თუმცა რამდენიმე სავარაუდო ფიგურის გამოყოფა ახლავე შეიძლება.

ხაჯინბა – ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, რომელიც თავის დროზე თავდაცვის მინისტრიც იყო. იგი წესიერი ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს და მას მხარს უჭერს აფხაზეთის ინტელიგენცია.

ჯერგენია – ყოფილი პრემიერ-მინისტრი. მას კარგი ფინანსური შესაძლებლობა აქვს და, აქედან გამომდინარე, წარმატების დიდი შანსიც. ბევრი ამბობს, რომ იგი დაკავშირებულია რუსეთთან, და რომ სწორედ მას დაუჭერს რუსეთი მხარს. მაგრამ ვფიქრობ, რუსეთის მხარდაჭერა გადამწყვეტი ფაქტორი მაინც ვერ იქნება. აქ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას, როგორც ამბობენ, მხარს უჭერს გალის რაიონის ქართველი ამომრჩეველი. საერთოდ, გალის რაიონის "გასაღებს" ყველა კანდიდატი ეძებს. ეს, მინიმუმ, 10 ათასი ხმაა.

ლაკერბაია - "აიატაირას" ლიდერი, რომელიც ბოლო ოთხი წელია ოპოზიციაშია. აქვს გარკვეული პოპულარობა, მაგრამ, ჩემი აზრით, იმდენი არა, რომ პრეზიდენტობისთვის საკმარისი აღმოჩნდეს.

ბაღაფში – ყოფილი პრემიერი. მასზე ამბობენ, რომ კავშირი აქვს "ამცახარასთან", თუმცა იგივეს ამბობენ ჯერგენიაზეც, ამიტომ, ჯერჯერობით, გაურკვეველია, ვის დაუჭერს მხარს "ამცახარა".

შამბა – საგარეო საქმეთა მინისტრი. და ბოლოს - მოსკოვში მცხოვრები ანქვაბი და ხაშბა.

აი, ეს კანდიდატები განიხილება აფხაზურ საზოგადოებაში, თუმცა სხვა კანდიდატებიც არიან. იქ ძალიან აინტერესებთ, მაგრამ, ჯერჯერობით, არავინ იცის ვინ იქნება თავად არძინბას რჩეული.

ვფიქრობ, აუცილებლად შეიქმნება პარტიული გაერთიანებები, რომლებიც ლობირებას გაუწევენ კონკრეტულ კანდიდატებს, მაგრამ ჯერ ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ.

**- რა როლს შეასრულებს წინასაარჩევნო კამპანიაში საქართველოსთან ურთიერთობის ფაქტორი?**

- უნდა გითხრათ, რომ ამ მომენტისთვის აფხაზეთში საქართველო ნაკლებად აინტერესებთ და წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოსთან ურთიერთობა სულაც არ იქნება მთავარი თემა. მით უმეტეს, რომ ამ საკითხს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი მხოლოდ ერთი კუთხით – აფხაზეთის დამოუკიდებლობის პოზიციიდან უდგება. სხვანაირი მიდგომა იქ არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, განსხვავებული საუბარი არც პოლიტიკურ წრეებში და არც საზოგადოებაში არ მიმდინარეობს. ამიტომ, ალბათ, არჩევნებში მხარდაჭერას მოიპოვებს ის კანდიდატი, რომელიც უფრო დამაჯერებლად წარმოადგენს აფხაზეთის დამოუკიდებლობის პროგრამას.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ჯონათან კოენი "აფხაზურ კლუბში".*

**- დევნილები, რომლებსაც დღესაც აქვთ კავშირები ენგურსგაღმა, ამბობენ, რომ აფხაზებს შორისაც არიან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები, ოღონდ მათ ხმის ამოღების ეშინიათ.**

- კი, საქართველოში ასეთი აზრი მუსირებს, მაგრამ მე აფხაზეთში, ჯერჯერობით, ასეთი ხალხი არ შემხვედრია.

**- თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად ჩატარდება არჩევნები აფხაზეთში?**

- სოხუმში ახლახან შეიქმნა ეროვნული თანხმობის ფორუმი, რომელიც მოწოდებულია იმისთვის, რომ თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის იბრძოლოს, მაგრამ ამის გარანტია, ცხადია, არ არსებობს. თანაც არ იქნებიან საერთაშორისო დამკვირვებლები, თუმცა იქ იმდენი წყალქვეშა დინებებია, რომ გარანტია არც ეს იქნებოდა. ალბათ, არჩევნებს არაოფიციალურად დაესწრებიან დამკვირვებლები რუსეთიდან და აფხაზეთივით აუღიარებელი სხვა ტერიტორიებიდან.

**- როგორი დამოკიდებულებაა აფხაზეთში საქართველოს ახალი პრეზიდენტისადმი?**

- ძალიან ფრთხილი. და ასეა მთელ ამიერკავკასიაში, ვინაიდან არავინ იცის, რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი სააკაშვილი. აფხაზეთში ინფორმაცია, ძირითადად, რუსეთის მასმედიის საშუალებით შედის. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები კი ძალიან მუქი ფერებით გადმოსცემენ ყველაფერს, დაკავშირებულს სააკაშვილთან, აჩვენებენ სააკაშვილის ნაციონალურ გამოსვლებს. აფხაზეთის მოსახლეობისთვის ეს ძალიან აგრესიული რიტორიკაა. ამიტომ, აფხაზეთში სააკაშვილს არ ენდობიან. მას პოპულისტად და რომანტიკულ ნაციონალისტად მიიჩნევენ. აფხაზეთში აგრეთვე, დიდი გულისყურით აკვირდებიან, აჭარაში განვითარებულ მოვლენებს და ამბობენ: საქართველოს ახალი ხელისუფლება აჭარას თუ ამას უბედავს, ჩვენ რაღას უნდა ველოდოთო. ასეთია მათი განწყობილება.

**- "აფხაზური კლუბის" შეხვედრაზე თქვენ ამბობდით, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს უნიკალური შანსი, გადადგას წარმატებული ნაბიჯები აფხაზეთის მიმართულებით. რას ნიშნავს ეს?**

- სააკაშვილს შეუძლია გააკეთოს ის, რაც შევარდნაძეს არ გაუკეთებია – გადადგას ორი, ჩემი აზრით, ძალიან საჭირო ნაბიჯი. პირველი – გამოაცხადოს, რომ გამორიცხავს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას სამხედრო გზით და მეორე – აქცენტი გააკეთოს ეკონომიკურ ფაქტორებზე. ამით, გარკვეულწილად, აღდგება ნდობის ფაქტორი და შეჩერდება საქართველოდან აფხაზეთის გაუცხოების პროცესი.

დღეს საქართველოს ინიციატივით გამოცხადებულია აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა, რასაც საქართველოსთვის არაფერი მიუცია. აფხაზეთი კი იძულებული გახადა, რუსეთისკენ გადახრილიყო. ამით კიდევ უფრო გაღრმავდა გაუცხოების პროცესი. საქმე ისაა, რომ რუსეთის ბიზნესმენთა გარკვეული ნაწილი გამოცხადებულ ბლოკადას არაფრად აგდებს და აფხაზეთში ინვესტიციებით შედის. შედეგად, აფხაზეთის ეკონომიკა მთლიანად რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული ხდება. ამიტომ, დღეს აფხაზებისთვის რუსეთი არის პარტნიორი, საქართველო კი – ოპონენტი (რბილად რომ ვთქვათ).

საქართველოს თუ ამ ვითარების შეცვლა სურს, მაშინ უნდა მოხსნას ბლოკადა და ეკონომიკური ურთიერთობები აღადგინოს. საქართველოს პრეზიდენტს კი, რომლის ლეგიტიმაციის ხარისხი ძალიან მაღალია, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება არ უნდა გაუჭირდეს.

ცხოვრებისეული ისტორიები

## აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთს უნდა ვაპატიოთ...

მე ვარ იზოლდა ფაჩულია, სოხუმიდან. თორმეტი წელია ვაჟიშვილთან ერთად წყნეთში ვცხოვრობ. ჩემი მშობლები დღემდე სოხუმში ცხოვრობენ. დედა აფხაზი მყავს, მამა – ქართველი. აფხაზეთის დატოვების შემდეგ, ათი წლის განმავლობაში არ მენახა მშობლები. შარშან, როგორც იქნა, ჩვენი დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა შედგა.

ჩავედი სოხუმში, ვნახე მშობლები. რა თქმა უნდა, იყო ბევრი ცრემლი და სიხარული.

სოხუმიდან ზუგდიდში იმავე "მარშრუტკით" დავბრუნდი, რომლითაც იქითობისას - ზუგდიდიდან სოხუმში ვიმგზავრე. მე მგონი, იქ მხოლოდ ის ერთი "მარშრუტკა" მოძრაობს - გარკვეულ დღეებში ენგურსა და სოხუმს შორის დადის.

დედა ყოველთვის დედაა – ორი ჩანთით ბევრი რამ გამომატანა, ძალიან მძიმე იყო და ამიტომ, ენგურამდე თავად გამომაცილა.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ჩვენმა მძღოლმა – ახალგაზრდა ბიჭმა გვითხრა, ცოტა ხნით მერხეულში უნდა შევიაროო. კიდევ კარგი, გაგვაფრთხილა, თორემ გაუფრთხილებლად რომ გადაეხვია მერხეულისკენ, "მარშრუტკაში", ალბათ, საშინელი პანიკა ატყდებოდა, მით უმეტეს, რომ მანქანაში მხოლოდ ქალები ვისხედით.

მივედით მერხეულში. ძალიან დამაინტერესა, რა ხდებოდა იქ და რატომ გავიმრუდეთ გზა. აღმოჩნდა, რომ სადგურ მერხეულში ერთ მოხუც ბებიას თავისი შვილებისთვის ნივთების გაგზავნა უნდოდა ენგურს გაღმა და დახმარება ჩვენი "მარშრუტკის" მძღოლს სთხოვა. მანაც მოიბა მოსაბმელზე დალაგებული ბებიას ავლა-დიდება და ენგურს გაღმა - მეორე მხარეს გადმოიტანა.

მინდა ვთქვა, რომ მთელი გზა ჩვენს ახალგაზრდა მძღოლს ერთადერთი კასეტა ჰქონდა ჩართული, რომელზეც მხოლოდ ქართული სიმღერები იყო ჩაწერილი. ენგურიდან სოხუმისკენ გზას მივუყვებოდი, ხარბად ვათვალიერებდი დიდი ხნის უნახავ ადგილებს, მესმოდა ქართული სიმღერები და როცა გავაცნობიერე, როგორ მდგომარეობაში ვიყავი – ტირილი მომინდა... მძღოლს ვკითხე – სხვა კასეტა არა გაქვს-მეთქი?

- როგორ არა მაქვს, მაგრამ ეს კარგი მუსიკაა, კარგი სიმღერებია. რა ვქნა, მე დედა მეგრელი მყავს, ხობიდან, ჩემი დაც ქართველზეა გათხოვილი – სამტრედიაში ცხოვრობს, – მიპასუხა გულახდილად...

მგზავრობის დარჩენილი დრო მოგონებებში გავატარეთ: ვიხსენებდით ომისდროინდელ ამბებს, ეს აფხაზი ბიჭი დაუფარავად გვიყვებოდა, როგორ ეხმარებოდა ქართველებს მეორე მხარეს უსაფრთხოდ გადასვლაში...

ცოტა ხანში ამ აფხაზ ბიჭს, სრულიად უცხოს, ისე გულღიად ვესაუბრებოდით, რომ ყველანი აბსოლუტურად დავმშვიდდით.

მე არა მგონია, აფხაზები ისეთი ხალხი იყოს, რომ პატიება არ შეეძლოთ. ჩვენ, ქართველებიც ასევე ვართ. ამიტომ, ეს ყველაფერი წარსულს უნდა ჩაბარდეს.

მჯერა, მომავალში ყველაფერი ისეთივე კარგი და უსაფრთხო იქნება, როგორც ჩემი მოგზაურობა აფხაზეთში, ენგურიდან – სოხუმამდე და სოხუმიდან - ენგურამდე...

*რუბრიკას უძღვება*
***ლელა მარგიანი,***
***რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".***

ანონსი

**შაბათს, 20 მარტს 17:00 საათზე**
კინოს სახლში გაიმართება
სტუდია რეს მიერ მომზადებული ფილმების
**"ჩრდილოირლანდიური გამოცდილება"**
და
**"მშვიდობის იმედით"**
(გალის რაიონში არსებული სიტუაციის შესახებ) ჩვენება.
*მისამართი: თბილისი, "კინოს სახლი", ძმები კაკაბაძეების N2*

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

**FM 107,4**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## ძალიან გვინდა, დევნილებს იმედი კვლავ არ გაგვიქარწყლდეს

ლელა მარგიანი

*გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის "ქალთა საბჭოს" თავმჯდომარე როზა კუხალაშვილი*

**- ქალბატონო როზა, თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი საქმიანობის შესახებ.**

- "ქალთა საბჭოები" საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა ერთი მიზნით – მსოფლიოს დაენახა, რომ სსრკ-ში ქალთა უფლებებს იცავდნენ. ამჟამად ქალთა საბჭოებს სულ სხვა დატვირთვა აქვთ.

თავდაპირველად, მხოლოდ ქველმოქმედება იყო ჩვენი პრიორიტეტი. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა დევნილების ის კატეგორიები, ვინც განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებდა. ესენი იყვნენ: მრავალშვილიანი და მარჩენალდაკარგული ოჯახები, მარტოხელა დედები, დაობლებული ბავშვები. ისინი ახლაც ჩვენი ბენეფიციარები არიან და მათთან თანამშრომლობა არ გაგვიწყვეტია. შემდეგ დადგა დრო, როდესაც მივიჩნიეთ, რომ მხოლოდ ქველმოქმედება საკმარისი აღარ იყო. ამიტომ, 1995 წლის თებერვალში დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია - "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საბჭო", რომელშიც ამჟამად 57 ქალბატონია გაერთიანებული.

1998 წელს, ხელახალი რეგისტრაციის დროს ცვლილება შევიტანეთ წესდებაში, რომელიც ითვალისწინებდა ქალების მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ჩვენ დავრწმუნდით, რომ პოლიტიკოსები ადრე თუ გვიან მივიდოდნენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებამდე. ამ პროცესში კი ქალებს ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. ამას ადასტურებს ისიც, რომ ქალები, ვინც ყველაზე მეტი ტკივილი მიიღო, ვინც დაკარგა შვილი, მეუღლე, ახლობელი, მიიჩნევენ - აფხაზეთში მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა დავბრუნდეთ. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან აფხაზეთის მოსახლეობის 41-44 პროცენტი შერეული ოჯახების შვილები არიან. მათი უმეტესობა კი ქართულ-აფხაზური ოჯახებია.

**- თქვენ, როგორც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის და ქალთა სამშვიდობო საბჭოს წევრს, რა შეგიძლიათ გვითხრათ აფხაზეთის პრობლემის თაობაზე?**

- 2000 წელს შეიქმნა საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია. ჩვენი ორგანიზაცია თავიდანვე გაწევრიანდა მასში და, რა თქმა უნდა, ავირჩიეთ მიმართულება "ქალი და მშვიდობისმშენებლობა". უნდა ითქვას, რომ ეს სამუშაო ჯგუფი კოალიციაში ყველაზე წარმომადგენლობითია, რადგან ბევრ ქალბატონს მიაჩნია, რომ მშვიდობა პრიორიტეტულია ჩვენი საზოგადოებისთვის. პირველ ყოვლისა, დავიწყეთ ურთიერთობა კონფლიქტის მონაწილე მეორე მხარის ქალბატონებთან. ეს შეხვედრები ტარდებოდა, ძირითადად, ქალთა სამოქალაქო დიპლომატიის კუთხით. გვქონდა რამდენიმე შეხვედრა გალსა და ცხინვალში არასამთავრობო ორგანიზაციების წევრ ქალბატონებთან. შემდგომი მიმართულება იყო ქალთა საინფორმაციო სააგენტოს შექმნა. გამოვიდა ბიულეტენები. ტელევიზიით გავიდა სარეკლამო რგოლი. ყველგან ვაფიქსირებდით, რომ დაბრუნება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

**- თქვენი აზრით, რა უშლის ხელს კონფლიქტის მოგვარებას?**

- პირველ ყოვლისა, ის რეჟიმი, რომელიც აფხაზეთში არსებობს. იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა, მაინც ვერ მოხერხდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. იქ ჯერ კიდევ ძველი მიდგომებია. მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტის ავადმყოფობის მიუხედავად, მან თავისი ვადა უნდა ამოწუროს. არ ვიცი, ასეთი მიდგომის საფუძველი აფხაზების ტრადიციულობაშია, თუ სხვა რამეა.

ჩემი აზრით, მეორე მიზეზი არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას დღემდე არ გააჩნია გეგმა აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში. ასე არ შეიძლება. თავისთავად არაფერი არ გადაწყდება. მხოლოდ უცხოური ორგანიზაციების იმედად რამდენ ხანს უნდა ვიყოთ? მათი დახმარებით და ფინანსებით ეწყობა სხვადასხვა დონის შეხვედრები. გაერო-მ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი ვალდებულებებს არ ასრულებენ. ამიტომ საჭიროა სხვა მექანიზმების ამოქმედება. რა თქმა უნდა, მხოლოდ სამშვიდობო ფორმატში.

**- როგორია დევნილების სოციალური მდგომარეობა?**

- მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ დევნილთა უდიდესი ნაწილი ამჟამად გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ეს იყო 1993, 1994 და 1995 წლებში. იმ პერიოდში ადამიანებს ჰქონდათ ძალიან დიდი იმედი, რომ დაბრუნდებოდნენ აფხაზეთში. ამავე დროს, მაშინ მთელი მსოფლიო გვეხმარებოდა და, ფაქტობრივად, დევნილებს "საჭმლის" პრობლემა მოხსნილი ჰქონდათ. ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან 14-ლარიანი დახმარების იმედად. ეს თანხა, რა თქმა უნდა, პურის ფულადაც არ ჰყოფნით. დევნილებს მხოლოდ რამდენიმე შეღავათი აქვთ: ეძლევათ მეტროს სამგზავრო ბილეთები, 4-5 კაცზე – ერთი, და შეღავათი ელექტროენერგიაზე მხოლოდ კომპაქტურად ჩასახლებულებს. დევნილი მრავალშვილიანი დედები და დევნილი პენსიონერები არ სარგებლობენ დედაქალაქის მსგავსი კატეგორიების მაცხოვრებლებისთვის გათვალისწინებული შეღავათებით. არადა, ეს ხალხი აქ ცხოვრობს და თუ ჰარმონიული საზოგადოების აშენება გვინდა, ასე არ უნდა ხდებოდეს. ფაქტია, რომ თითქოს ყველას მობეზრდა მათი გაჭირვება: ნათესავსაც, ახლობელსაც. აბა, შეიძლება ათი წლის მანძილზე სულ ვიღაც გეხმარებოდეს?! ამდენად, სრული უიმედობაა. გახშირდა სიკვდილიანობა, ავადმყოფობები, მკვეთრად შემცირდა შობადობა. რაღაც უნდა შეიცვალოს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გარკვეული იმედები გაჩნდა და ძალიან მინდა, რომ ეს იმედებიც არ გაუქარწყლდეთ.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტთა განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტები აღშფოთებას გამოვთქვამთ საქართველოს ულამაზეს კუთხეში - აჭარაში განვითარებული მოვლენების გამო. მიგვაჩნია, რომ აჭარის რეგიონალური ხელისუფლების ხელმძღვანელ პირთა ქმედებები არის ანტიკონსტიტუციური, უკანონო და ანტისახელმწიფოებრივი. აბსურდულად მიგვაჩნია ასლან აბაშიძის განცხადებები, რომელშიც ის პარალელს ავლებს 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებსა და ამჟამად აჭარაში განვითარებულ მოვლენებს შორის. ასლან აბაშიძის ასეთი ქმედებები შედის რუსეთის შავბნელი და რეაქციული ძალების ინტერესებში და მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევისკენ.

შუასაუკუნოვანი და დანაშაულებრივი რეჟიმი ყოველგვარ ხერხს მიმართავს, რათა გაიხანგრძლივოს კანიბალური მმართველობა აჭარაში ხალხის კაბალური მდგომარეობის ხარჯზე.

ასლან აბაშიძე წლების განმავლობაში აპელირებდა აჭარის მოსახლეობის სახელით და თითქოს თავისი განცხადებებით გამოხატავდა აჭარის მოსახლეობის ერთიან აზრს.

სინამდვილეში ასლან აბაშიძეს აჭარის მოსახლეობის მდგომარეობა საერთოდ არ აწუხებდა და ის იბრძოდა ფეოდალური რეჟიმის შესანარჩუნებლად. ამით ის მაგალითს აძლევდა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას და საფუძველს აცლიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლად მიგვაჩნია: ასლან აბაშიძის დანაშაულებრივი რეჟიმის გასაიარაღებლად აუცილებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აქტიური მშვიდობიანი ღონისძიებების გატარება.

მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს, დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და არ დაუშვას აბაშიძის კრიმინალური რეჟიმის მხრიდან ამ ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა, აბაშიძის დანაშაულებრივი ქმედებების ასალაგმავად გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები და გამოიყენოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ბერკეტები.

## თსუ-ს სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა განცხადება

თსუ სოხუმის ფილიალის მრავალათასიანი კოლექტივი დიდი გულისტკივილით აღიქვამს აჭარაში მიმდინარე მოვლენებს.

აფხაზეთის მოსახლეობამ 1992-1993 წლებში და მას შემდეგ თავის თავზე იწვნია რეგიონსა და ცენტრს შორის დაპირისპირების მძიმე შედეგები.

დევნილი მოსახლეობა იმედითა და მხარდაჭერით შეხვდა "ვარდების რევოლუციას", უპირობოდ, აბსოლუტური უმრავლესობით მიესალმა ბატონ მიხეილ სააკაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევას.

ჩვენ სამართლიანად გაგვიჩნდა რწმენა, რომ ნიჭით, პროფესიონალიზმით, შეუპოვრობით, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ახალი პრეზიდენტი, დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით, მართლაც აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სოხუმის ფილიალი დამკვიდრდება მშობლიურ აფხაზეთში სოხუმის უნივერსიტეტის სახით.

ბუნებრივია, რომ რუსეთზე პოლიტიკურად და ფინანსურად ორიენტირებულ გარკვეულ ძალებს აშფოთებთ საქართველოს წინსვლა, რომელიც აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენასაც განაპირობებს.

დღეს აჭარაში განვითარებული მოვლენები მხოლოდ საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამს წყალს.

თსუ სოხუმის ფილიალის კოლექტივი მხარს უჭერს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოშიმშილე პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მოთხოვნას ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დიალოგის გამართვის შესახებ, რაც დაგროვილი პრობლემების მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაჭრას ითვალისწინებს.

ამავე დროს, ჩვენ მოვუწოდებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას, მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას საპარლამენტო არჩევნებში თავისუფალი არჩევანის უფლება, რათა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში დაიწყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ორიენტირებული იქნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებზე.

თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები მხარს ვუჭერთ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას და მოვუწოდებთ მას, გადადგას შორსმჭვრეტელური, შესაძლებელია, კომპრომისული ელემენტების შემცველი ნაბიჯები, რათა მომავალში საქართველო გახდეს ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო.

# ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარე დაპატიმრებულია

*საქართველოს ავიაციის მაღალჩინოსნების საქმიანობით გენერალური პროკურატურა ჯერ კიდევ წლების წინ დაინტერესდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი ქართულ საპყრობილეში აღმოჩნდა რამდენიმე მაღალჩინოსანი, რომელთა წარსული საქმიანობა და ამჟამინდელი ბრალდებები პირდაპირ თუ ირიბად სწორედ ავიაციას უკავშირდება. გუშინ კი მათ რიცხვს საქართველოს ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძეც შეემატა.*

თამარ კაციტაძე

ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარე, რომელმაც თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება ხუთი დღით ადრე დაწერა, გენერალურ პროკურატურაში გუშინ მოწმის სახით დასაკითხად დაიბარეს. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, გამოძიებამ იგი თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებაში ცნო ეჭვმიტანილად და დააკავა.

ვიდრე ავიაციის მაღალჩინოსნის უშუალო ბრალეულობაზე ვისაუბრებთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ზურაბ ჭანკოტაძის დაპატიმრებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ასლან აბაშიძეს აჭარის საჰაერო სივრცის დახურვა სწორედ ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილმა თავმჯდომარემ შეატყობინა. გადამოწმდება თუ არა გამოძიების მიერ აღნიშნული ინფორმაცია, ან რა კავლიფიკაცია მიეცემა მას, მომავალი გვიჩვენებს, ახლა კი უშუალოდ იმ ბრალდებაზე, რომელსაც გამოძიება ჭანკოტაძეს დღეს ედავება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამოძიების მასალების თანახმად, ზურაბ ჭანკოტაძემ სამოქალაქო ავიაციაში თვითნებურად დააწესა ყოველწლიური რეგულირების გადასახადი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ფირმაზე ვრცელდებოდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული გადასახადი 2003 წლის იანვარში ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა და, აქედან გამომდინარე, გაუქმდა კიდეც. თუმცა, ავიაციის ადმინისტრაციის მაშინდელმა თავმჯდომარემ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის გვერდის ავლა შემდეგი მაქინაციით მოახერხა – მან, საკუთარი გადაწყვეტილებით, აღნიშნულ გადასახადს, უბრალოდ, სახელი შეუცვალა და, ხელშეკრულების საფუძველზე, უკანონო გადასახადი დაუწესა შპს "ნავიგაციას", შპს "აეროდრომს" და სპს "ეარ-ბი-ეი-ჯორჯიას". აღნიშნული მაქინაციიდან კი მთლიანობაში ჭანკოტაძემ 734 ათასი ლარის მოგება მიიღო, სამაგიეროდ, იგივე თანხით იზარალეს დასახელებულმა ფირმებმა.

"გამოძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ჭანკოტაძის სხვა დანაშაულებსაც აეხადოს ფარდა", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარის საქმის გამოძიების კურატორმა ემზარ ღარიბაშვილმა.


*ზურაბ ჭანკოტაძე წინასწარი დაკავების საკანშია.*

სხვათა შორის, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჭანკოტაძის საქმესთან დაკავშირებით, გენერალურ პროკურატურაში უნდა მიეყვანათ უკვე პატიმრობაში მყოფი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრი მერაბ ადეიშვილი.

რა კავშირი აქვთ მერაბ ადეიშვილს და ზურაბ ჭანკოტაძეს, ჯერჯერობით, გამოძიება არ ასახელებს. თუმცა, ყოფილი მინისტრის დაკავების დროს ავიატორების ერთი ჯგუფის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის და გენერალური პროკურორისთვის გადაცემულ მასალებს თუ გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრის და ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარის გვარები პირდაპირ უკავშირდება ქართული ავიაციის გაკოტრებას, რაზეც კონტროლის პალატა საკუთარ დასკვნაში საუბრობს.

**"ჩვენ გვაქვს სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ადეიშვილისა და ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის ჭანკოტაძის კორუმპირებულობას ადასტურებს. გაუგებარია, რას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ავიაკომპანიაში სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც იაშვილი თავმჯდომარეობდა? ეს იყო დატაცების საბჭო. თვითმფრინავები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე კვებავდა სახელმწიფოს, იმ მოტივით, რომ უვარგისი იყო, ჩალის ფასად გაიყიდა. ავიაციაში ჩადენილი უღირსი საქმეების ორგანიზატორები და შემსრულებლები საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი და ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ჭანკოტაძე არიან",** - ჯერ კიდევ ადეიშვილის დაპატიმრებამდე განაცხადეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ასოციაციის წევრებმა და აღნიშნული სიტყვების დამადასტურებელი დოკუმენტები პროკურატურას გადასცეს.

ავიაციის ადმინისტრაციის იმდროინდელმა თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ აღნიშნულ განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა: **" მე სულ არ მაინტერესებს, რა განცხადებებს გააკეთებენ. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ორ დღეში პრესკონფერენციას გავმართავ და იქ მობრძანდით",** – აღნიშნა მაშინ "24 საათთან" საუბრისას ჭანკოტაძემ, მაგრამ გუშინდლამდე აღნიშნულ თემაზე მას პრესკონფერენცია არ მოუწვევია. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ასოციაციის წევრების განცხადებებზე და მათ მიერ პროკურატურისთვის გადაცემულ მასალებზე პასუხის გაცემა ზურაბ ჭანკოტაძეს გამოძიების მსვლელობისას მოუწიოს.

# აჭარელ მაღალჩინოსნებს იმუნიტეტი მოეხსნათ

პირველი გვერდიდან

გუშინ გამართული საგანგებო ბრიფინგი გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა იმ ბრალდებულთა გვარების დასახელებას მიუძღვნა, რომლებიც წლების განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელად მოიაზრებიან.

გენერალური პროკურორის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ბათუმში 24 თებერვალს მშვიდობიანი მანიფესტანტების დარბევის ფაქტზე. ხოლო დაზარალებულებისა და ნეიტრალური პირებისაგან მიღებული ჩვენებების საფუძველზე ბრალი ქობულეთის გამგებლის, სხვა დანაშაულისთვის ძებნილ ტარიელ ხალვაშს წარედგინა. იმავე საქმეშია ბრალდებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის პირადი დაცვის უფროსი დავით ხალვაში, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, წარსულში სხვა მრავალი დანაშაულის ჩადენაშიც იმხილება. მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ბათუმის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილეს ვაჟა თაბაგიძეს და პროკურატურის თანამშრომელს ნოდარ იაკობიძეს. თუმცა, გენპროკურორის ვარაუდით, აღნიშნული დანაშაულის გამო, მომავალში სისხლის სამართლის საქმე კიდევ ბევრი პიროვნების მიმართ აღიძრება.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ასევე დასრულების სტადიაშია გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტის ვახტანგ კომახიძის ცემის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაც, სადაც გაცილებით უფრო მაღალი თანამდებობის პირების გვარები იკვეთება, მათ შორის - აჭარის უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე, ავტონომიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ბაკურიძე და აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილე გოგი კუპრეიშვილი.

სამართლებრივი შეფასება უკვე მიცემული აქვს 14 მარტს ჩოლოქთან განვითარებულ მოვლენებსაც, რაზეც სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სამხედრო ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებისა და კანონიერი ხელისუფლების დაუმორჩილებლობის მუხლებით.

**"აღნიშნულ საქმეებში აშკარად იკვეთება აჭარის შს მინისტრის ჯემალ გოგიტიძის ბრალეულობა, თუმცა იგი ჯერ კიდევ პარლამენტის წევრია და გენპროკურატურას მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა სჭირდება",** - აღნიშნა გუშინდელ ბრიფინგზე ირაკლი ოქრუაშვილმა და დასძინა: **"ახლა საკანონმდებლო ორგანოზე იქნება დამოკიდებული, რამდენად დროულად მოუხსნიან გოგიტიძეს იმუნიტეტს."**

გენპროკურორის ინფორმაციით, იმავე დანაშაულში იკვეთება აჭარის უშიშროების მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ბრალეულობის საკითხიც.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ უკვე გახსნილია აჭარის შს მინისტრის ყოფილი მოადგილის თემურ ინაიშვილის მკვლელობის საქმეც. გენპროკურორის ინფორმაციით, აღნიშნული მკვლელობა ორგანიზებული იყო დავით ბაკურიძის მიერ, ხოლო შემსრულებლები არიან წარსულში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი გოჩა სიამაშვილი, ჯამბულ გუჩმანიძე და ლერი ბერიძე.

**"ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პიროვნებაზე გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გაიყინება მათი საბანკო ანგარიშები. ამასთან, მოხდება აღნიშნული თანხების კონფისკაცია,"**- გვპირდება გენერალური პროკურორი.

რაც შეეხება მთავარ კითხვას – რა ბედი ელის ყველა დანაშაულის "სათავეს" ასლან აბაშიძეს?

**"გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სისხლის სამართლის საქმეა აღძრული აჭარის ლიდერსა და მის ვაჟზე. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ტყუილია. ასლან აბაშიძის და მისი შვილის, გიორგი აბაშიძის მიმართ არანაირი საქმე არ არის აღძრული და მათი მხრიდან ამ ეტაპზე არც არანაირი დანაშაულებრივი ქმედებები არ იკვეთება. ასლან აბაშიძეს ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ დანაშაულში მისი მონაწილეობა არ იქნას დადასტურებული,"** – განაცხადა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ერთი სიტყვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირაკლი ოქრუაშვილი არ ხუმრობს და გვპირდება, რომ დასახელებულ პიროვნებებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოძებნის და დააპატიმრებს. მაგრამ, შეძლებენ თუ არა ქართველი სამართალდამცველები აჭარელი ბრალდებულების თავად აჭარაში დაპატიმრებას, მომავალი გვიჩვენებს.

# გამომძიებლები გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს

*ბათუმელი სტუდენტების - მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძისათვის თბილისიდან გაშვების ნებართვის გაცემის გამო დაკავებული გამომძიებლები, რომლებსაც რამდენიმე დღის წინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა, გუშინ იმავე სასამართლომ და იმავე მოსამართლემ მამუკა სონღულაშვილმა გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვა და სახლებში გაუშვა.*

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი, რომელიც გამომძიებლებისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებისთანავე შვებულებაში გავიდა, გუშინ სპეციალურად გამოიძახეს და მან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახურის უფროსის ზაზა მესხისა და ამავე სამსახურის გამომძიებლების - მამუკა გვარამიასა და გიორგი ძიძიგურის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის საკითხი გუშინ ხელმეორედ განიხილა.

საქმე ისაა, რომ დაკავებულთათვის შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება - პატიმრობა - დაკავებულთა ინტერესების დამცველებმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს და ეს საკითხი საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატას უნდა განეხილა, თუმცა საქმეში გაჩენილი ახალი გარემოებების გამო დაპატიმრებულ გამომძიებელთა საქმე სააპელაციო ინსტანციიდან ისევ რაიონულმა სასამართლომ გამოითხოვა და მათი პატიმრობის სანქციის მართებულობა კვლავ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა განიხილა. ხანმოკლე დახურული პროცესის შემდეგ ზაზა მესხი, მამუკა გვარამია და გიორგი ძიძიგური ბადრაგმა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს შენობიდან ორთაჭალის მეხუთე საპყრობილეში აღარ გადაიყვანა. მათ მოსამართლემ გაუსვლელობის ხელწერილი დააწერინა და ოჯახებში გაისტუმრა. გამომძიებლების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება გრძელდება, თუმცა სახლში გაშვებული ბრალდებულების ინტერესების დამცველები თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდება.

**"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საბოლოოდ დამტკიცდეს მესხის, გვარამიასა და ძიძიგურის უდანაშაულობა. მივესალმებით სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებას, თუმცა ეს მაინც ნახევრად სწორ გადაწყვეტილებად ითვლება, რადგან ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთათვის არანაირი აღმკვეთი ღონისძიება გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო საქმეში არსებული მათი უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების გამო",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ადვოკატმა ზურაბ ტაბიძემ.

სხვათა შორის, დაკავებული გამომძიებლების გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს დეპუტატებმა. იმასაც შეგახსენებთ, რომ დაკავებულთა ახლობლებს რამდენიმე დღის წინ საპატრიარქოც დაჰპირდა დახმარებას.

*24 საათი*

# გენპროკურატურა ფეროშენადნობთა ქარხანას მიადგა

ქუთაისის მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორის ამირან ნაცვლიშვილის დაპატიმრების შემდეგ, სამართალდამცველები ფეროშენადნობთა ქარხანას მიადგნენ. გუშინ გენერალურმა პროკურატურამ "ფეროს" დირექტორის მოადგილე ტარიელ ცინცაძე, ენერგეტიკის სფეროს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად დააკავა. ცინცაძის გვერდით წინასწარი დაკავების იზოლატორში აღმოჩნდნენ ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ექსპერტი მანანა კარბელაშვილი, იმავე სამსახურის სპეციალისტი ზარიძე და ელექტროსისტემის კიდევ ერთი მაღალჩინოსანი - ჯაფარიძე. დასახელებულ პიროვნებებს გენერალური პროკურატურა ფეროშენადნობთა ქარხანაში და ენერგეტიკის სფეროში განხორციელებულ მაქინაციებს ედავება. კერძოდ, ცინცაძე დასახელებულ პიროვნებებთან ერთად ქარხანაში ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან მიღებულ დენს ყალბი ოქმებით და საექსპერტო დამოწმებებით ჩამოწერილად აჩვენებდა, რითაც სახელმწიფომ ასიათასობით ლარის ზარალი განიცადა. გამოძიების ხელთ არსებული მასალებით, საუბარია 800 ათასი ლარის გაფლანგვაზე. ამასთან, ტარიელ ცინცაძეს ბრალი ედება 861 ათასი აშშ დოლარის მითვისების მცდელობაშიც. აღნიშნულ საქმეზე მოკვლევა გენერალურმა პროკურატურამ ცოტა ხნის წინ დაიწყო და რამდენიმე დღის წინ სისხლის სამართლის საქმეც აღძრა. ცინცაძეს, კარბელაშვილს, ზარიძეს და ჯაფარიძეს ბრალი რამდენიმე მუხლით გუშინვე წარედგინა, მათ შორის არის ისეთი მძიმე დანაშაულები, როგორიც თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტება, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მითვისება, სამსახურებრივი სიყალბე და ა.შ.. ჩვენი ინფორმაციით, დაპატიმრებული მაღალჩინოსნებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით გენერალური პროკურატურა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს დღეს მიმართავს და, წინასწარი ინფორმაციით, იგი დაპატიმრებულთათვის წინასწარ სამი თვით პატიმრობას მოითხოვს. დააკმაყოფილებს თუ არა მართლმსაჯულება პროკურატურის მოთხოვნას, დღეს გახდება ცნობილი. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ფეროს ირგვლივ პროკურატურა კვლავაც გააგრძელებს მუშაობას და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ციხეში ამ სფეროს სხვა მაღალჩინოსნებიც ვიხილოთ.

*24 საათი*

# უშიშროების სამინისტრო მოსალოდნელ დივერსიულ აქტებზე საუბრობს

*საქართველოს უშიშროების სამინისტრო დივერსიული აქტების მოლოდინშია. უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ მოსახლეობას გამაფრთხილებელი შეტყობინება მიაწოდა. "გარკვეულმა ძალებმა აჭარაში არსებული სიტუაციიდან ყურადღების გადატანის მიზნით, შესაძლოა, საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში დივერსიული აქტების განხორციელება სცადონ," – განაცხადა გიგი უგულავამ.*

უშიშროების სამინისტროში ეჭვობენ, რომ გუშინ, გამთენიისას, თბილისისა და მცხეთის დამაკავშირებელ სარკინიგზო მაგისტრალზე მომხდარი აფეთქება აჭარაში განვითარებულ მოვლენებთანაა კავშირში. გუშინ, გამთენიისას, თბილისი-მცხეთის სარკინიგზო მაგისტრალზე აფეთქება მოხდა. რადგან აფეთქებისას რკინიგზაზე მატარებლების შემადგენლობა არ მოძრაობდა, მომხდარს მძიმე შედეგი არ მოჰყოლია.

გუშინ მცხეთა-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალზე თითქმის მთელი დღის განმავლობაში გამნაღმველები და ექსპერტები მუშაობდნენ. ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, რა სახეობის და რა რაოდენობის ნივთიერებაა აფეთქებული. სპეციალისტთა განცხადებით, აფეთქება საკმაოდ სერიოზული იყო და მას მძიმე შედეგებიც მოჰყვებოდა, თუ სარკინიგზო ხიდზე მძიმე სატვირთო მატარებელი გაივლიდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რკინიგზაზე მომხდარი აფეთქების კვალი პირველად დილის რვა საათზე ბორჯომის მიმართულებით მოძრავი ელექტრომატარებლის მემანქანემ შენიშნა, რომელმაც მატარებლის დამუხრუჭება შეძლო. მცხეთა-მთიანეთის მხარის უშიშროების უფროსის ზურაბ წიკლაურის ინფორმაციით, **"აფეთქება, დაახლოებით, დილის შვიდის ნახევარზე მოხდა. მართალია, აფეთქების ხმა მცხეთის რეაქტორის თანამშრომლებმა გაიგეს, მაგრამ თვითმხილველი არავინ არის. ინციდენტისას, სავარაუდოდ, "ტროტილი" უნდა იყოს გამოყენებული".**

გუშინ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ტრანსპორტის პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლები. როგორც გაირკვა, აფეთქებამ დააზიანა ხის ორი განძელი, ამავე მონაკვეთზე ლიანდაგები განძელებს დაცილებულია. შემთხვევის ადგილზე ჩატარებული მოკვლევის შედეგად ამოღებულია მტკიცებულებები.

გამთენიისას მომხდარ აფეთქებას მატარებლების მოძრაობა არ შეუფერხებია, რადგან პარალელური ლიანდაგების გამოყენება მოხერხდა. მოგვიანებით, აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, მატარებლების მოძრაობა აღდგა აფეთქების შედეგად დაზიანებულ ხაზზეც.

უშიშროების სამინისტრომ მომხდარს დივერსიისა და საბოტაჟის კვალიფიკაცია მისცა.

**"უკვე გაგვაჩნია პირველადი ვერსიები და მონაცემები იმისა, რა მიმართულებით შეიძლება მიდიოდეს დამნაშავეთა კვალი. არსებობდა წინასწარი ინფორმაციები, როგორ ცდილობდა აჭარის ავტონომიის ლიდერის - ასლან აბაშიძის რეჟიმი არეულობების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, თუმცა მოვლენების ამგვარი მიმართულებებით განვითარებას არ ველოდით",** - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი.

*24 საათი*

# სისასტიკით ცნობილი კრიმინალი უშიშროების სპეცრაზმმა დააკავა

*"შიდა ქართლში ლეკიანობაა!" - შიდა ქართლში არსებული ურთულესი კრიმინოგენული სიტუაცია რეგიონის მოსახლეობამ რამდენიმე თვის წინ ასე შეაფასა. მკვლელობებით, ძარცვა-ყაჩაღობით, ადამიანისა და მანქანების გატაცებით შეწუხებულმა მოსახლეობამ არაერთხელ მოაწყო საპროტესტო აქციები და ხელისუფლებას მათი არსებობა შეახსენა.*

ინგა ალავიძე

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რამდენიმე კვირის წინ სიტუაცია კიდევ ერთხელ დაიძაბა. კონფლიქტის ზონაში მცხოვრებმა ქართველებმა ცხინვალსა და დიდი ლიახვის ხეობაში საპროტესტო აქცია მოაწყვეს, ოსი ეროვნების დამნაშავეთა დაკავება და საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვეს. არაკონტროლირებად ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ თავის დროზე უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ხმაურიანი განცხადება გააკეთა. ვალერი ხაბურძანიამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის იმ კრიმინალური დაჯგუფებების ხელმძღვანელებზეც ისაუბრა, რომლებიც ცხინვალის ოფიციალურ სტრუქტურებში საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდნენ. პირველად ოფიციალურ დონეზე სწორედ მაშინ გაიჟღერა ნოდარ, იგივე მარეკ დუდაევის ("მარიკას") დაჯგუფების სახელმა და ძმები ძიგოევების გვარმა, რომლებსაც "ძიკებად" მოიხსენიებდნენ. მოგვიანებით "ძიკების" კრიმინალური დაჯგუფება განადგურდა და დარჩა "მარიკას" ბანდა. ეს იყო კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც შიდა ქართლში მოქმედებდა და რომლის სახელსაც რეგიონში მომხდარ დანაშაულთა უმეტესობასთან აკავშირებენ. შიდა ქართლის რეგიონის სამართალდამცველ სტრუქტურებში "მარიკას" ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობების, ძარცვა-ყაჩაღობების, ადამიანისა და მანქანების გატაცების ფაქტებზე 30-მდე საქმე იყო აღძრული და მათი გახსნა წლების მანძილზე ვერ მოხერხდა, რადგან მარეკ დუდაევისა და მისი ჯგუფის ("მარიკას") წევრების დაკავება ქართველმა სამართალდამცველებმა ვერ მოახერხეს.

ცხინვალელი კრიმინალი ნოდარ (მარეკ) დუდაევი ცხინვალის სოფელ ზემო არცევის მკვიდრია. ცნობილმა ბოევიკმა დაჯგუფება თავდაპირველად სამაჩაბლოს ომის შემდეგ შექმნა, ქართული მოსახლეობის (ძირითადად, ქართველი გვარდიელებისა და ომის სხვა მონაწილეების) წინააღმდეგ "პარტიზანულ" თავდასხმებს აწყობდა და შურისძიების მიზნით განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა მათ. სწორედ "მარიკას" მიერაა მოკლული გორელი მოჭიდავე გია თენაძე, რომელიც მარეკ დუდაევმა სოფლის სასაფლაოზე, მისი მეგობარი ბოევიკის საფლავზე მოკლა. მან ყველა მეომარი იგივე მეთოდით გამოასალმა სიცოცხლეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, მარეკ დუდაევმა და მისი ჯგუფის წევრებმა გაიტაცეს ცნობილი მოჭიდავის კობა კურტანიძის უცხოური მარკის მანქანა, ხელფეხშეკრული კურტანიძე კი მანქანიდან გადმოაგდეს, რის გამოც ოლიმპიურმა ჩემპიონმა უმძიმესი ტრავმა მიიღო. "მარიკას" ჯგუფს ბრალდება გაზაფხულზე თამარაშენში მომხდარი მკვლელობა – მან სიმონ მინდიაშვილი და მისი სამი ვაჟიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა.

მოგვიანებით "მარიკას" ჯგუფმა რეკეტიორობა დაიწყო. ყაჩაღები დაბანაკებულნი იყვნენ ღრომის ხეობაში და აკონტროლებდნენ როკის გვირაბს, ერგნეთში მიმავალი ტვირთიდან სოლიდურ წილს იღებდნენ; აკონტროლებდნენ ერგნეთის ბაზრობასაც; იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდით იყვნენ დაკავებული და ვაჭრობდნენ გატაცებული მანქანებით. წლების მანძილზე თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალიდან მანქანების გატაცებას სწორედ ეს ჯგუფი აწარმოებდა. მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ "მარიკამ" შიდა ქართლში საქმიანობა რამდენიმე თვით შეწყვიტა, რადგან რუსეთში გააგრძელა კრიმინალური "მოღვაწეობა", შიდა ქართლის მოსახლეობამ ცოტა ხნით ამოისუნთქა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე თვით.


*მარეკ დუდაევი გორის საავადმყოფოში.*

**"საუკეთესო შეიარაღებით აღჭურვილი ამ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. თავად მარეკა დაუნდობელი, უსასტიკესი კრიმინალია. ვინ აღარ მფარველობდა მას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მფარველობდა ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება. სწორედ ამ დახმარების გამო მისი დაკავება წლების მანძილზე ვერ მოხერხდა,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ცხინვალის პროკურორმა გურამ ბაბუციძემ.

მარეკ დუდაევის მიმართ საქმე პირველად 1993 წელს აღიძრა, დაპატიმრების სანქციაც გაიცა და ძებნაც გამოცხადდა. იგი ორი წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველებმა დააკავეს; მართალია, შეტყობინება ქართველ სამართალდამცველებს გამოუგზავნეს, მაგრამ ქართველი ძალოვანების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მისი ექსტრადიცია არ მოახდინეს და გაათავისუფლეს, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, მას ჩიბიროვიც მფარველობდა.

უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ქვეშში, გუშინ სპეცოპერაცია ჩაატარა და თერთმეტწლიანი ძებნის შემდეგ ოსი ეროვნების ცნობილი კრიმინალი მარეკ დუდაევი დაიჭირა.

დუდაევის წინააღმდეგ აღძრული საქმეები შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში გადაიგზავნა და ერთ საქმედ გაერთიანდა.

მარეკ დუდაევი ამჟამად გორის საავადმყოფოშია, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა. გულ-მკერდისა და ფილტვის არეში ჭრილობები მან სპეცოპერაციისას, ორმხრივი სროლისას მიიღო, რადგან ქართველ ძალოვნებს წინააღმდეგობა გაუწია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მართალია, კრიტიკულია, მაგრამ, როგორც ექიმები ვარაუდობენ, იგი გადარჩება. უშიშროების სპეცრაზმმა დააკავა მარეკ დუდაევის ჯგუფის წევრი, მისი ბიძაშვილი ბადრი დუდაევიც. უმძიმეს დანაშაულებში ბრალდებულ მარეკ დუდაევს სამუდამო პატიმრობა ელის.

# "ჩვენი აჭარა" აჭარის კრიზისს ეხმიანება

გიორგი ასანიშვილი

*მოძრაობა "ჩვენი აჭარა" მომხრეა, რომ აჭარის კრიზისი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, მაგრამ, როგორც მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ედვარდ სურმანიძე აცხადებს, ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის შელახვის ხარჯზე.*

**"დაუშვებელია, რომ ქვეყანაში იყოს ორი უმაღლესი მთავარსარდალი და არსებობდეს ორი შეიარაღებული არმია,"** - აღნიშნა სურმანიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, დაპირისპირებულ ძალებს შორის დიალოგი აუცილებელია და მიესალმება იმას, თუ ამ პროცესში, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, მეზობელი ქვეყნების დიპლომატიური უწყებებიც ჩაებმებიან.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ედვარდ სურმანიძე: "ამ გზით შეიძლება ასლან აბაშიძე დარწმუნდეს, რომ ჩიხში იმყოფება".*

**"ამ გზით შეიძლება ასლან აბაშიძე დარწმუნდეს, რომ ჩიხში იმყოფება,"** - "შეგონებითი თერაპიის" იმედი აქვს "ჩვენი აჭარის" თანათავმჯდომარეს. მისი მტკიცებით, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აჭარის მიმართ სამხედრო აგრესიის განხორციელებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მმართველი ძალის მხრიდან საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე ქვეყნის კონსტიტუციის აღდგენის მოთხოვნის შესახებ, რაც აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები ავტონომიურ რესპუბლიკაში ნორმალურად ჩატარდეს.

პრესკონფერენციაზე ედვარდ სურმანიძემ თავისი მოსაზრება გამოთქვა ბათუმში მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ჩასვლასთან დაკავშირებით. "ჩვენი აჭარის" წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ბათუმში ლუჟკოვის სტუმრობა შეთანხმებული იყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

**"ასლან აბაშიძემ ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს ბათუმის აეროპორტში მოსკოვის მერის თვითმფრინავის დაჯდომის ნებართვა სთხოვა, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტმა შესაბამისი ნებართვა გასცა,"** - აცხადებს სურმანიძე, რომელიც ერთ გარემოებასაც აღნიშნავს: **"გარდა იმისა, რომ ლუჟკოვს აბაშიძესთან პირადული ურთიერთობები აკავშირებს, მოსკოვის მერს აჭარაში ფინანსური ინტერესებიც გააჩნია. კერძოდ, მას ინვესტიციები აქვს ჩადებული ბათუმის პორტსა და ტერმინალში."**

ედვარდ სურმანიძის აზრით, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, ასეთ რთულ ვითარებაში რა კონკრეტული მიზნით ჩავიდა ბათუმში იური ლუჟკოვი. **"უამრავი კითხვის ნიშნით დახუნძლული ასეთი ვიზიტი არ გვჭირდება,"** - დასძენს მოძრაობა "ჩვენი აჭარის" თანათავმჯდომარე.

# ეუთო-ს დახმარება და რჩევები

თამარ ასათიანი

მილიონ სამასი ათასი ევრო – ეს ის თანხაა, რომელიც ეუთო-მ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ორგანიზებისთვის გამოუყო. გუშინ კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამომრჩეველთა მარკირებისა და საარჩევნო საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების პროექტების დაფინანსების შესახებ. ამ პროექტების ფარგლებში ამომრჩეველთა მარკირებაზე დაახლოებით 150 000 ევრო დაიხარჯება, ხოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის 20 000 ევროა გათვალისწინებული.

დღესდღეობით უკვე დაიბეჭდილია მარკირების სააგიტაციო პლაკატები ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. 400 000 ევრო კი ეუთო-მ საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა სწავლებისთვის დახარჯა

ბუნებრივია, აჭარის პრობლემა და რეგიონში საპარლამენტო არჩევნების გამართვის პერსპექტივა გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. როი რივის განცხადებით, **"აჭარაში რთული ვითარებაა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ვითარება შეიცვალოს და არჩევნების ჩატარება შესაძლებელი გახდეს. აჭარაში პრობლემა რეალურად არსებობს და ამასთან დაკავშირებით მთავრობასთან და დამკვირვებლებთან მუშაობა უკვე მიმდინარეობს"**. როი რივის თქმით, იგი უკვე ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს.

**"ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ დავაკვირდეთ, თუ რა შედეგებს მოიტანს 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები. აჭარაში ადგილი ჰქონდა დამკვირვებლებზე ძალადობას,"** - აცხადებს ეუთო-ს წარმომადგენელი.

გაცილებით მკვეთრი აღმოჩნდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებები.

**"რამდენადაც მშვიდობიანად არ უნდა ჩატარდეს 28 მარტის არჩევნები აჭარის ტერიტორიაზე, უკვე დღეს შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შეიარაღებული ფორმირებების ყოფნა აჭარაში, მოსახლეობაში იარაღის დარიგება, დამკვირვებლების ცემა და ბოლო დროს განვითარებული ძალადობის ფაქტები არჩევნების სამართლიანობაზე უარყოფითად აისახება. საბოლოოდ კი, ძნელი იქნება იმის თქმა, რომ აჭარაში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა,"** – აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე და იქვე დასძენს, რომ კომისია ტექნიკური თვალსაზრისით ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არჩევნებს ჩაშლის საფრთხე არ დაემუქროს, თუმცა არჩევნების ჩატარება პოლიტიკურ გარემოზეა დამოკიდებული. ამასთან, ზურაბ ჭიაბერაშვილი ავტონომიის ადმინისტრაციულ საზღვარზე - ჩოლოქზე მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობას აჭარის ხელისუფლებას და ასლან აბაშიძის გარემოცვას აკისრებს.

ცესკო-მ აჭარაში უკვე გააგზავნა საარჩევნო რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია, თუმცა როგორ მიდის ადგილზე ეს პროცედურა, ცნობილი არ არის.

ამავე დროს აჭარაში მოქმედი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად სდევნიან და აიძულებენ, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან საკუთარი წევრები გაიწვიონ.

# პროვოკაცია და სეპარატიზმის წაქეზება

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა თავისი ნება და აირჩია პრეზიდენტი. მისი არშეშვება საქართველოს რომელიმე კუთხეში ნიშნავს ქართველი ხალხის ნების არშეშვებას - ეს არის, რაც დღეს ყველაზე მეტად გვაშფოთებს. აქ არაფერ შუაში არ არის საქართველოს მოსახლეობა, მთელი მიზეზი ამ ყველაფრისა გახლავთ აჭარის რეგიონის ხელისუფლება,"** – ამბობს პოეტი დავით მაღრაძე.

ნაირა გელაშვილი მოსკოვის მერის მიერ ბათუმში გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება: **"როცა მოსკოვის მერი ამბობს, რომ ეს არის აგრესია არა ბათუმის, არამედ თბილისის მხრიდან - ეს არის სეპარატიზმის აშკარა, შეუფარავი წაქეზება".**

"კავკასიურ სახლში" შეკრებილმა საზოგადოებამ გუშინ ორი მიმართვა მიიღო. ერთის ადრესატი აჭარის მოსახლეობაა, მეორის – რუსეთის ელჩი საქართველოში.

### ჩვენო აჭარელო დებო და ძმებო!

მოგმართავთ რთული ვითარების გამო, რომელიც შეიქმნა ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში.

ყველას კარგად გვახსოვს, გასული წლის ნოემბერში საქართველო იდგა გაცილებით უფრო სახიფათო სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე. მაშინ ჩვენ ერთად, საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა, შევძელით თავიდან აგვერიდებინა დიდი განსაცდელი.

დღეს კი ვდგავართ იმ ფაქტის წინაშე, რომ ჩოლოქთან აჭარის ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტილია ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ; გათხრილია სანგრები, დანაღმულია გზები, აყრილია რკინიგზა, თავმოყრილია მძიმე ტექნიკა და აჭარა მოწყვეტილია მთელ დანარჩენ საქართველოს, რასაც დიდი ენთუზიაზმით უჭერენ მხარს რუსეთის რეაქციული პოლიტიკოსები და სამხედრო წრეები.

აჭარის მოსახლეობას არწმუნებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს აჭარაზე თავდასხმას და სადამსჯელო ოპერაციის განხორციელებას.

ჩვენ – შემოქმედებითი სამეცნიერო წრეებისა და სამოქალაქო სექტორის, მათ შორის, სამშვიდობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სრული პასუხისმგებლობით მოგმართავთ:

დღეს ძალადობა, სისხლისღვრა, დესტაბილიზაცია სჭირდებათ მხოლოდ საქართველოს მტრებს; ხოლო საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს მშვიდობა, სტაბილურობა, ქვეყნის ერთიანობა. მხოლოდ ამ გზით შევინარჩუნებთ და განვამტკიცებთ იმ პატივისცემას და თანადგომას, რაც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის გამო გასული წლის ნოემბერში.

საქართველოსთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება კიდევ ერთი შიდა კონფლიქტური კერის გაჩენა; ამიტომ, აჭარის მოსახლეობის შეიარაღება, თითქოსდა ცენტრიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სხვა არაფერია, თუ არა თოფის დამიზნება საქართველოსთვის.

ჩვენო აჭარელო დებო და ძმებო, დაჟინებით მოგიწოდებთ, თავი არ ჩაათრევინოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას საშვილიშვილო ცოდვასა და ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულში. საქართველოს ხელისუფლებას უნდა მიეცეს საშუალება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღასრულოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი, რაც მთელი საქართველოს კეთილდღეობის უპირველესი წინაპირობაა.

### რუსეთის სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბ-ნ ვლადიმერ ჩხიკვიშვილს

დიდად პატივცემულო ბატონო ელჩო!

რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ამასწინანდელმა შეხვედრამ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჩაუსახა იმედი, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის, ბოლოს და ბოლოს, მყარდება ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ამ იმედს მოსპობას უქადის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ოფიციალური პირების გამონათქვამები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას მიაწერენ აგრესიულ განზრახვებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ მას.

ნუთუ საქართველოს პრეზიდენტს არა აქვს უფლება გადაადგილდეს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე მდგომარეობის შესამოწმებლად და წესრიგის დასამყარებლად, მით უფრო, ჩავიდეს იმ კუთხეში, სადაც საგანგაშოდ ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები?

საქართველოს საზოგადოება განსაკუთრებით ააღელვა ბათუმში ოპერატიულად ჩასული მოსკოვის მერის ბ-ნ ლუჟკოვის განცხადებამ, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ "აგრესია მოდის თბილისიდან და არა ბათუმიდან".

ბატონო ელჩო, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა რუსეთის მოსახლეობაზე, პრეზიდენტი პუტინი რომ არ შეეშვათ რომელიმე რეგიონში, ვთქვათ, კურსკის ოლქის ტერიტორიაზე, ხოლო ქ.თბილისის მერი ვანო ზოდელავა პრობლემების ადგილზე შესასწავლად ჩაფრენილიყო კურსკში და განეცხადებინა, რომ აგრესია მოსკოვიდან მოდის.

ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს შედარება უფრო იუმორის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ამ პოლიტიკური აბსურდების სამყაროში ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ხალხებს ხშირად სხვა არაფერი დარჩენიათ.

**2004 წლის 16 მარტს თბილისში, საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში გამართულ მწერალთა, მეცნიერთა და სამშვიდობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრების სახელით:**

**ვახუშტი კოტეტიშვილი**
**რამაზ ჩხიკვაძე**
**ნაირა გელაშვილი**
**დათო მაღრაძე**
**ნანა ალექსანდრია**
**დავით მუსხელიშვილი**
**ნოდარ სარჯველაძე**
**გაგა ნიჟარაძე**
**ლევან ბრეგაძე**
**გურამ ოდიშარია**
**გიორგი ლობჟანიძე**
**ნუგზარ პაპუაშვილი**
**გივი ალხაზიშვილი**

პირველად საქართველოში - იპოთეკური სესხები 10 წლით

თუ თქვენ გსურთ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ: სახლი, ბინა ან აგარაკი, მაგრამ არ გაგაჩნიათ საკმარისი დანაზოგი,

„თიბისი ბანკი" გთავაზობთ იპოთეკური დაკრედიტების პროგრამას !

იპოთეკური სესხები არის :

იაფი - წლიური საპროცენტო განაკვეთი 16-დან 20 %-მდე;
გრძელვადიანი - იპოთეკური სესხი გაიცემა 10 წლამდე ვადით;
სწრაფი - სესხის დამტკიცება 3 დღეში;

იპოთეკური კრედიტით შეიძლება ისარგებლონ:

მოქალაქეებმა, რომელთაც გააჩნიათ სტაბილური, დოკუმენტურად დადასტურებადი შემოსავალი, რომელიც მიიღება:
- ხელფასის სახით (მინ. 400 აშშ დოლარის ოდენობით)
- საიჯარო გადასახადის სახით;
- დივიდენდის სახით.

სესხის უზრუნველყოფა:

სახლის ბინის შეძენა - შესაძენი ბინა ან სახლი
რემონტი - სარემონტო ობიექტი
მშენებლობა - მშენებარე ობიექტი და არსებული საცხოვრებელი სახლი ან ბინა



სესხები 10 წლით

მოიწყე ცხოვრება დღეს - გადაიხადე ხვალ !

თი ბი სი ბანკის ვერის ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. 18 ტელ.:22 25 37.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ვშიშობ, სანქციები დაგვიანებული არ იყოს

ჰამლეტ ჭიპაშვილს რომ ასლან აბაშიძის სასარგებლოდ "ემღერა", 200 000 ღირებულების ბინა აჩუქეს ბათუმში, ზღვისპირა ქუჩაზე. გურამ შარაძისთვის სულ ახალი ავტომანქანა 07 მაყიდინეს - მტკიცებულებაც მაქვს, მოწმეებიც მყავს და ნებისმიერ დროს მისცემენ ჩვენებას გენერალურ პროკურატურას. შარაძისთვის ბინის შესაძენად კიდევ 10 000 დოლარი გამომართვეს.

სისტემატურად ვიღებ ინფორმაციას. ვიცი, როდის და რამდენი მილიონი ეგზავნებოდა ცოტნე ბაკურიას... თბილისში რევოლუციის დღეებში გამართული მიტინგების დაფინანსებამ 14 მილიონ ლარს მიაღწია.

მას ჰქონდა შანსი, გადაეყენებინა და დაეპატიმრებინა აჭარის უშიშროების მინისტრი, რომელიც უკვე 15 წელია, რაც ნარკომანია. ის ამგვარ ხალხს ვერ შეელევა. სოსო გოგიტიძეს ასლან აბაშიძის მაკომპრომეტირებელი ყველა ფაქტის ნივთმტკიცება აქვს - ამის ამსახველი ვიდეომასალები ერთ ხანს თურქეთის "აკბანკში" და მოსკოვის "მენატეპ" ბანკში ჰქონდა მიბარებული.

პირველი გვერდიდან

**- რატომ დაგიპირისპირდათ აბაშიძე?**

- ჩემო ოჯახის დევნა, ჯერ სუსტად, მაგრამ 1995 წლიდან დაიწყო. ვიყავი აჭარაში პირველი წარმატებული ბიზნესმენი და ოფიციალური მილიონერი. სახელმწიფო გადასახადებს სოლიდური მოცულობით ვიხდიდი. ვეხმარებოდი აჭარაში მოქმედ ყველა დემოკრატიულ სტრუქტურას, ვაფინანსებდი მათ, გამოვცემდი წიგნებს, ჟურნალს. რამდენიმე მეცნიერ-მუშაკმა ჩემი ფულით დაიცვა ხარისხი, სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობის უმრავლესობას ვეხმარებოდი...

ახლა რომ ამბობენ, აჭარაში სოციალური აფეთქება და სამოქალაქო ომი მხოლოდ აბაშიძემ აიცილაო, ეს ტყუილია. 1993 წელს აჭარაში შექმნილი იყო საომარი მდგომარეობა და მძიმე სოციალური ფონი. სწორედ იმ დროს ჩემი საკუთარი მილიონ 321 ათასი დოლარის პურის ფქვილი შემოვიტანე. აბაშიძეს ის თანხა დღესაც არ გადაუხდია.

მქონდა აწყობილი ბიზნესი და საკმაო ავტორიტეტი მოსახლეობაში. აბაშიძემ ვერ დამიმორჩილა და ნელ-ნელა ჩემი შევიწროება დაიწყო.

1995 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტში ვიყარე კენჭი და შუახევის რაიონის დამოუკიდებელი დეპუტატი გავხდი. აბაშიძე მიჩუმდა, მაგრამ ჩემს ოჯახს მუდმივად აკონტროლებდა. ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, მჯეროდა, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. 1999 წლის მოწვევის პარლამენტში კვლავ ვიყარე კენჭი. საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე გამაფრთხილეს, ჩემი კანდიდატურა აბაშიძის სასარგებლოდ მომეხსნა. დაიწყეს ჩემი მეუღლის შანტაჟი - 200 000 დოლარი შესთავაზეს - შენს მეუღლეს მაინც მალე დაიჭერენ და გასცილდიო... არაერთხელ დამესხნენ თავს. მაინც ვერ შემაშინეს და მაშინ ჩემს რაიონში ამომრჩევლის აშკარა მოსყიდვა და არჩევნების გაყალბება დაიწყეს. სწორედ გაყალბებით მომიგეს.

აჭარის პროკურორის, გივი აბაშიძის მიერ არჩევნების დღეს ჩემი დაპატიმრების სანქცია იყო გაცემული. იმ პერიოდისთვის აჭარის ცეკავშირის თავმჯდომარე ვიყავი და იმედი ჰქონდათ, რომ დარღვევებს მიპოვნიდნენ. სანქცია სულ ტყუილად გასცეს - დროზე გამაფრთხილეს და ფარული გზებით აჭარა დავტოვე.

**- 1999 წელს თქვენ აფინანსებდით "აღორძინების" საარჩევნო კამპანიას...**

- არა. ვაფინანსებდი 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს "აღორძინების" სასარგებლოდ. ეს მაიძულეს, რადგან ჩემი შვილი შინა პატიმრობაში ჰყავდათ აყვანილი და სხვა გზა არ მქონდა, ოჯახიანად გაგვანადგურებდნენ.

სამეგრელოში "აღორძინების" ორგანიზაციები შევქმენი. ყველა ორგანიზაციის თავჯმდომარეს ვუყიდე მანქანები, გადავურიცხე რამდენიმე ათასი დოლარი... ამას იძულებით ვაკეთებდი, ამის მოწმეები არსებობენ - გაცემული თანხების აქტებიც. იმის ორი მოწმეც მყავს, თუ როგორ მემუქრებოდა აბაშიძე განადგურებით სამეგრელოში არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში.

**- აჭარის ხელისუფლებაში გარკვეული პოსტიც გეკავათ. როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა?**

- 1989 წლიდან ბიზნესში ვიყავი - უკრაინასა და რუსეთში ფირმები მქონდა და სამშენებლო ლითონების და სურსათის ექსპორტს ვეწეოდი, საკმაოდ სოლიდური შემოსავლები მქონდა. აჭარის ხელისუფლებაში ჩემი ჩართვა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ არასდროს მაინტერესებდა სახელმწიფო



ლევან ქიძინიძე.

სტრუქტურებში მუშაობა.

როგორც გითხარით, 1993 წელს ფქვილის 6 თვის მარაგი შემოვზიდე. 2 აგვისტოს უკანასკნელი 28 ვაგონი შემოვიდა აჭარაში, იმავე დღეს შემოვარდნენ ჩემს ოფისში და დამაპატიმრეს. 5 აგვისტომდე წინასწარი პატიმრობის საკანში ვიჯექი. მერე წამიყვანეს ბობოყვათში აბაშიძის აგარაკზე, სადაც მან პირდაპირ დამიყენა ულტიმატუმი - ან ჩემს აპარატში იმუშავებ, ან ციხეში იჯდებიო - ვისთან მეჩივლა, კიტოვანთან თუ იოსელიანთან? იყო სამოქალაქო ომი, იქით - ქვეყნის ერთ ნაწილს გვაგლეჯდნენ. ჩივილი ეთიკურადაც სირცხვილი იყო და გაუმართლებელიც - რეალურად დახმარებას არავინ გამიწევდა. ისევ ჩემი მეგობრები დამეხმარნენ - უკრაინისა და რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები. ასეთ ვითარებაში იძულებითი თანხმობა განვაცხადე. დღის 4 საათზე გამათავისუფლეს წინასწარი დაკავების საკნიდან და ღამის 11 საათზე აბაშიძის მთავარ მრჩევლად დამნიშნეს.

**- რას ურჩევდით?**

- ეკონომიკის, პოლიტიკის და თითქმის ყველა საკითხის მრჩეველი ვიყავი და სანამ ეს თანამდებობა მეკავა, აბაშიძეს სისულელეები არ მოსდიოდა თავში.

**- კონრეტულად რა გადაწყვეტილებაზე შეაცვლევინეთ აზრი?**

- ახლა უკვე აღარ ვიცი, იყო თუ არა შეცდომა, მაგრამ მაშინ ჩემი რჩევით დავაფუძნებინე "აღორძინება", დავარწმუნე, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, შევარდნაძისთვის უნდა დაეჭირა მხარი და "მოქალაქეთა კავშირთან" ბლოკი შეეკრა. "მოქკავშირის" ერთ-ერთი თანათავმჯდომარე მეც გახლდით და, სხვათა შორის, ეს პარტია ჩემი დაფინანსებულიცაა. ეს იმისთვის მიმაჩნდა საჭიროდ, რომ ქვეყანაში მოპარპაშე კრიმინალური ელემენტები გადაგვეყენებინა თანამდებობიდან. რა ვიცოდი, თუ შევარდნაძე ასეთი კორუმპირებული იქნებოდა.

1995 წლის ოქტომბერში მივლინებაში ვიყავი და რომ ჩამოვედი, აბაშიძე და შევარდნაძე-ჟვანია დაპირისპირებულები იყვნენ. იმ დროისთვის დამოუკიდებლად ვემზადებოდი არჩევნებისთვის და ყველაფერი თვითდინებით წავიდა.

**- აჭარის ხელისუფლებასთან საბოლოო დაპირისპირების მიზეზი რა გახდა?**

- 1999 წლის არჩევნებისთვის აბაშიძე ჩემგან კიდევ მოითხოვდა ფულს, მოითხოვდა, მომეხსნა ჩემი კანდიდატურა. ეს არ გავაკეთე და ჩემ წინააღმდეგ საშინელი რეპრესიები დაიწყო... ჩემი ვაჟი, ჯამბული, სისხლის სამართლის 232-ე მუხლით (უკანონო პოლიტიკური ფორმირების ან გაერთიანების შექმნა) სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული - ახალგაზრდა ლეიტენანტი დაითხოვეს სამსახურიდან და რაღაც ფორმირების შექმნა დააბრალეს, ის დღესაც იმალება. მე სამი ბრალდებით მიმცეს პასუხისგებაში, თითქოსდა, საიდანღაც 145 000 დოლარი გამიფლანგავს, თამბაქოს კომბინატიდან (იქ საერთოდ არ ვარ ნამყოფი) ფული შემიჭამია... ჩემს ძმას, რომელიც უშიშროების სამინისტროში ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იყო, იჭერდნენ; ჩემი მეუღლის ბიძაშვილების წინააღმდეგ საქმე აღძრეს. სამსახურიდან ხსნიდნენ მათ, ვინც დედაჩემს და ჩემს ოჯახს რაიმეთი დაეხმარებოდა. საშინელ რეპრესიებში მოვყევი...

პურის ფქვილის საფასური დღესაც გადაუხდელია, რის გამოც 64 ფირმის მუშაკი უმუშევრად არის დარჩენილი. გარდა ამისა, 385 ათასი დოლარის ღირებულების ავტომანქანები აქვს წართმეული...

**- ვისთვის იძენდა ამ მანქანებს?**

- "აღორძინებას" ჩუქნიდა, არძინბას და რუს გენერლებს უგზავნიდა... ფაქტობრივად, საკუთარ კლანს აძლიერებდა, იმას, რაც დღეს არსებობს.

**- თქვენ 2001 წლის აჭარის მეთაურის არჩევნებში აპირებდით კენჭისყრას. ასეთი დევნის პირობებში რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

- მაშინ ბათუმის მოსამართლეს ჩემი დაპატიმრების სანქცია ჰქონდა გაცემული, მაგრამ აჭარის მეთაურის პოსტზე კენჭისყრა მაინც ვცადე. ეს რომ გაიგო, აბაშიძეს გული გაუსკდა და რეგისტრაციაში არ გამატარა.

ასლან აბაშიძემ აჭარის მეთაურის არჩევნები 2001 წლის 2 აგვისტოს თავად დანიშნა, რისი კონსტიტუციური უფლებაც მას არ ჰქონდა. ამის თაობაზე აჭარის კონსტიტუციაშიც კი არ იყო ცვლილებები შეტანილი და არ ითვალისწინებდა მეთაურის მიერ არჩევნების დანიშვნას. იმ დღესვე მივმართე გენერალურ პროკურატურას და უზენაეს სასამართლოს. ამასობაში, აბაშიძემ უკანა რიცხვით, 13 ივლისის თარიღით, გაზეთი "აჭარა" დააბეჭდინა, სადაც შეიტანა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც აჭარის მეთაურს არჩევნების დანიშვნის უფლება ეძლევა. 2001 წლის 13 ივლისის ნამდვილი ნომერი ყველა ბიბლიოთეკიდან ამოიღეს, მაგრამ ეს ეგზემპლარი დამრჩა.

ამას გარდა მოქალაქეს, ვინც ბოლო 2 წელი აჭარაში არ ყოფილა (მე სულ აჭარაში ვარ ჩაწერილი), არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები სრულად მქონდა, მაინც არ გამატარეს რეგისტრაციაში და არჩევნებზე არ დამიშვეს. მივმართე აჭარის უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც საჩელი მიიღო, მაგრამ აბსურდული მოტივით არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მომცეს. სასმართლომ უკანონო დადგენილება მიიღო და თქვა, რომ ეს იყო საბოლოო განაჩენი და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა - ამის უფლება ამ სასამართლოს არ ჰქონდა. ჩვენ მაინც გავასაჩივრეთ უზენაეს სასამართლოში, მაგრამ მოსამართლე მეტრეველმა საქმე განიხილა და აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ეს სამარცხვინო იყო. ამის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოსაც მივმართე - 10 ნოემბერს სარჩელი ჩაიბარეს, ერთი წლის განმავლობაში არანაირი პასუხი არ მომცეს.

**- ეს ბრალდებებია, რომლის დამტკიცებაც, საჭიროების შემთხვევაში, მოგიწევთ.**

- ამას დავადასტურებ ფაქტებით. ჩემს სარჩელზე ერთი წლის შემდეგ მითხრეს არამოტივირებული უარი. კვლავ აღვძარი საკონსტიტუციო სარჩელი, ყველა ფაქტი დავადასტურე, წარვადგინე 13 ივლისის გაზეთ "აჭარის" ორივე ნომერი, მოვითხოვე აჭარის ორპალატიანი პარლამენტისა და აჭარის მეთაურის უკანონო ინსტიტუტის გაუქმება... სასამართლომ უკანონო დადგენილება მიიღო, თურმე 2002 წლის 30 მაისისთვის მიუღიათ განჩინება და ამ განჩინების შესახებ 2003 წლის დეკემბერში, რევოლუციის შემდეგ მაცნობეს.

**- "აღორძინების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და დამფინანსებელი ხართ. ამ ორგანიზაციას მოგვიანებით ბევრი ხალხი მიეტმასნა თბილისიდან. იყო ეს ანგარებიანი ურთიერთობები?**

- ძირითადი დამფუძნებლები გამოგვყარეს. მათგან ნახევარზე მეტი დევნაშია ან დაპატიმრებული. ჰამლეტ ჭიპაშვილს რომ ასლან აბაშიძის სასარგებლოდ "ემღერა", 200 000 ღირებულების ბინა აჩუქეს ბათუმში, ზღვისპირა ქუჩაზე. გურამ შარაძისთვის სულ ახალი ავტომანქანა 07 მაყიდინეს - მტკიცებულებაც მაქვს, მოწმეებიც მყავს და ნებისმიერ დროს მისცემენ ჩვენებას გენერალურ პროკურატურას. შარაძისთვის ბინის შესაძენად კიდევ 10 000 დოლარი გამომართვეს.

ელიზბარ ჯაველიძეს გაზეთს უფინანსებდა, სადაც არაერთი ბინძური სტატია გამოქვეყნდა ჩემს წინააღმდეგ. სასამართლოებში კი ვერ მივაღწიე იმას, რომ ან ამ გაზეთს დაემტკიცებინა რომ მართალია, ან ჩემთვის მოეცათ სიმართლის დამტკიცების საშუალება.

აჭარის უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე და ასლან აბაშიძე "ომეგა" ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებლები არიან და სიგარეტიდან შემოსული თანხების 70 პროცენტი აბაშიძე-გოგიტიძეს მიაქვს.

**- თქვენ გიმუშავიათ და იცნობთ ბატონ ასლანს. როგორ ფიქრობთ, რა იქნება მისი შემდეგი ნაბიჯი?**

- სამწუხაროდ, შეიძლება პრეზიდენტს ზუსტ ინფორმაციას არ აწვდიან, რაშიც პრეზიდენტთან მიტმასნილი გარკვეული პოლიტიკური წრეები არიან დაინტერესებულნი. სწორედ ავტონომიას ამოფარებულმა აბაშიძემ გაძარცვა ერი და ქვეყანა. მას 14 მილიარდამდე თანხა აქვს სხვადასხვა ქვეყნის ბანკებში, მათ შორის, შანხაიში და ჰონგ-კონგში. მისი პირადი დაცვის ხარჯები ყოველწლიურად 42 მილიონი დოლარი ჯდება. მის მიერ შექმნილი უკანონო პარლამენტის ხარჯები, აბაშიძის ვოიაჟები 75 მილიონ დოლარს შეადგენს.

"აღორძინების" ხარჯები, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში, 400 მილიონ დოლარს აღემატება.

**- იმედი მაქვს, რომ ამ მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაგაჩნიათ.**

- სისტემატურად ვიღებ ინფორმაციას. ვიცი, როდის და რამდენი მილიონი ეგზავნებოდა ცოტნე ბაკურიას...

**- თბილისში რევოლუციის დღეებში გამართულ მიტინგებს გულისხმობთ?**

- მაშინ დაფინანსებამ 14 მილიონ ლარს მიაღწია. გარდა ამისა, ჩამოყვანილი იყო ხალხი. ამ ხალხთან საუბრების აუდიოჩანაწერები მაქვს. ისინი ამბობენ, რომ ძალით წამოიყვანეს, საწყალ ხალხს საჩუქრებსა და დიდ თანხებს დაჰპირდნენ. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ხელმძღვანელები გაიქცნენ, უბრალო ხალხი უპატრონოდ დაყარეს და არც ის იკითხეს, როგორ დაბრუნდნენ სახლში. ამან ეს ხალხი აბაშიძის საწინააღმდეგოდ განაწყო.

**- არ გითქვამთ, როგორ შეიძლება მოიქცეს აბაშიძე ამ ვითარებაში...**

- მას ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი. მისი ხელი ურევია მკვლელობაში, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, ფინანსურ მაქინაციებში, უდანაშაულო ხალხის დაპატიმრებაში. მან კარგად იცის, თუ რით დამთავრდება ეს ყველაფერი. ვერ გაიქცევა, რადგან ტერორისტებს და მკვლელებს არც ერთი ქვეყანა არ შეიფარებს. ვერც გადადგება - იცის, რომ ჯიშიანგვარიანად პატიმრობაში აღმოჩნდება. მას ჰქონდა შანსი, გადაეყენებინა და დაეპატიმრებინა აჭარის უშიშროების მინისტრი, რომელიც უკვე 15 წელია, რაც ნარკომანია. ის ამგვარ ხალხს ვერ შეელევა. სოსო გოგიტიძეს ასლან აბაშიძის მაკომპრომეტირებელი ყველა ფაქტის ნივთმტკიცება აქვს - ამის ამსახველი ვიდეომასალები ერთ ხანს თურქეთის "აკბანკში" და მოსკოვის "მენატეპ" ბანკში ჰქონდა მიბარებული. აბაშიძე იოსებ გოგიტიძეს ხელს ვერასდროს მოჰკიდებს.

აბაშიძე სისხლს დაღვრის და გაიქცევა, რათა მერე სააკაშვილსაც შეექმნას პრობლემები. იმ სანქციების გატარებას, რაც დღეს აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ დაწესდა, 2000 წლიდან ვითხოვ. ვშიშობ, დღეს ეს დაგვიანებული არ იყოს.

**- რას აკეთებთ და რითი ცხოვრობთ გერმანიაში?**

- აჭარის პროკურატურამ გერმანიიდან ჩემი ექსტრადიციის მოთხოვნა გამოაგზავნა, თითქოს, 245 000 დოლარის კრედიტი გავფლანგე. მათ დამკითხეს, მე დავამტკიცე, რომ ეს აბსურდია. აქ ბოდიში მომიხადეს, მაგრამ ევროპის საერთაშორისო ინსტიტუტის შავ სიაში შემიტანეს და 2001 წლიდან ვერც ბიზნესს ვაწარმოებ, ვერც სამსახურს ვიწყებ. სამარცხვინო პირობებში ვარსებობ.

**- აქ ჩამოსვლას არ აპირებთ?**

- რა თქმა უნდა, ვფიქრობ საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ ველოდები, როდის განიხილავს და გააუქმებს გენერალური პროკურატურა ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილებას ჩემი დაპატიმრების შესახებ. სხვაგვარად საზღვარს ვერ გადმოვკვეთ, თორემ დამაპატიმრებენ, ბათუმში გამიშვებენ. მე კი არ მინდა, მეორე ასანიძე ვიყო.

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ჟან პოლ სარტრი
"ჰეროსტრატე"
რეჟისორი: ა. დიდებულიძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
გურამ დოჩანაშვილი
"ფიროსმანი"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"28 დღის შემდეგ"
დას: 14:30 სთ.

**ამირანი**
"საიდუმლო მდინარე"
დას: 14:00; 19:30; 22:00 სთ.

"ტეხასური ჩეხვა ბენზოხერხით"
დას: 17:00 სთ.
ფასი: 6-დან 9 ლარამდე

## გამოფენა

**New Art**
"ნიუარტისა" და კოდაკ "ფოტოსამყაროს" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულების ნამუშევართა ერთობლივი გამოფენა
გახსნა 17:00 საათზე

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საქართველოს მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
(ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 18 მარტს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება", ვახუშტი კოტეტიშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები
**პარასკევს, 19 მარტს,** 17 საათზე შექსპირის "ვენერა და ადონისი" (პრეზენტაცია); ქართული თარგმანის ავტორია მედეა ზაალიშვილი
**შაბათს, 20 მარტს,** 17 საათზე – პაატა ამონაშვილის "სხივთა კონა" (პრეზენტაცია).

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

# მუსიკოსები ქველმოქმედებენ

ვერა ნეფარიძე

*საესტრადო მომღერლებმა მუსიკოსების დახმარების ფონდის შექმნა გადაწყვიტეს. ჯერჯერობით უცნობია, ფონდის სამუშაო სფერო მხოლოდ კონცერტების ორგანიზებით შემოიფარგლება თუ არა. ამჟამად იდეა საწყის ეტაპზეა. კოლეგების დასახმარებლად ქართველი მომღერლების ორგანიზებული პირველი კონცერტი 18 მარტს კლუბ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაიმართება.*

ხვალინდელი კონცერტისა და მუსიკოსების დახმარების ფონდის შექმნის იდეა კონკრეტულმა შემთხვევამ განაპირობა, კერძოდ კი - ცნობილი ქართველი მუსიკოსის, კომპოზიტორისა და არანჟირების ოსტატის, ჭაბუკა ამირანაშვილისთვის გადაუდებელმა ოპერაციამ. "ჭაბუკას სასწრაფოდ დასჭირდა გულის ოპერაცია. რომ გვეგონა, არ იქნებოდა იმ თანხის მოძიება პრობლემა, რაც ამ ოპერაციას სჭირდება, ასე არ ალმოჩნდა", - თქვეს გუშინ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართული პრესკონფერენციის მონაწილეებმა და ხვალინდელი კონცერტის ორგანიზატორებმა. - "ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობდით, როგორ დავხმარებოდით ჩვენს მეგობარს და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ სიმღერის გარდა არაფერი შეგვიძლია", - ამბობს იდეის თანაავტორი ირმა სოხაძე.

ხვალინდელ კონცერტში მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. მაგრამ, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა, ორგანიზატორები შეეცადნენ მომღერალთა რიცხვი ოპტიმალური ყოფილიყო. "ეს უნდა იყოს მხიარული და გასართობი საღამო. ამიტომ, ჩვენი მომღერლები, ძირითადად, შესაბამის რეპერტუარს შეასრულებენ. გპირდებით, რომ არაჩვეულებრივი კონცერტი გამოვა", - დარწმუნებულია ირმა სოხაძე.

კონცერტში მონაწილეობას ქართული ესტრადის თითქმის მთელი არმია მიიღებს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მათი მხოლოდ მცირე ნაწილი მოვიდა. მათ შორის იყვნენ: ირმა სოხაძე, ლელა წურწუმია (საკუთარ მეუღლესთან და პროდიუსერთან კახა მამულაშვილთან ერთად), თემო რცხილაძე, ნეკა სებისკვერაძე, სტეფანე, მაია დარსმელიძე, "ფლეშის" წევრები. ხვალინდელ კონცერტზე კოლეგებს შეუერთდებიან: მერაბ სეფაშვილი, გიგა მიქაბერიძე, კახუჩელა, თემურ თათარაშვილი, ეკა კვალიაშვილი, დათო გომართელი, - როგორც ირმა სოხაძემ თქვა, საბოლოოდ, კონცერტზე გამომსვლელთა რაოდენობა, ალბათ, ჩვიდმეტს მიაღწევს.

ორგანოზატორები ვარაუდობენ, რომ ამ კონცერტზე შემოსული თანხით ისინი მიზანს მიაღწევენ. "ოპერაციისთვის საჭიროა სულ შვიდი ათასი ლარი; სამი ათასი უკვე გვაქვს, ახლა დანარჩენზე ვზრუნავთ", - გვითხრეს მომღერლებმა. ოპერაცია ჭაბუკა ამირანაშვილს ავსტრიელმა ექიმებმა სასწრაფოდ, ორი კვირის ვადაში უნდა გაუკეთონ. "ღმერთმა დაგვიფაროს ყველანი, მაგრამ ჩვენ მგავსი საქველმოქმედო ღონისძიებები მომავალში უფრო ხშირად უნდა გავმართოთ", - საამისოდ მუსიკოსებმა გუშინ სრული მზადყოფნა გამოხატეს. ასეთივე მზადყოფნას ქველმოქმედებისთვის ისინი საზოგადოების მხრიდანაც ელიან. ეს ყველაფერი კი უკეთესად ხვალინდელ კონცერტზე მისული აუდიტორიის სიმრავლით გამოჩნდება.

# გარდაქმნა ქართულად

ნინო ჭანიშვილი

"გარდაქმნიდან გადატრიალებამდე" - ამ სახელწოდების გამოფენა გუშინ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში გაიხსნა. გადატრიალებაში არა 2003 წლის ვარდების რევოლუცია (როგორც ეს გამოფენაზე მისულ ბევრ ადამიანს ეგონა), არამედ 1992 წლის გადატრიალება, ანუ ე.წ. ეროვნული მთავრობის დამხობა იგულისხმებოდა.

1985-91 წლებში მთლიანად დაემხო საბჭოეთის ტოტალიტარული რეჟიმი. მანამდე კი რკინის ფარდის მიღმა არსებული საბჭოთა საქართველოს შვილებისთვის ყველაფერი დასავლური, მიბაძვისა და იდეალის წყარო იყო. ამ დინებაში აღმოჩნდნენ 80-იანი წლების ქართველი მხატვრებიც. სწორედ მათ მიერ, 80-იან წლებში გატარებულ პერიოდს მიეძღვნა გუშინდელი ექსპოზიცია.

მაშინ, როცა დასავლეთი პოპ-არტით, კონცეპტუალური ხელოვნებით და ათასგვარი იზმებით ირთობდა თავს, ქართველი მხატვრები ჯერ კიდევ საბჭოთა თემატიკაზე მუშაობდნენ. 1980-იანი წლების დასაწყისში კი ნელ-ნელა შემოიჭრა თავისუფლების სურნელი და საუკეთესო ხანა დადგა ქართველი მხატვრებისთვის. ოფიციალური ცენზურა სუსტდებოდა და მხატვრებიც თავისუფლად ირჩევდნენ მათთვის სასურველ თემებს - რელიგია (ირაკლი ფარჯიანი), მითოლოგია (გია ბუღაძე) ირონია საბჭოთა ბელადებზე (ლელა სილაგაძე). ცხადია, საბჭოთა საქართველო დასავლური მიმდინარეობების მიღმა დარჩა. ჰოდა როცა რკინის ფარდა დაეშვა, ქართველმა 80-იანელებმა ერთბაშად აიტაცეს დასავლური, თანაც უკვე მოძველებული მიმდინარეობები - სიურეალიზმი, აბსტრაქციონიზმი... მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ბევრი დასავლელი კოლექციონერი, გალერისტი და დილერი ჩამოდის. ალბათ, მათთვის ეგზოტიკა იყო იზოლაციაში არსებული ქვეყნის მხატვრობა. დასავლელი გალერისტები და დილერები ქართველი მხატვრების სურათებს ინტენსიურად ყიდულობდნენ. ქართველი მხატვრები უცხოეთში მიჰყავდათ და იქ უმართავდნენ გამოფენებს და გამოსცემდნენ კატალოგებს. შემდეგ, 90-იან წლებში დასავლური ინტერესი აშკარად შენელდა ქართველი მხატვრების მიმართ. თუმცა, ამას უარყოფს მხატვარი ილიკო ზაუტაშვილი და ამბობს: "მე და ჩემი მეგობრები დღემდე დასავლეთში ვიფინებით, ეხლაც ლონდონში მქონდა ბოლო გამოფენა. აქ რაღაც სხვა სიტუაციაა, ეს უწყვეტი პროცესი უნდა იყოს, აქ რაღაც ხელის შემშლელი ყოველთვის არსებობს: ხან პოლიტიკა, ხან ეკომიკა, თან თბილისში ხომ სალონური ხელოვნებაა გაბატონებული".



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*80-იანი წლების ქართული პლაკატები*

80-იან წლებში, მაშინ, როცა ახალგაზრდა ქართველი მხატვრები დასავლურ ორბიტაზე მოხვედრას ცდილობდნენ, ინერციით განაგრძობდა არსებობას მხატვართა კავშირი. კავშირი სეზონურად მართავდა გამოფენებს, რომლის ტრადიცია ჯერ კიდევ 1930-იანი წლებიდან მოდიოდა. ოფიციალურ გამოფენებშიც იგივე ახალგაზრდა, ნოვატორულად განწყობილი მხატვრები იღებდნენ მონაწილეობას. ამ პერიოდში სეზონური გამოფენების გარდა, სპეციალური ექსპოციზიები ეძღვნებოდა ყრილობებს. ერთი ასეთი გამოფენის პლაკატი მიძღვნილი ალკკ XXXII ყრილობისადმი, გუშინდელ გამოფენაზეც იყო გამოტანილი.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში 80-იანელთა ნამუშევრების გარდა ნახავთ ამ პერიოდის ფოტო მატიანესაც. უმეტესი ფოტოების ავტორი გურამ წიბახაშვილია. ამ ფოტოების მიხედვით გაიხსენებთ, როგორ გამოიყურებოდა აბანოთუბანი და როგორ ერთობოდნენ მაშინდელი თბილისელები ქალაქის ამ ძველ უბანში. ეს ადგილი, სადაც მუდმივად გარეთ იყო გამოფენილი გასაყიდი სურათები, თბილისში ჩამოსულ თეტჩერსაც მოუნახულებია. ამ კადრსაც, გამოფენაზე, 80-იანელთა ფოტო არქივში იხილავთ.

# ღირსეული წინაპრები და მათი შთამომავლები

ნათია ვადაჭკორია

ემილ გურევიჩის – ქართულ მუსიკალური კულტურის და საფორტეპიანო პედაგოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენლის და მისი მეუღლის, - როზა როჟოკის – ასევე მუსიკოსის ხსოვნას მიეძღვნა საზეიმო კონცერტი, რომელიც გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ემილ გურევიჩმა და მისმა მეუღლემ მრავალი ცნობილი პიანისტი აღზარდეს, რომელთაგან ბევრი საქართველოში მოღვაწეობს, ხოლო ზოგიერთი მათგანი, როგორებიც ლექსო თორაძე და ლიზა ლეონსკაია არიან, მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებს იპყრობენ.

ბებიის და ბაბუის ტრადიციებს მათი შვილიშვილი, ცნობილი პიანისტი თამარ გურევიჩი აგრძელებს, რომელიც ამჟამად ნიუ იორკის შტატის ქალაქ როჩესტერის ისტმენის კონსერვატორიაში მოღვაწეობს, დოქტორის ხასრისხზე მუშაობს, ამ სკოლის პედაგოგია და თან კონცერტების ჩატარებასაც ასწრებს.

სწორედ თამარ გურევიჩი და მისი ოჯახია გუშინდელი ღონისძიების იდეის ავტორიც, მომწყობიც და სპონსორიც.

"ფორტეპიანოს სწავლა ბებიასთან დავიწყე, ჩემი დებიუტი 11 წლის ასაკში შედგა, როდესაც თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შოპენის მი-მინორული კონცერტი შევასრულე. თბილისის კონსერვატორიაში სწავლის შემდეგ, 1992 წელს ლექსო თორაძემ მიმიწვია ინდიანას უნივერსიტეტში, სადაც მაგისტრის ხარისხი მივიღე. ხოლო შემდეგ იმავე ქალაქში ნოტრ-დამის უნივერსიტეტში გავაგრძელე მოღვაწეობა. იმავდროულად, გავხდი ჩემი პროფესორის ასისტენტი და იმავე კათედრაზე ფორტეპიანოს მასწავლებელი. 2002 წელს კი ისტმენის სახელობის კონსერვატორიაში ჩავაბარე, სადაც ამჟამად დოქტორის ხარისხზე ვმუშაობ ცნობილი პროფესორის, ქალბატონ ნელიტა თრუს ხელმძღვანელობით". – ასეთია პიანისტ თამარ გურევიჩის პროფესიული ბიოგრაფია.

რაც შეეხება გუშინდელ საღამოს, ის ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსითაცაა აღსანიშნავი, რომელიც 13 და 14 მარტს ჩატარდა და მასში კონსერვატორიის სტუდენტები და ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. გასულ წელს ემილ გურევიჩის დაბადებიდან 90 წელი შესრულდა, ხოლო როზა როჟოკის 85 წელი, რის აღსანიშნავადაც გურევიჩების ოჯახმა მათი სახელობის სტიპენდიის დანიშვნა გადაწყვიტა კონსერვატორიის სტუდენტებისათვის, თუმცა, შემდეგ გაჩნდა უფრო მასშტაბური ღონისძიების ჩატარების იდეა, რაც წელს განხორციელდა კიდეც.

ემილ გურევიჩის და როზა როჟოკას სახელობის საფორტეპიანო კონკურსში 14-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომლის შედეგებით და ჟიურის გადაწყვეტილებით, ნათია ბერაია და ბესიკ ნამჩევაძე კონკურსის დიპლომანტები გახდნენ; როჟოკის სახელობის ჯილდო 250 ამერიკული დოლარის ოდენობით ხატია ბენიათაშვილს ერგო, ხოლო ემილ გურევიჩის სახელობის ჯილდო (იმავე თანხის ოდენობით) გოგი ჭიპაშვილმა და გიორგი სირბილაშვილმა გაიყვეს.

გუშინ მსმენელის წინაშე კონკურსში გამარჯვებულები და კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები წარდგნენ, ემილ გურევიჩი მუსიკათმცოდნე გულბაათ ტორაძემ გაიხსენა; და, რაც მთავარია, დიდი მუსიკოსების შთამომავალი – თამარ გურევიჩმა შეასრულა მოცარტის ვარიაციები დიუპერის თემაზე და რახმანინოვის სამი პრელუდია.

რაც შეეხება ემილ გურევიჩის და როზა როჟოკის სახელობის კონკურსს, იგი ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება და, სავარაუდოდ, მთელ საქართველოს მოიცავს.

თამარ გურევიჩის უახლოესი გეგმა კვლავ ამერიკაში დაბრუნება და მუშაობის გაგრძელებაა, თუმცა ისევე, როგორც ყველა საზღვარგარეთ წასულ ხელოვანს, მასაც საქართველოში დაბრუნება სურს.

# მოულოდნელად სპილენძის ვარდით ხელში

თეონა ჯაფარიძე

მათ დანახვაზე ჯერ ფრანგული ფილმი "თავგადასავლების მაძიებლები" გამახსენდა, მერე რუსი დიზაინერი პეტლიურა, რომელიც თავს "მუსორშჩიკს" უწოდებს და ნაგვიდან ამოქექილი ნივთებისაგან ალტერნატიულ პოდიუმზე შოკისმომგვრელ სანახაობას აწყობს; თუმცა, რაღა შორს მივდივართ – აგერ არაა ქართველი დიზაინერის, გუგა კოტეტიშვილის მოდერნი, უცხოელმა მოდის კრიტიკოსებმა, თბილისის ომის ნარჩენებისაგან შექმნილ დიზაინად რომ მონათლეს? ეს გავრცელებული პრაქტიკაა, მაგრამ დახვეწილ გემოვნებას, მასალის შეგრძნებასა და განსაკუთრებულ ხედვას საჭიროებს. მოკლედ, ასეთი ხელოვნება, დამეთანხმებით, ალბათ, მხოლოდ ნიჭიერ ადამიანს შეუძლია აკეთოს.

ისინი ორნი მოვიდნენ (ლევანი და ვახო), მართლაც ფილმის პერსონაჟებივით და "24 საათის" საპრესკონფერენციო დარბაზში ელვის სისწრაფით "არაჩვეულებრივი გამოფენა" მოაწყეს. ფოტოგრაფი – ლევან ხერხეულიძე კი წამდაუწუმ ცვლიდა ექსპოზიციასა და დახვეწილ და უცნაურ ფიგურებს ფოტოებს უღებდა და უღებდა; თან ვსაუბრობდით: გავარკვიე, რომ ქანდაკებების ავტორი ლევან ბუჯიაშვილი ყოფილა, ვახო მამულაშვილი კი მისი მეგობარია, მაგრამ ავტორზე მეტად ზრუნავს "პრომოუშენზე" და ბევრს ფიქრობს თუ სად, რომელ გალერეაში შეიძლება გამოიფინოს ან რომელ, ან რა კატეგორიის ადამიანის ოფისში შეიძლება დაიდგას მეგობრის ნამუშევრები. ნამუშევრები კი მცირე ზომის ქანდაკებებია, შესრულებული მოდერნის სტილში. ძირითადი მასალა ლითონია, ლითონს მოჰყვება ქვა, ძვალი და თქვენ წარმოიდგინეთ ბეწვიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქანდაკებისათვის ისეთ კლასიკურ და დამახასიათებელ მასალაზე, როგორიცაა თიხა და თაბაშირი. მოკლედ, ლევანი თავის ხელოვნებაში იყენებს ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდება, ოღონდ დიდ უპირატესობას ანიჭებს სპილენძს. აზროვნებასა და ნამუშევრის გადაწყვეტაში იგრძნობა ლოგიკა და გემოვნება: "ესკიზს წინასწარ არ ვაკეთებ. საჭირო ნივთს რომ ვიპოვი, უკვე ვიცი მისგან რაც გამოვა" – მეუბნება ის. ლაპარაკში ვახოც ერევა: "ხშირად, შუა ქუჩაში უცებ რაიმეს აღმოაჩენს, მაგალითად, ქვას ან მანქანის სამუხრუჭე მილებს, რომელიც ბოლოს აუცილებლად მის სახელოსნოში მოხვდება..." სახელოსნოში კი იბადება ბუდა ბზის ხისაგან, კვაზიმოდო, რომლის სახე ცხვრის თავის ქალისგან არის შექმნილი, დონ კიხოტი - ქვისა და რკინისაგან, აბესალომი და ეთერი მავთულებისაგან, საოცრად დახვეწილი ბალერინები - რომელიღაც ცხოველის ძვლებისაგან, მაგიდის ლამფა - რქით, მოდერნის სტილში და .ა.შ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ავტორი და მისი ქმნილებები*

სპილენძი, როგორც მოგახსენეთ ლევანის სტიქიაა. ალბათ იმიტომ, რომ ეს მასალა მას დროის შეგრძნების გამოხატვის საშუალებას აძლევს: მაგალითად – სპილენძის ბალერინა ან სპილენძის ვარდი – ეს ჩვენს არარომანტიკულ ეპოქაში რომანტიზმის გამოხატვის ყველაზე გამართლებული, სიყალბესმოცილებული საშუალებაა. (მართალია, პრესითა და ტელევიზიით აღარ მორჩა ვარდებზე და სიმბოლოებზე საუბარი და ეს თემა განსაკუთრებით ხელოვნებაში ცოტა არ იყოს და ბანალური და მოყირჭებული ხდება), მაგრამ სპილენძის ვარდის შესახებ რომ ამ დუეტმა ერთი იუმორნარევი ისტორია მიამბო, ვფიქრობ თქვენც დაგაინტერესებთ: ერთი სიტყვით და ორი პასუხით, ნოემბრის მოვლენებით შთაგონებულმა დიზაინერმა სპილენძის ვარდი ჩამოასხა. მეგობრებმა გადაწყვიტეს ის როგორმე მიხეილ სააკაშვილისათვის გადაეცათ საჩუქრად. დღეც შეარჩიეს – 4 იანვარი, პრეზიდენტის არჩევნების დღე. " ჩვენ, ჩვენი ავანგარდული ვარდით მეცნიერებათა აკადემიის შენობაში აღმოვჩნდით, სადაც მომავალი პრეზიდენტი ხმის მისაცემად მისულიყო. მის ირგვლივ დაცვა და უამრავი ტელეკამერა ირეოდა ყველაფერი 15 წამში მოხდა..." – არ აცდიან ერთმანეთს ლაპარაკს და უკვე ფოტოს მიჩვენებენ, სადაც ეს წამებია აღბეჭდილი. ფოტოზე კი დაცვასთან "ჩახუტებული" ვარდის ავტორია ხელში საჩუქრით. მიხეილ სააკაშვილს შესაბამისი გამომეტყველება აქვს (აი, ისეთი, ადამიანი თავის იდენტურ მეორე ადამიანს რომ დაინახავს ან ჩადენილი საქციელი საკუთარ თავს რომ მოაგონებს. თანაც ეტყობა, რომ საჩუქრით კმაყოფილია.) "ამ ვარდს ჩემს სამუშაო მაგიდაზე დავდგამ" – ეუბნება ის ავტორს და გაკვირვებულია, რომ დიზაინერი ჯერ მხოლოდ 21 წლის არის. ბი-ბი-სი და ესპანეთის ტელევიზიის რომელიღაც არხი ამ მომენტს ხელიდან არ უშვებს, ქართული მედია კი თვლის რომ ეს საინტერესო აღარ არის, სააკაშვილსა და მოულოდნელ სტუმარს რკინის ვარდით ხელში ზურგს აქცევს და ქართველი პოლიტიკოსების ეკრანზე უკვე გაცვეთილ სახეებს კიდევ ერთხელ აფიქსირებს.

"თუ ყველაფერი კარგად დასრულდა ბათუმში, მე გავაკეთებ..." – ამბობს წინასწარ ლევანი.

რომელ საგალერეო სივრცეს ან რომელ ნოვატორი ბიზნესმენის ოფისს დაიკავებს 21 წლის მოქანდაკის ნამუშევრები მოდერნის სტილში, ჯერჯერობით უცნობია, მანამდე კი მათი ფოტოები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: www.geocites.com/levanbudjiashvili.

# Slainte – გაგიმარჯოთ!

### დღეს ირლანდიელების დღესასწაულია

*მე, პატრიკი, ცოდვილი, ფრიად უწიგნური ადამიანი, ერთგულთა შორის უკანასკნელი, მრავალთა გულში მხოლოდ ზიზღს ვბადებ...*
*წმინდა პატრიკი, "აღსარება"*

ყოველი ირლანდიელისთვის წმინდა პატრიკის დღე დიდი ეროვნული დღესასწაულია, შობის ტოლფასი. ამ დღეს ერი თავისი წმინდა მფარველის სადიდებლად მხიარულობს.

ითვლება, რომ მეხუთე საუკუნეში ირლანდიელი ხალხი ქრისტიანობას სწორედ წმინდა პატრიკმა აზიარა. ამ დღეს ისინი განსაკუთრებულ, წმიდა პატრიკის სადღეგრძელოს წარმოთქვამენ ხოლმე:

კეთილშობილი დიდგვაროვანი იყო,
ძალით და ეშმაკობით ირლანდიის მიწიდან ყველა გველი განდევნა,
დავლიოთ მისი სადღეგრძელო!
მაგრამ ბევრ სადღეგრძელოს ნუ ვიტყვით,
რომ არ მოვდუნდეთ და არ დაგვავიწყდეს
მამაცი წმინდა პარტიკი,
რომ კვლავ არ მოგვიწიოს იმ გველების დანახვა...


წმინდა პატრიკი

### თქმულებები წმინდა პატრიკის შესახებ

...პატრიკი თექვსმეტი წლისა ყოფილა, როცა ირლანდიაში მონად გაუყიდიათ. ერთ დღეს მას ვიქტორი, ღვთის ანგელოზი, ფრინველის სახით ეჩვენა. ზოგი ამბობს, ანგელოზმა წმინდა პატრიკს გაქცევა უბრძანაო, ზოგ ლეგენდაში კი მოთხრობილია, რომ თავისუფლების საფასურად ბატონმა მას თავად პატრიკის თავის ზომის ოქროს ზოდი მოსთხოვა. მაშინ ანგელოზმა პატრიკს უბრძანა, გარეულ ტახს მისდიეო, და იმან ეშვებით ამოთხარა მიწიდან ზუსტად იმხელა ოქროს ზოდი.

...ქრისტიანობის მქადაგებელ წმინდანს კერპთაყვანისმცემლები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. ირლანდიის დედაქალაქ ტარუში, სააღდგომო ქადაგებისთვის მიმავალ პატრიკსა და მის ამალას ურჯულო მეფე ტყეში ჩაუსაფრდა. მაგრამ პატრიკმა იცოდა მისი მუხანათობის ამბავი, და მთელი გზა ის და მისი თანმხლებნი საგალობელს გალობდნენ, რომელსაც დღეს "წმინდა პატრიკის ფარი" ან "ირმის ვედრება" ჰქვია. ამ ლოცვის შემწეობით ჩასაფრებულმა მტერმა გზაზე წმინდა მამების ნაცვლად ირმების ჯოგი დაინახა.

...წმინდა პატრიკმა ლოცვითა და ღვთის შეწევნით "ზურმუხტის კუნძულიდან" ყველა გველი განდევნა. ირლანდიაში გველები დღესაც არ არიან – წმინდა პატრიკის ლოცვითა და ღვთის შეწევნით.

...ირლანდიელები ქრისტიანობას წმინდა პატრიკმა და ... სამყურამ აზიარეს. სწორედ ამ მცენარის ფოთლების მეშვეობით განუმარტა მათ წმინდანმა წმინდა სამების არსი. დღეს სამყურა ირლანდიის სიმბოლოდ ითვლება.

...კროუ პატრიკის მთაზე ორმოცდღიანი მარხვის დროს უფალი შეწუხდა - არ გარდაიცვალოს პატრიკი და ცხოვრების საქმე დაუმთავრებელი არ დარჩესო. მან მას მარხვის შეწყვეტა სთხოვა, წმინდანმა კი საპასუხოდ სამი პირობა წარუყენა. ამბობენ, უფალი სამივეზე დათანხმდაო. პირობები კი ასეთი იყო: ირლანდიელები თავისუფლები იქნებიან; სამყაროს აღსასრულამდე ქვეყანა შვიდი წლით ადრე წყლით დაიფარება და გადარჩება; და სასტიკ სამსჯავროზე თავის ერს თავად წმინდა პატრიკი განსჯის.

იმ ადგილას, სადაც წმინდა პატრიკი ზიარების მიღების შემდეგ გარდაიცვალა, უამრავმა ფრინველმა მოიყარა თავი, და ყველა მიხვდა, რომ ეს უბრალო ჩიტები კი არა, ანგელოზები იყვნენ – ანგელოზი ვიქტორიც ხომ ფრინველის სახით ეცხადებოდა ხოლმე.

...

მაგრამ მათაც, ვინც არც ირალნდიელია და არც კათოლიკე, შეუძლიათ, მწვანედ შეიმოსნონ (ეს წმინდა პატრიკის, გაზაფხულის შემომტანის საყვარელი ფერია) და 17 მარტი თავისებურად იზეიმონ. სასურველია, ირლანდიულ პაბში ამოჰყოთ თავი, მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა არ გექნათ, ეგეც არაფერია. მთავარია, ბევრი და კარგი ლუდი დალიოთ, ხოლო ირლანდიული სამზარეულოს კერძები მარტივი დასამზადებელიცაა და საკმაოდ გემრიელიც.

### ირლანდიული კარტოფილის სუპი 6 ულუფისთვის

5 დიდი კარტოფილი და ორი დიდი თავი ხახვი გაფცქვენით, დაჭერით და 15 წუთის განმავლობაში კარაქში მოშუშეთ. დაუმატეთ 1,25 ლიტრი წყალი, ოხრახუში, ზაფრანა, მარილი და წიწაკა. ნელ ცეცხლზე ხარშეთ 25 წუთის განმავლობაში. მერე მწვანილი ამოიღეთ, მასა ჩანგლით ათქვიფეთ, დაუმატეთ 300 მილილიტრი რძე და კვლავ აადუღეთ.

ამ სუპ-პიურეს პიტნა უხდება, წვრილად დაკეპილი.

### ირლანდიული რაგუ 4 ულუფისთვის

1 კილოგრამი ცხვრის ხორცი დაჭერით, მოაყარეთ მარილი და პილპილი. დაალაგეთ ღრმა ტაფაზე, მოაყარეთ რგოლებად დაჭრილი 1 თავი ხახვი და დაასხით 600 მილილიტრი წყალი. დაახურეთ თავსახური და ერთი საათით ნელ ცეცხლზე შედგით. მერე დაუმატეთ 5 მთლიანი თავი ხახვი და 1 კილოგრამი კარტოფილი. თუშეთ კიდევ ერთი საათის განმავლობაში.

ეს კერძი სუფრაზე ცხელ-ცხელი უნდა მიიტანოთ.

# ძველი ვენა ანტიკვარიატით გაივსო

ნინო ჭანიშვილი

ვენის Dorotheum-ი მსოფლიოს უძველესი სააუქციონო სახლია. იგი 1707 წელს იმპერატორმა იოსებ I-მა დააარსა. ვენის აუქციონი სახელმწიფო ლომბარდის ფუნქციასაც ასრულებდა. "დოროთეუმი" ძველი მონასტრის ადგილას განთავსდა, 1901 წლისთვის კი აუქციონისათვის ახალი, მდიდრული სასახლე ააგეს დიდი საგამოფენო და სააუქციონო დარბაზებით. აუქციონის გახსნას ფრანც იოსები ესწრებოდა.

დღეისათვის ვენის "დოროთეუმი", ვაჭრობის მოცულობის მიხედვით, მეექვსე თუ მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში. მისი წლიური ბრუნვა 70,5 მილიონ ევროს შეადგენს. ამის შესახებ კომპანიამ სიამაყით განაცხადა 2003 წლის მიწურულს. მიუხედავად იმისა, რომ მონსტრი აუქციონების - "სოთბის" და "კრისტის" წლიური ბრუნვა 2 მილიარდ ევროს აღწევს, "დოროთეუმი" ფარ-ხმალს მაინც არ ყრის. სააუქციონო სახლს ახალი ამბიციური მფლობელები ჰყავს და ბოლო დროს კომპანიამ საერთაშორისო ექსპანსიას მიმართა – ოფისები გახსნა დიუსელდორფსა და მიუნჰენში, აწარმოებს ვაჭრობას პრაღაშიც.

"დოროთეუმმა" 23-26 მარტი "წლის მთავარ სააუქციონო კვირეულად" გამოაცხადა. ამ დღეებში ავსტრიის დედაქალაქში 6 აუქციონი ჩატარდება. "დოროთეუმზე" მყიდველებს, რა თქმა უნდა, უიშვიათესი შედევრები არ დახვდებათ, მაგრამ ექსპერტები კოლექციონერებს ვენაში ჩასვლას მაინც ურჩევენ, რადგან არჩევანი ძალიან დიდია, ლოტების ღირებულება კი ჯერაც არაა ფანტასტიკური. "დოროთეუმი" "ადრეული მაისენის ფაიფურის და დიდი სერვიზების" გაყიდვით დაიწყება. პირველი ევროპული მანუფაქტურების მიერ გამოშვებული ნაწარმის მოპოვება დღეს ძალიან ძნელია, ამიტომ, შესაბამისად, მათი ფასიც საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 1725 წელს დამზადებული ჩაიდანი ფერწერული პეიზაჟით 15-20 ათას ევროდაა შეფასებული.


პიტერ კლასის ნატურმორტი

ანტიკვარულ ფაიფურთან ერთად ვენაში მათი თანამედროვე ასლებიც გაიყიდება. მაგალითად, სერვიზი "დანიის ფლორა". ეს სერვიზი 1790-1802 წლებში კოპენჰაგენის სამეფო მანუფაქტურაში ფრედერიკ IV-ის შეკვეთით დაამზადეს. "დანიის ფლორა" იმპერატრიცა ეკატერინა II-სთვის უნდა ეჩუქებინათ. ამ სერვისზე დატანილი იყო იმ 2 600 სახეობის მცენარის გამოსახულება, რომელიც დანიის სამეფოში ხარობდა. სანამ სერვიზი დამზადდებოდა, ეკატერინა პავლემ შეცვალა, შემდეგ კი ალექსანდრე I გამეფდა. ამიტომ, "დანიის ფლორის" ეკატერინასთვის ჩუქება ველარ მოესწრო და იგი სამუდამოდ დარჩა დანიაში. გასაყიდად გამოიტანენ "დანიის ფლორის" თანამედროვე ასლსაც, რომელიც 120 ნივთისგან შედგება და 1975 წელსაა დამზადებული კოპენჰაგენის ფაიფურის ქარხანაში. მისი ფასი 180 ათასი ევროა. არანაკლები ფასი აქვს ნიმფერბურგის ფაიფურის ქარხნის ნაწარმის თანამედროვე ინტერპრეტაციასაც. სადილის სერვიზის "კუმბერლენდის" ასლი 130-160 ათას ევროდაა შეფასებული.

შემდეგ გაიმართება "ძველი ოსტატების" ვაჭრობა. ბუნებრივია, ლოტებიდან პირველობა ავსტრიელი, გერმანელი და ჰოლანდიელი მხატვრების სურათებს ექნებათ. ყველაზე ძვირადღირებული ნატურმორტი, ხილითა და თევზით, 110-150 ათას ევროდაა შეფასებული. მისი ავტორია პიტერ კლასი. სურათზე მეჩვიდმეტე საუკუნის კლასიკური ნატურმორტების ყველა ატრიბუტია გამოსახული – დრაპირებული ქსოვილი, შეუსმელი ბაკალი, გამოშიგნული თევზეული, გადამწიფებული ხილი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ძვირად გაიყიდება ავსტრიული ბაროკოს ორი მთავარი ოსტატის - იოჰან როტმაირის და პეტერ სტრუდელის სურათები.

ვენაში XVII საუკუნის მძიმე და მასიურ გერმანულ ავეჯთან ერთად ევროპულსაც გამოიტანენ; გაიყიდება ფრანგული, დახვეწილი და "უწონო" ავეჯიც. ამის შემდეგ გოთიკური ქანდაკების ვაჭრობა გაიმართება, სადაც ფასები არც ისე მაღალი იქნება – ტურინგიული მე-15 საუკუნის ხის ქანდაკება "მადონა ჩვილით" სულ რაღაც 50-55 ევროდაა შეფასებული.

"სააუქციონო კვირეული" "ნახატების, ბეჭდური გრაფიკისა და მინიატურების" ვაჭრობით დასრულდება. ამ დღეს მყიდველებს საშუალება ექნებათ, სხვა ცნობილ ოსტატებთან ერთად დიურერის ქსილოგრაფია და ფრანგული როკოკოს წარმომადგენლის, ფრანსუა ბუშეს ნახატები შეიძინონ.

სვეტი

# ქართველი მთამსვლელის ჩანაწერები



ლაშა ბულაძე

თავი I

დიდებული რამაა მთაზე ცოცვა. აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადია, მთამსვლელი ვარ, მაგრამ მაინც ისე ვღელავ მწვერვალის დალაშქვრის დროს, როგორც პირველ ჯერზე.

ამჯერად, დჰარჯახურთხმას ულამაზეს მწვერვალზე მარტოს მომიწია ასვლა. აქედან, როგორც ცნობილია, მთელი ინდოსტანი და ნახევარი აზია ჩანა.

მწვერვალის დასაპყრობად ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი საათი დამჭირდა. ყოველი საათი და წუთი ჩემს დღიურში მაქვს აღნუსხულ-აღწერილი.

აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სპონსორებს, ბობოყვათის გამგებელსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ ლიდერს (რომლის სახელსა და გვარსაც ობიექტური მიზეზების გამო არ ვახმაურებ), რადგან მათი გულითადი დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, როგორც იქ წასვლა, ასევე აქ, თბილისში, პასპორტზე ჩალიჩი, ვიზის ფულის შოვნა, ჯიბისთვისაც ერთი-ორი კაპიკის გადადება და ა.შ.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "24 საათის" რედაქციას, - დიდი მადლობა, ძმებო, რო ჩემი დღიურებით დაინტერესდით. მთას შეგაყვარებთ, მწვერვალებს, ტიბეტს, - თქვენც და, რასაკვირველია, თქვენს მკითხველებსაც.

მთა ხო მთელი სამყაროა... თავისუფლებაა... სულის ზეობაა, როგორც ასეთი.

დილითვე გავიარე ასი მეტრი, რა თქმა უნდა, აღმართ-აღმართ.

ვიცოდი, რაც უფრო მაღლა ავიდოდი, მით ურფრო მიმტყუნებდა მეხსიერება. ამიტომ, ჯიბიდან მობილური ამოვიღე და ვითომ ლაპარაკი დავიწყე (დეპოზიტზე ფული არ მედო), მეთქი, ნინუშკები – ვითომ, ჩემ ცოლს დაველაპარაკე, რა – ბავშვები რას შვრებიან, ზაზუკა ხო არ ცელქობს?!

არ მიშველა. ოთხას მეტრზე ნინუშკები კი არა, მე თვითონ ვინ ვიყავი, ის აღარ მახსოვდა.

სილამაზისა და მშვენიერების აღქმის დროს, ადამიანს მეხსიერება არაფერში ჭირდება. რაში მაინტერესებდა, რომელი სკოლა დავამთავრე, სად შევიტანე საბუთები, რა ერქვათ ჩემ მშობლებს, რამდენი მოსახვევია წყნეთის გზაზე, ვინ იყო თემურ ქორიძე, რატოა ჩვენთან ასე ძვირი თვითმფრინავის ბილეთი, სად გაქრა საბრინა, რატომ ცივა ზამთარში, ვისთვის მაქ ნაგინები და რატო, - აღარ მახსოვდა ეს ყველაფერი და ბედნიერი ვიყავი.

ვუყურებდი თოვლიან მწვერვალებს, ღრუბლებს მათ თავზე და ამაყი ვიყავი, რო ადამიანი ვარ (ეს კი მახსოვდა!).

ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე თოვლში ვიღაცის გაყინული ფილტვი ვიპოვე და შევჭამე, დღესაც არ ვიცი, რატომ. შარშან, ამ დროს, აქ რუსულმა ექსპედიციამ გაიარა და ეტყობა, იმათი ერთ-ერთი წევრის ფილტვი იყო.

ათას რვაასი მეტრის სიმაღლეზე თოვლის კაცს გადავეყარე – ჭაღარა თმა ჰქონდა, ჰალსტუხი ეკეთა და, ყველა ამომიწყდეს, ედიკას ჰგავდა რაღაცით. ღიმილი ჰქონდა იმის პონტში.

ეგეც შევჭამე.

აბა, რა მექნა! მთაში თუ მიდიხარ, უნდა იცოდე - ეგეთი რამეების გაკეთება მოგიწევს. მთა ხო თავისუფლებაა, ვაჟკაცობაა, ბოლო-ბოლო...

ამასობაში, ღრუბლებიდან მზემ გამოაჭყიტა და მწვერვალები ოქროსფრად აალაპლაპა.

მაგარი სანახავი იყო...

სამი ათას მეტრზე მომეჩვენა, რო ხალხი არჩევნებზე არ მიდის. თოვლში დგანან და საარჩევნო ყუთებს კენწლიან. ეს, რა თქმა უნდა, მთის მირაჟი იყო.

მერე თოვლში ვიღაცის ნეკა თითიც ვიპოვე და ზურგჩანთაში ჩავაგდე, რატომლაც ვიფიქრე, რო რამეში დამჭირდებოდა. როგორც კი მეხსიერება დამიბრუნდა, მაშინვე მოვისროლე. ალბათ, ეგ ნეკიც იმ რუსული ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს ეკუთვნოდა. უკვე თბილისში, რუსეთის საელჩოში მივიტანე და იქ ჩავაბარე.

დღის ბოლოს, როგორც იქნა, დავიპყარი ეს შობელმაიორი მწვერვალი. დროშები ბლომად მქონდა: სოციალისტური საქართველოს, ძველის, ახალის... ამჟამად რომელი იყო სახელმწიფო დროშა, აღარ მახსოვდა, ამიტომ სამივე "24 საათის" დროშას გადავაკერე და თოვლში ისე ჩავარჭე.

ზუსტად ამ დროს აღმოვაჩინე, რო ფეხებზე ცერები მომეყინა, უფრო სწორად, ორივე ფეხზე თითო თითი დამაკლდა.

არა უშავს, გავიფიქრე, უცეროდ არავინ მომკვდარა.

იმ დღესვე უკან ჩამოვედი, ბარში. გზაში კიდევ ორი ფილტვი ვიპოვე, რასაკვირველია, ორივე გაყინული.

ვიცოდი, მეორე დღეს სხვა მწვერვალი (ეხლა სახელი არ მახსოვს) უნდა დამეპყრო. ამ ლაშქრობის შესახებ მომდევნო ოთხშაბათს მოგითხრობთ.

რაც მე იქ გაყინული ხალხი ვჭამე!..

ამათმა ახლობლებმა იკითხონ, თორე მე რა?!

# 11-წუთიანი ნახვამდის

შაბათ საღამოს ნიუ იორკის მეტროპოლეტენ ოპერის დარბაზში პუჩინის "ტოსკას" გმირის მარიო კავარადოსის სანახავად 4 ათასი მაყურებელი შეიკრიბა. წარმოდგენის ბოლოს კი იგივე პერსონაჟს ფეხზეწამომდგარი პუბლიკა 11 წუთის განმავლობაში მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა. ტაშს უკრავდა ორკესტრიც და დიდხანს გაისმოდა "ბრავო".

საქმე ის გახლავთ, რომ კავარადოსის როლს იმ საღამოს ლუჩანო პავაროტი ასრულებდა. ეს მეტროპოლიტენის სცენაზე მისი ბოლო გამოსვლა იყო და მაყურებელი ლეგენდარულ ტენორს ამიტომაც ემშვიდობებოდა ასე ემოციურად.


ლუჩანო პავაროტი

პარასკევს გამოქვეყნებულ ინტერვიუში პავაროტიმ განაცხადა, რომ "ტოსკა" მისი ბოლო წარმოდგენა იქნება არა მხოლოდ მეტროპოლიტენის, არამედ, ზოგადად ყველა საოპერო სცენაზე მანამ, სანამ წონაში არ დაიკლებს და სცენაზე სირბილი არ შეეძლება. "და თუ ერთ დღეს ეს მართლაც შევძელი, ვინ იცის, იქნებ სცენიდან არც წავიდე. მართლაცდა, ვინ იცის? სასწაულები ხომ ხდება", - დასძინა პავაროტიმ.

წასვლის შესახებ გადაწყვეტილება კი მას, ალბათ, გაუარესებულმა ჯანმრთელობამ, ხმამ და რამდენიმე მკაცრმა საგაზეთო რეცენზიამაც გაუმყარა. "ნიუ იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ენტონი ტომაზინი თავის წერილში აღნიშნავდა: "ძალიან სევდიანი იყო, ასე დასუსტებული, უენერგიო პავაროტის ხილვა. მას საოცრად დიდი ძალისხმევის გაღება დასჭირდა, ხმა რომ, უბრალოდ, აემუშავებინა, რიტმს და ტემპს კი ყურადღება ველარც მიაქცია".

თუმცა, შაბათს საღამოს პუბლიკა მას გულდასმით და კრიტიკულად მაინც ვერ უსმენდა – იმის გააზრება, რომ სცენაზე მდგარ ლეგენდარულ მომღერალს უკანასკნელად ხედავდნენ, საერთო ეიფორიას ამძაფრებდა და რეალურად ოპერის მოსმენისთვის ველარავინ იცლიდა. ეს სამი წარმოდგენა მეტროპოლიტენში პავაროტიმ იმ გამოსვლების საკომპენსაციოდ გამართა, რომლებიც შარშან მისი შეუძლოდ ყოფნის გამო გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ მეტროპოლიტენში 1968 წლის დებიუტის შემდეგ პავაროტის იქ 370 წარმოდგენა აქვს გამართული და ოცამდე როლი – განსახიერებული. მეტიც, სწორედ ამ საოპერო სახლმა მოუტანა მას საქვეყნო აღიარება. პირველად მაყურებელმა ის 1972 წელს შენიშნა, მეტროპოლიტენის სატელევიზიო გადმოცემით. "მანამდე ქუჩებში ისე დავხეტიალობდი, ვერავინ მცნობდა. მე მაშინ არავინ ვიყავი – ნამდვილი მისტერ არარაობა. მაგრამ სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ ქუჩაში ხალხი მაჩერებდა და მაქებდა. სწორედ მაშინ გავიაზრე პირველად, თუ რა ძალა აქვს ტელევიზიას", - აცხადებს ახლა მომღერალი.

მისი აუდიტორია კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა პლასიდო დომინგოსა და ხოსე კარერასთან ერთად განხორციელებული პროექტების მეშვეობით. სამმა ტენორმა 1990 წელს რომში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე შეკრებილ პუბლიკასაც ასიამოვნა. შემდეგ მსგავსი აქცია მათ კიდევ ორ ჩემპიონატზე გაიმეორეს...

2002 წელს პავაროტიმ განაცხადა, რომ სიმღერას თავს 2005 წლის 12 ოქტომბერს დაანებებს – როცა 70 წელი შეუსრულდება. მანამდე კი აპირებს მსოფლიო ტურნე ჩაატაროს, მუსიკის მასწავლებლობა ითავოს და შედარებით მეტი დრო გაატაროს მეუღლესთან ნიკოლეტასთან და პატარა ქალიშვილთან ერთად.

ფეხბურთი

www.pfl.ge

# სიურპრიზები ქართველ გულშემატკივარს

აკა ტონია

ხვალ საქართველოს ჩემპიონატი განახლდება. ჩემპიონატის მეორე წრის პირველ მატჩებს შორის ცენტრალური თბილისის "დინამოსა" და "ლოკომოტივის" შეხვედრაა. ეს მატჩი იმითაც არის საინტერესო, რომ ეს იქნება "დინამოს" პირველი შეხვედრა თბილისელ გულშემატკივართა მოსკოვში, თანამეგობრობის თასზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

ჰოდა, საქართველოს ჩემპიონატის განახლებასთან და "დინამოს" გამარჯვებასთან დაკავშირებით, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ, ლიგის სპონსორებმა და საფეხბურთო კლუბმა "დინამომ" გულშემატკივარს სიურპრიზები მოუმზადეს.

ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მისულ გულშემატკივარს პროფესიული ლიგის გენერალური სპონსორი "კოკა-კოლა" და სპონსორი "მარსი" საჩუქრებს დაურიგებს. თავის მხრივ, ქომაგებს სიურპრიზებს ჰპირდება თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობა.

ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა პროფესიული ლიგის დაარსებისთანავე პრიორიტეტი მიანიჭა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივრის დაბრუნების საკითხს. მაყურებელთა რიცხვის გაზრდის მიზნით, პროფესიული ლიგა შოუ-პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობას გეგმავს. "დინამო"-"ლოკომოტივის" ხვალინდელი მატჩისთვის დაგეგმილი სიურპრიზები სწორედ ამ პროგრამის ნაწილია. "ხვალინდელი მატჩისთვის დაგეგმილი ღონისძიება, ცხადია, არ იქნება ისეთი მასშტაბური, როგორსაც მომავალში ვგეგმავთ, მაგალითად, 26 მაისს, საქართველოს თასის ფინალისთვის. ხვალინდელი აქცია მომავალისთვის დაგეგმილი ღონისძიებების პატარა რეპეტიცია იქნება. თუმცა, მთავარი ის არის, რომ პროფესიული ლიგა დანაპირებს ასრულებს და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივრის დაბრუნებას ცდილობს", - განაცხადა პროფესიული ლიგის პრეს-ატაშემ პაატა ბურჯალიანმა.

გამარჯვებებს მონატრებულ ქართველ გულშემატკივარს ხვალ იშვიათი შესაძლებლობა მიეცემა, თბილისის "დინამოს" მიერ მოგებული თასი იხილოს. "დინამო" თანამეგობრობის ტურნირზე მოპოვებულ თასს ოფიციალურად წარუდგენს გულშემატკივარს.

სამწუხაროდ, ხვალ არ გაიმართება ბათუმის "დინამოსა" და "სპარტაკის" შეხვედრა. აჭარაში განვითარებული მოვლენების გამო, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ეს მატჩი გაურკვეველი ვადით გადადო.

ასევე გადაიდო საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩი, რომელშიც ბათუმის "ლუკას" საჩხერის "ჩიხურასთვის" უნდა ემასპინძლა. თუმცა, აჭარის წარმომადგენელი კლუბები მთლად უფეხბურთოთ არ დარჩენილან. მაშინ, როდესაც სტუმარ გუნდებს აჭარაში სათამაშოდ ჩასვლის საშუალება არა აქვთ, იქაურ კლუბებს თავისუფლად შეუძლიათ გასვლითი მატჩების ჩატარება. პირველი ლიგის ბინადარმა "ქობულეთმა" გუშინ სამტრედიაში, ადგილობრივ "ლოკომოტივთან" ითამაშა და 4:1 მოუგო.

ჭიდაობა

# ბერძენ-რომაელთა ნაკრები გაშვიდდა

## უპრეცედენტო განაჩენის წყალობით საქართველოს ნაკრები შეივსო

ბიბა ბურასაშვილი

*თურმე, ესეც შესაძლებელი ყოფილა. არადა, ძნელი დასაჯერებელი იყო თუნდაც იოტისოდენა წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ ფაქტია, ეს მოხდა. ამ შემთხვევაში სწორი იქნებოდა გვეთქვა: სამართალმა პური ჭამა. ბერძენ-რომაელი ბადრი ხასაია ოლიმპიელია. ასე რომ, დღემდე სრულად დაუკომპლექტებელი ბერძენ-რომაელთა ნაკრები ათენის ოლიმპიურ ხალიჩაზე სრული შვიდეულით წარდგება.*


გოგიტა ბახტაძის ფოტო

*ხასაია არ დააჩაგვრინეს*

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა. შარშან საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით და ოთხი ლიცენზიით დაბრუნდა. გუნდის სრულად დასაკომპლექტებლად კიდევ სამი საგზური იყო საჭირო. ლიცენზიებისა და საგზურებისთვის წლეულს ორი საკვალიფიკაციო ტურნირი იყო დათქმული. ერთს 28-29 თებერვალს ნოვი სადმა (სერბია და მონტენეგრო) უმასპინძლა, მეორეს 13-14 მარტს - ტაშკენტმა (უზბეკეთი). მოვლენებიც სწორედ უზბეკეთის დედაქალაქში განვითარდა. საქმე აქამდე არც მივიდოდა, რომ არა მუხლის ტრავმა, რომელიც ხასაიამ ნოვი სადში, პირველი ორთაბრძოლისას მიიღო. ის ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ დაშავებული მუხლის გამო დანარჩენებზე უარის თქმა მოუხდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საეჭვო გახდა, საერთოდ შეძლებდა თუ არა ხასაია ტაშკენტის ტურნირში მონაწილეობას. მაგრამ შეძლო. ლიცენზიის მოსაპოვებლად საკმარისი იყო, ნახევარფინალამდე გაეკვალა გზა. ხასაიაც იკვლევდა. მეტოქეებს ერთიმეორის მიყოლებით იშორებდა გზიდან და, ის იყო, ნახევარფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა უნდა მოეგო, რომ მსაჯებმა უსინდისოდ მეტოქეს ჩაუთვალეს მოგება. მერვედფინალურ ორთაბრძოლას ხასაია 2:0 იგებდა, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. ატყდა ერთი დავიდარაბა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა, შეიძლება ითქვას, რკინის ქალამნები ჩაიცვა: მერვედფინალური ორთაბრძოლის ვიდეოჩანაწერი ლოზანაში, შვეიცარიაში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაში აფრინა. ბუნებრივია, საპროტესტო წერილთან ერთად. ერთი შეხედვით, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მხრიდან სამართლის ძიების მცდელობა ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავდა. საქმე ისაა, რომ, ფაქტობრივად, არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ მსაჯებს ვერდიქტი შეეცვალოთ. მაგრამ მოხდა გაუგონარი რამ: ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი ბადრი ხასაია გაამართლა!

ასე რომ, ათენის ოლიმპიურ ხალიჩაზე საქომაგოდ 74 კილოგრამი წონითი კატეგორიაც შეგვემატა.

ტაშკენტურ პერიპეტიებზე ახლა თავად ხასაიასგან შევიტყოთ. ის გუშინ დაბრუნდა თბილისში.

"როცა თბილისში მოვდიოდით, ჯერ კიდევ არაფერი იყო გარკვეული. არ ვიცოდი, რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, რისი იმედი უნდა მქონოდა. თბილისში მე და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია წამოვედით, იქ კი ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი დარჩა. ეს სასიხარულო ამბავი მან შემატყობინა".

**- რაო, რა გითხრა?**

- ყველაფერი კარგადაა. ათენში მიდიხარ. გამონაკლისის სახით ერთი ლიცენზია დაუშვესო.

**- ვისთანაც წაგაგებინეს, ლიცენზია მასაც დაუტოვეს?**

- ჰო, მასაც დაუტოვეს. საერთოდ, როდესაც აპროტესტებ, შედეგის შეცვლა მხოლოდ იმ მომენტში შეიძლება, მაგრამ მსაჯმა ასეთი რამ არ დაუშვა. ამიტომაც, გადაწყდა, რომ სხვა გამოსავალი მოძებნილიყო.

**- იმ ორთაბრძოლაზე რას იტყვი, როგორ წარიმართა?**

- ვიგებდი 2:0, მაგრამ მეტოქემ ისეთი ილეთი გააკეთა, რომ მთელი დატვირთვა დაშავებულ ფეხზე წამოვიდა. ნატკენმა ფეხმა ვერ გაუძლო და სამქულიანზე წავიქეცი, თუმცა, ორქულიანი კონტრილეთის გაკეთება მოვასწარი. რაკი 2:0 ვიგებდი, ანგარიში 4:3 უნდა გამხდარიყო, მაგრამ მსაჯებმა მეტოქეს სამი ქულა ჩაუთვალეს, მე კი ორი ქულა წამართვეს. როგორ არ ეცადნენ ცალკე ბეგი დარჩია, ცალკე გოჩა ძასოხოვი, ანგარიში შეეცვალათ, მაგრამ იმ მომენტში არაფერი გამოვიდა.

**- შენ თუ გსმენია, რომ ოდესმე ამგვარი გადაწყვეტილება მიეღოთ?**

- როგორც გავიგე, ადრე ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩენილა ერთი ძიუდოისტი. სწორედ ამ პრეცედენტის გათვალისწინებით გამოიტანეს დასკვნა ჩემს შემთხვევაშიც.

**- რაკი ყველაფერი კარგად დამთავრდა, ახლა ის გვითხარი, რა მდგომარეობაში გაქვს ფეხი – ათენამდე მოიშუშებ?**

- უნდა ვიმკურნალო. თუ საჭირო გახდა, ოპერაციასაც გავიკეთებ.

ერთი სიტყვით, საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები სრულადაა დაკომპლექტებული:

ირაკლი ჭოჭუა (55კგ), აკაკი ჩაჩუა (60კგ), მანუჩარ კვირკველია (66კგ), ბადრი ხასაია (74კგ), მუხრან ვახტანგაძე (84კგ), რამაზ ნოზაძე (96კგ) და მირიან გიორგაძე (მძიმე წონა).

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 17 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. ფინალი. ."SAN ANTONIO SPURS" - "NEW JERSEY NETS". მე-2 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
18:55 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ყუბანი" – "ტერეკი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "WASHINGTON WIZARDS" – "SACRAMENTO KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. ოვერტაიმი: აიზია ტომასი

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 19:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:40 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ). შესვენებისას (14:00) – პრესცენტრი
15:00 "ჰარმონიის ფორმულა"
15:20 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" - "SAN JOSE SHARKS"
17:30 "NHL – პლუს"
17:45 "ვარსკვლავური სამშაბათი"
18:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
19:30 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ)
21:00 "ათენის გზაზე"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "Power week - NHL-ის კვირა"
23:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" - "SAN JOSE SHARKS"
01:15 ახალი ამბები
01:30 "NHL – პლუს"
01:45 "სპორტის აკვატორია"

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი იაპონიაში
12:30 ფეხბურთი. ევროგოლები
13:30 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
14:15 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
19:30 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
20:15 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
21:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
22:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
22:15 მულტისპორტი
22:30 გოლფი. ევროპული ტური ყატარში
23:00 გოლფი. US PGA ტურნირი
00:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
01:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
02:00 ახალი ამბები
02:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
04:15 ახალი ამბები

ჩოგბურთი

# კალიერის ჭერიც დადგა



*ჰიშამ არაზი ლაბაძის მორიგი "მსხვერპლი" აღმოჩნდა*

ინდიანა-უელსის მასტერსის სერიის ტურნირზე წარმატებულ სვლას აგრძელებს ირაკლი ლაბაძე. ჩვენმა თანამემამულემ ტურნირის მესამე წრეში, ორ სეტში დაამარცხა მაროკოელი ჰიშამ არაზი და მეოთხე წრეში გავიდა, სადაც არგენტინელ აგუსტინ კალიერის შეხვდება. არგენტინელი ინდიანა-უელსში 22-ე ნომრად არის განთესილი. მან მესამე წრეში ესპანელ რაფაელ ნადალს სამ სეტში დააყრევინა ფარ-ხმალი და, უნდა ითქვას, რომ ძალიან გაუჭირდა. გადამწყვეტ სეტში, ტაი-ბრეიკზე, კალიერიმ – 12:10 მოიგო და, რომ არა ნადალის უნებლიე შეცდომები, არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა მატჩი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაბაძე შესანიშნავ ფორმაშია და კარლოს მოიას ძლევის შემდეგ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც არ უნდა ჰქონდეს პრობლემები, სავარაუდოა, რომ ირაკლის არგენტინული ბარიერის დაძლევაც შეუძლია.

დღეის მდგომარეობით ირაკლი ლაბაძე პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში 90-ე ადგილზეა, ჰიშამ არაზი კი 44-ეა, მაგრამ ქართველ ჩოგბურთელს ამ მატჩში იმდენად დიდი ფსიქოლოგიური მუხტი ამოძრავებდა, რომ მას, შეიძლება ითქვას, სერიოზული პრობლემა არც შეჰქმნია – 6:3, 6:3 ლაბაძის სასარგებლოდ. "ეს გამარჯვება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის", - ამბობს ქართველი ჩოგბურთელი და არც გაემტყუნება. მასტერსის სერიის მეოთხე წრეში გასვლა ხომ აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია ირაკლი ლაბაძის სპორტულ კარიერაში, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ, ანდრე აგასის ძლევის შემდეგ, ხმაურიანი გამარჯვება არ მოუპოვებია. ინდიანა-უელსში კი ლაბაძე მეოთხე წრეში გავიდა და თუ აგუსტინ კალიერისაც დაამარცხებს, მისთვის ეს დიდი წარმატება იქნება.

რაც შეეხება გუშინდელ მატჩებს, აქ აღსანიშნავია ამერიკელი ენდი როდიკისა და რუსი მარატ საფინის შეხვედრა. ეს ჩოგბურთელები მანამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე მატჩი რუსის გამარჯვებით დასრულდა. უკანასკნელად საფინმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში სძლია იმ დროისთვის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს. ახლა როდიკი მესამეა, საფინი - 30-ე. ტრავმის გამო მას თითქმის ერთი წელი გაუცდა. და აი, ინდიანა-უელსში როდიკს რევანშის აღების შანსი მიეცა. ამერიკელმა ორ სეტში დაამარცხა მეტოქე – 7:6 (8:6), 6:2. "დიდი სლემის" ტურნირებისა არ იყოს, ინდიანა-უელსის შეჯიბრებაც ორკვირიანია. ქალთა თანრიგში 2,1 მილიონი დოლარი თამაშდება. ვაჟები კი 2 779 600 მილიონი დოლარისთვის იბრძვიან.

ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში გაიმართა, რომელიც საფინმა ტაი-ბრეიკზე წააგო. მოგვიანებით აღიარა კიდეც, რომ ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. "ტაი-ბრეიკს, როგორც წესი, ვიგებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ენდი როდიკს ფატალურად უმართლებდა. მან ზემოდან ისეთი ბურთები დაატრიალა, რომელსაც ცხოვრებაში ველარ ჩააგდებს. სწორედ ამან გამომიყვანა მდგომარეობიდან. საერთოდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ტრავმის შემდეგ პრაქტიკულად აღვიდგინე ძველი კონდიციები. ძალიან კარგად ვთამაშობდი. ბურთს თავგანწირვით ვაწოდებდი. ფიზიკურადაც შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. უბრალოდ, ზოგიერთ გათამაშებაში არ გამიმართლა", – მატჩის შემდეგ განაცხადა მარატ საფინმა.

არადა, საფინი უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა, უკეთესი შედეგი მიეღო. პირველ სეტში მან როდიკის მოწოდება მოიგო და – 3:0 დაწინაურდა, მაგრამ ტემპი ველარ შეინარჩუნა. რუსი ჟურნალისტები ამას აუტანელ სიცხეს აბრალებენ. როდიკმა ანგარიში გაათანაბრა და შემდეგ ტაი-ბრეიკზე მოიგო. მეორე სეტში კი ბრძოლა არ გამოვიდა. საფინი აშკარად დანებდა და – 2:6 წააგო. "ის ავსტრალიაში არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ ახლა აშკარად დაბალ დონეზე ითამაშა", – განაცხადა ენდი როდიკმა.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ტურნირის მე-8 ნომრის, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის მარცხი. მან მეოთხე წრეში არგენტინელ ხუან-იგნასიო ჩელას დაუთმო გზა. ტურნირის პირველმა ნომერმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა უპრობლემოდ დაძლია ჩილელი ფერნანდო გონსალესის ბარიერი.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ირაკლი ლაბაძე (საქართველო) – ჰიშამ არაზი (მაროკო) | 6:3, 6:3 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 25) | 6:3, 6:2 |
| ენდი როდიკი (აშშ, 3) – მარატ საფინი (რუსეთი, 30) | 7:6 (8:6), 6:2 |
| გილიერმო კორია (არგენტინა, 4) – მაქსიმ მირნი (ბელორუსი, 27) | 6:4, 7:5 |
| ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა, 32) – ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 8) | 6:3, 4:6, 6:1 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 9) – ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 6:4, 6:4 |
| მარდი ფიში (აშშ, 18) – ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 16) | 6:3, 6:4 |
| აგუსტინ კალიერი (არგენტინა, 22) – რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 6:4, 3:6, 7:6 (12:10) |
| მიხაილ იუჟნი (რუსეთი) – ლუის ჰორნა (პერუ) | 7:6 (14:12), 6:2 |
| ჯეიმს ბლეიკი (აშშ) – გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 3:6, 6:2, 6:3 |
| ტომი ჰაასი (გერმანია) – ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 23) | 7:6 (7:4), 3:6, 6:3 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) – მარტა მორერო (ესპანეთი) | 6:1, 6:2 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 4) – მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა, 31) | 2:6, 6:4, 6:3 |
| ბარბარა შეტი (ავსტრია) – პაოლა სუარესი (არგენტინა, 8) | 6:3, 6:4 |
| კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 11) – ლიზა რეიმონდი (აშშ, 18) | 6:4, 7:5 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 12) – ალისია მოლიკი (ავსტრალია, 22) | 3:6, 7:6 (8:6), 6:2 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 16) – სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) | 3:6, 6:3, 6:2 |
| ემი ფრეზერი (აშშ, 23) – მარტინა სუხა (სლოვაკეთი) | 6:2, 6:1 |
| ბარბარა სტრიკოვა (ჩეხეთი) – ივეტა ბენესოვა (ჩეხეთი) | 6:1, 6:1 |

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "რეალის" მცველმა ფრანსისკო პავონმა კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. "სამეფო კლუბში" პავონი 2008 წლის ივნისამდე ითამაშებს. წინა კონტრაქტი ფეხბურთელს 2006 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. კონტრაქტი მას შემდეგ გაფორმდა, რაც პავონმა, რომელიც "რეალის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, კლუბის შემადგენლობაში მეასე მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი რონალდო არ ითამაშებს ესპანეთის თასის ფინალში "სარაგოსას" წინააღმდეგ. ის კუნთის ტრავმის შემდეგ ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გამოკეთდა. საუბარია იმ ტრავმაზე, რომლის გამოც რონალდომ გამოტოვა ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩი მიუნხენის "ბაიერნის" წინააღმდეგ. თეორიულად რონალდოს თასის ფინალში თამაში შეუძლია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ გარისკოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი ოლივიე კაპო სეზონის ბოლოს ტურინის "იუვენტუსში" გადაბარგდება. ფეხბურთელმა იტალიურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფრანგული "ოსერის" შემადგენლობას კი, კაპოს გარდა, ჯიბრაილ სისე და ჟან-ალენ ბუმსონგი დატოვებენ. პირველი "ლივერპულში" გადავა, მეორე - "რეინჯერსში".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ნიკოლა ანელკამ ბოდიში მოუხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ ჟაკ სანტინის. "მანჩესტერ სიტის" ფორვარდმა იმედი გამოთქვა, რომ ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება და ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებას შეძლებს. "მივხვდი, რომ მობოდიშება სანტინისა და მთელი ეროვნული ნაკრების წინაშე აუცილებელია, – ამბობს ანელკა, – ჩვენ გარკვეული უთანხმოება გვქონდა, თუმცა, ნაკრებში თამაში ყოველთვის მინდოდა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მიუნხენ 1860-ის" პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი თანამდებობიდან გადადგა. მისი ადგილი მიუნხენურ კლუბში კარლ აუერმა დაიკავა. ვილდმოზერს კორუფციასა და ორი მილიონი ევროს მითვისებაში დასდეს ბრალი. ის დააპატიმრეს, შემდეგ გაათავისუფლეს და სწორედ ამის შემდეგ აღმოაჩინა, რომ კლუბში მუშაობა აღარ უნდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ვალენსიას" მცველმა ამადეო კარბონიმ კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. "ღამურების" შემადგენლობაში ის 2006 წლამდე დარჩება, რის შემდეგაც, 40 წლის ასაკში, სპორტულ კარიერას დაასრულებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პორტსმუთის" მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა კლუბთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. წინა შეთანხმებას 2005 წელს გასდიოდა ვადა. ჯერჯერობით რედნაპის გუნდი პრემიერლიგიდან გასავარდნ ზონაშია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჰერტასა" და "კაიზერსლაუტერნს" – გუნდებს, რომლებიც ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვიან, ძირითადი შემადგენლობის მცველები დააკლდებათ. ბერლინელი დიკ ვან ბურიკი არ ითამაშებს მიუნხენის "ბაიერნის" წინააღმდეგ. მან "ჰამბურგთან" მატჩში წითელი ბარათი მიიღო. ორი მატჩით დისკვალიფიკაცია კი "კაიზერსლაუტერნის" მცველმა ალექსანდრ კნავსმა მიიღო. ის "ჰანოვერთან" შეხვედრაში გააძევეს. კნავსი "ბოხუმთან" და "ჰამბურგთან" არ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მას შემდეგ, რაც რომის "ლაციოს" ხელმძღვანელობამ ზარალის შესახებ გამოაცხადა, მილანის საფონდო ბირჟაზე კლუბის აქციებით ვაჭრობა შეაჩერეს. კომპანია Cirio-ის გაკოტრების შემდეგ, ივლისიდან დეკემბრამდე, ზარალმა 44 პროცენტი შეადგინა (84,04 მილიონი დოლარი). ამას გარდა, ბოლო დროს "ლაციოს" ფეხბურთელებს ფინანსური პოლიციისთვის ჩვენების მიცემა უხდებოდათ, იტალიური კლუბების მიერ საბუღალტრო ანგარიშის დარღვევის შემთხვევების გამო.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ბელგიელი კიმ კლიისტერსის ტრავმა იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ამის გამო ბელგიელმა ინდიანა-უელსის ტურნირი გამოტოვა და, როგორც ჩანს, მაისამდე არც ითამაშებს. ჩოგბურთელის თქმით, ექიმებმა მას 10 დღის განმავლობაში მაჯის დატვირთვა აუკრძალეს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ფილადელფიის" ლიდერმა ალენ აივერსონმა კვლავ გამოტოვა თავისი კლუბის მატჩი, ამჯერად "დეტროიტის" წინააღმდეგ. ამის მიზეზი მუხლის ტრავმა გახდა. მუხლის გამო აივერსონმა ბოლო 4 შეხვედრა უკვე გამოტოვა. როდის ჩადგება აივერსონი მწყობრში, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**კრივი.** ვიტალი კლიჩკოსა და კორი სანდერსს შორის ბრძოლა იქვე გაიმართება, სადაც კლიჩკო და ლუისი შეხვდნენ ერთმანეთს. ბრძოლა 24 აპრილს არის დანიშნული და ის ლას-ვეგასში, Staples Center-ში შედგება. ამის შესახებ ოფიციალურად გუშინ განაცხადეს.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** ოლიმპიური ჩემპიონი 5 000 მეტრ დისტანციაზე სირბილში გაბრიელა საბო ათენში ტიტულს ვერ დაიცავს. რუმინელი სპორტსმენის განცხადებით, ის ძალიან დაიღალა. საბო აპირებს, სპორტისგან 6 თვით დაისვენოს.

---

კალათბურთი

# კალათბურთის პროფი

სანდრო ნავერიანი



ევროპელი ლარი ბიორდი - დეიან ბოდიროგა

რა ზომებს უნდა მიმართო, როდესაც შენი გუნდი აგებს, ხოლო მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთია დარჩენილი? ალბათ, მოედანზე უნდა გამოიყვანო ყველა ის კალათბურთელი, რომლებსაც ლიდერობა შეუძლიათ. უნდა გააძლიერო შეტევითი ხაზი. ფორვარდებმა მოუმზადებლად ფარში არ უნდა ისროლონ, დაცვის ხაზმა კი უფრო მჭიდროდ ითამაშოს. უნდა გამოიყენო ვარჯიშზე ნასწავლი კომბინაციები... მოკლედ რომ ვთქვა, დავალება არცთუ ადვილი შესასრულებელია, მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ არის ადვილი, თუ გუნდში დეიან ბოდიროგა გყავს. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი, რისი გაკეთებაც მოთამაშეს უწევს, ესაა ის, რომ ბურთი ბოდიროგას გადააწოდოს, დანარჩენზე კი თავად იუგოსლაველი იზრუნებს და შეასრულებს კიდეც - ტყუილად ხომ არ შეურქმევიათ მატჩის უკანასკნელი წუთებისთვის "ბოდიროგას დრო". არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი წუთია დარჩენილი მატჩის დასასრულამდე. ბოდიროგა მოატყუებს ერთს, მეორეს, მესამეს, ახტება და ბურთს კალათში ჩადებს. როგორც თავად ამბობს, ეს მისი საქმეა და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ასი პროცენტით ასრულებს ხოლმე.

უკანასკნელი წლების თითქმის არც ერთ მაღალი დონის ტურნირს არ ჩაუვლია ბოდიროგას აქტიური მონაწილეობის გარეშე. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იუგოსლავიის ნაკრები არგენტინასთან მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 8 ქულას აგებდა. არგენტინელებს მსოფლიო თასი გარანტირებული ეგონათ. ეჰ, კარგად არ იცნობდნენ ბოდიროგას, თორემ ამას რა აფიქრებინებდათ? ბოდიროგამ 10 ქულა გააკეთა და მატჩში დამატებითი დრო დაინიშნა. იუგებმა ის თამაში მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. რომ არა დეიან ბოდიროგა, იუგები ვერც 2001 წლის ევროპის ჩემპიონები გახდებოდნენ, ვერც "ბარსელონა" და ვერც "პანათინაიკოსი" გაიმარჯვებდნენ ევროლიგის გადამწყვეტ შეხვედრებში. ბავშვმაც კი იცის: "კალათბურთს ათი კაცი თამაშობს, მაგრამ იგებს ბოდიროგა".

### ბიოგრაფია

დეიან ბოდიროგა დაიბადა 1973 წლის 3 მარტს ბოსნიის პატარა ქალაქ ზრენივაცში. კალათბურთელის კარიერა ახალგაზრდულ გუნდ "პროლეტერში" დაიწყო. უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩი 17 წლის ასაკში ითამაშა. უმაღლესი ლიგის სადებიუტო მატჩი გაერთიანებული იუგოსლავიის ჩემპიონატში, გუნდ "ზადარის" რიგებში ჩაატარა, სადაც საბოლოოდ ორი სეზონი დაყო. ამის შემდეგ, 1992/93, 1993/94 წლების სეზონები იტალიურ "სტეფანელში" (ტრიესტი) გაატარა. 1994/95, 1995/96 წლები მილანის "ოლიმპიაში" ითამაშა. მადრიდის "რეალში" 1996/97 და 1997/98 წლებში თამაშობდა. შემდეგ იყო საბერძნეთის "პანათინაიკოსი", სადაც ბოდიროგამ ოთხი 1998/99-2001/02 წლების სეზონები გაატარა. 2002 წლიდან კი "ბარსელონას" ღირსებას იცავს.

იტალიის ჩემპიონი - 1995/96
იტალიის თასის მფლობელი - 1995/96
საბერძნეთის სამგზის ჩემპიონი - 1998/99-2000/01
ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი - 2002/03
ევროლიგის სამგზის ჩემპიონი - 1999/00, 2001/02, 2002/03
საპორტას თასის მფლობელი - 1996/97
ესპანეთის საუკეთესო მოთამაშე - 1997/98
საბერძნეთის საუკეთესო მოთამაშე - 1998/99 და 1999/00
ორგზის მსოფლიო ჩემპიონი - 1998 და 2002.
სამგზის ევროპის ჩემპიონი - 1995, 1997 და 2001.

### ევროპელი ლარი ბიორდი

მოედანზე დეიან ბოდიროგა თავისი ინტელექტუალური თამაშის მანერით გამოირჩევა. მისი თამაშის სტილი ძალიან ჰგავს ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელის, ლარი ბიორდის თამაშს. არც ლარი ბიორდი ყოფილა სწრაფი და მოქნილი მოთამაშე და არც ბოდიროგაზე შეიძლება ვთქვათ, კატასავით მოხერხებულიაო, მაგრამ, როგორც ლარი ბიორდი, დეიან ბოდიროგაც ასი პროცენტით იყენებს ნიჭს, რომელიც ღმერთმა უბოძა. ბოდიროგა თითქოს კეფიდანაც იხედებაო, ის საკუთარი ხელისგულივით ხედავს მოედანს და ამას, ყოველთვის თუ არა, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში შედეგიანად იყენებს.

როდესაც ბოდიროგა ბურთით ხელში მეტოქის ფარისკენ გარბის, მას უკვე მოფიქრებული აქვს ყველა ვარიანტი რაც შეიძლება იმ სიტუაციაში მოხდეს. ის იმიტომ კი არ არის სხვებისგან გამორჩეული, რომ ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი ან ტექნიკურია. არა, მას, სხვებისგან განსხვავებით, დიდი ნიჭი აქვს და ყველაზე მეტად ტვინით თამაშობს და მერე ხელ-ფეხით. ამიტომაც არის, რომ დეიან ბოდიროგას ხუთივე პოზიციაზე პროფესიონალური თამაშის ჩვენება შეუძლია. ამიტომ არის, რომ მასთან ორთაბრძოლაში უფრო მეტად ჯარიმდებიან, ვიდრე სხვა ნებისმიერ კალათბურთელთან.

### NBA ან Europe

სადაც არ უნდა ეთამაშა, გულშემატკივრები ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ ბოდიროგას. როდესაც გუნდიდან გუნდში გადადიოდა, არასოდეს მოღალატის სახელი არ დაუმსახურებია. გახსოვთ, როდესაც ლუიშ ფიგუ "ბარსადან" "რეალში" გადავიდა? გახსოვთ თუ არა, რომ კატალონიელმა გულშემატკივარმა, რომელსაც სულ რაღაც ერთი კვირით ადრე ფიგუზე პატივსაცემი ადამიანი არ ეგულებოდა, იგივე ფიგუ კინაღამ ერის მტრად შერაცხა? ფიგუს სახლი დაუწვეს, მანქანა აუფეთქეს და, საშუალება რომ ჰქონოდათ, ალბათ, მოკლავდნენ კიდეც. ბოდიროგას ასეთი "იალლიშები" არ მოსვლია. პირიქით, როდესაც "პანათინაიკოსიდან" წავიდა, მის სახლთან უამრავი გულშემატკივარი შეიყარა და მადლობას უხდიდა იმისთვის, რაც მან "პანათინაიკოსისთვის" გააკეთა. ფანების ასეთი სიყვარული ბევრ რამეზე მეტყველებს.

მაგრამ ასეთ სიყვარულს ის ვერ დაიმსახურებდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. რატომ? იმიტომ რომ დეიან ბოდიროგა არ არის ისეთი სწრაფი, როგორც ალენ აივერსონი, მას არ შეუძლია, ვინს კარტერივით შეიჭრას საჯარიმოში და "სლემ-დანქი" გააკეთოს, მას არ შეუძლია, სტივ ფრენსისივით ჩაადრიბლინგოს. მოკლედ, მას არ შეუძლია, შოუმენი იყოს იმიტომ, რომ ის ჩემპიონია და შოუ, სახელად "ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია", მისთვის შექმნილი ლიგა არ არის.

რა თქმა უნდა, ბოდიროგას კარგად ესმის, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სტანდარტები მისი სურვილებიდან ძალიან შორსაა. მას ისიც კარგად ესმის, რომ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლის შემთხვევაში, ახალბედა იქნება და თუ მის პოზიციაზე ვილაც ოცმილიონიანი შავკანიანი არ დახვდა, თუ მწვრთნელმაც გაუგო და გუნდშიც მრავალმილიონიანი კონტრაქტის მქონე კალათბურთელებთან პრობლემები არ შეექმნა, აი, მაშინ კი შეიძლება იქ თამაში, მაგრამ ღირს კი, ის დიდება, რაც მას აქვს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაზე გაცვალოს? ალბათ, არა. როგორც ჩანს, თავადაც ასე ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მას ოკეანის გაღმა გახედვაც კი არ უნდა.

---

ოლიმპიზმი

# ტერორის შიში ოლიმპიადის წინ

ნინო პირველი



ჟაკ როგეს აბსოლუტური უსაფრთხოების დამყარების არ სჯერა

მადრიდში მომხდარმა საშინელმა ტერაქტმა მთელ მსოფლიოში შიში და მოუსვენრობა გამოიწვია. "შემდეგი ჩვენ ვიქნებით!" - ჩვეული თავქარიანობით განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ. იტალიაში დიდი მღელვარებაა. განსაკუთრებით დიდი ქალაქების მცხოვრებლები არიან აფორიაქებულნი. მეტროში ჩასვლის თუ ტრამვაიში ასვლის წინ ყველა მადრიდის ტრაგედიაზე ფიქრობს და არავინ იცის, მშვიდობიანად მიაღწევენ თუ არა სახლამდე ან სამსახურამდე. იტალია ხომ, ესპანეთის მსგავსად, ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭერდა მხარს ერაყის ომში და ჯარისკაცებიც გაგზავნა სადამ ჰუსეინის ექს-სამფლობელოში.

მართალია, საბერძნეთსა და პორტუგალიას ერაყის ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ბოლო დღეებში ორივე ქვეყნის მთავრობა მაინც უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს მიმართავს. არც არის გასაკვირი. ერთგან ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს, მეორეგან კი - ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში. უკეთეს საკბილოს სხვაგან სად ნახავენ სისხლს მოწყურებული ტერორისტები? ამ ხალხისთვის ხომ სულ ერთია, ვის ხოცავენ? მადრიდის ტერაქტმა, ესპანელების გარდა, არაერთი არაბიც შეიწირა, რომლებიც ესპანეთში ცხოვრობდნენ და მატარებლით სამუშაოდ დადიოდნენ. რაკი "ალ ქაიდა" უკვე თავისიანებსაც ხოცავს, სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ ერთ დღეს ოლიმპიური სოფლის აფეთქება ანდა სტადიონზე ბომბის დამონტაჟება მოუვა აზრად. ჰოდა, პოლიციაც ფრთხილობს. საბერძნეთში ყველამ კარგად იცის, რამდენად სახიფათოა ოლიმპიადის მასპინძლობა. ამიტომაც ათენში საპროტესტო დემონსტრაციები ეწყობა. ხალხი ოლიმპიადის წინააღმდეგ ილაშქრებს. რა უცნაურია, არა? საბერძნეთი, სადაც აღმოცენდა ოლიმპიური თამაშები, ტერორისტებმა ისე დააშინეს, რომ აღარც ოლიმპიადა უნდა და აღარც ის შემოსავალი, რასაც ასეთი დიდი ღონისძიების ჩატარების შედეგად მიიღებს. მთავრობა ისეა დაშოკილი, რომ ერთი მუჭა დემონსტრანტების დასაშლელად დამცავი ფარებით, ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით აღჭურვილი პოლიციელების ორი ჯგუფი გამოყო. პოლიციამ ისე იაქტიურა, რომ არა მარტო დემონსტრანტები, არამედ ის ყოვლად უწყინარი ტურისტებიც კი დააკავა, რომლებიც ასე საგულდაგულოდ შეიარაღებული წესრიგის დამცველებისთვის ფოტოების გადაღებას ცდილობდნენ. ათენში მეტროს სამ ხაზზე, რკინიგზის სადგურებზე და აეროპორტში მკაცრი კონტროლია დაწესებული. უშიშროების სამსახურისთვის 820 მილიონი დოლარია გამოყოფილი - სამჯერ მეტი, ვიდრე 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იყო. ამის მიუხედავად, საბერძნეთის მთავრობა მაინც ვერ იძლევა სრული უსაფრთხოების გარანტიას. კვირა საღამოს ათენშიც მოხდა ერთი მინიტერაქტი - "სიტიბანკის" ათენის ფილიალში ბომბი აღმოაჩინეს. საბედნიეროდ, ყველაფერი ტრაგიკული შედეგების გარეშე დასრულდა. აქ "ალ ქაიდა" არაფერ შუაშია - "სიტიბანკის" აფეთქება ადგილობრივ ტერორისტულ ორგანიზაცია "კრისტოს კასიმისს" უნდოდა.

"მე მიუნხენის ოლიმპიადის თაობის წარმომადგენელი ვარ და კარგად ვიცი, რომ აბსოლუტური უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელია", - ამბობს ჟაკ როგე, ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე. 1972 წელს ის კილში იყო და ნიჩბოსანთა ტურნირზე გამოდიოდა, როცა მიუნხენში პალესტინელი ტერორისტები ოლიმპიურ სოფელს თავს დაესხნენ და ათი ადამიანი მოკლეს – ცხრა ებრაელი და ერთი პოლიციელი.

თუმცა, ათენის ოლიმპიადამდე ჯერ ევროპის ჩემპიონატია ფეხბურთში, რომელიც 12 ივნისს უნდა დაიწყოს. პორტუგალიის მთავრობა საგონებელშია ჩავარდნილი. ცნობილი გახდა, რომ პორტუგალიურმა გაზეთმა "კორიერო და მანიამ" უკვე ორჯერ მიიღო გაფრთხილება "ალ ქაიდასგან", რომელიც ევროპის ჩემპიონატს აფეთქებებით ემუქრება. გუშინ სპეციალური შეხვედრა გაიმართა პოლიციას, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებსა და პორტუგალიის მთავრობის ხელმძღვანელ ჟოზე მანუელ დურანო ბაროსოს შორის, სადაც გადაწყდა, რომ ჩემპიონატის დღეებში პოლიცია განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს. განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იქნება აეროპორტები, რკინიგზის სადგურები, ქვეყნის სასაზღვრო ზოლი. მატჩების დროს ვერტმფრენები ზევიდან გააკონტროლებენ სტადიონებსა და მიმდებარე ტერიტორიებს.

პორტუგალიაში უკვე თითქმის ყველა სტადიონი მზად არის და, ამის წყალობით, პორტუგალიელებს შეუძლიათ, მთელი ყურადღება უსაფრთხოების ზომებზე გადაიტანონ. საბერძნეთში კი მშენებლობა ჯერაც არ დასრულებულა. ათენში ჯერ კიდევ დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს და საქმეს ესეც ართულებს -შეუძლებელია ყველა მუშის გაკონტროლება და იმაში დარწმუნება, რომ მუშის მაგივრად ტერორისტი არ შედის სამშენებლო ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ საბერძნეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა ნატოს, გამოყოს ძალები საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო უსაფრთხოებისთვის. საფრთხის თავიდან აცილების ეს გადაჭარბებული ზომები ბევრს არ მოსწონს საბერძნეთში: "ოლიმპიადა დიდი სპორტული ზეიმი უნდა იყოს და არა გრანდიოზული სამხედრო ოპერაცია", - უკმაყოფილებას გამოთქვამს ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი პაულ ანასტაზი. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ მილიტარისტული ოპერაციების გარეშე ოლიმპიადის ჩატარება, ალბათ, შეუძლებელიც კი იქნებოდა.

# გრიგორი ლუჩანსკი - წარმატებული ბიზნესმენი თუ საერთაშორისო დამნაშავე?

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კაცობრიობის განვითარებისათვის უდიდეს დადებით მოვლენას წარმოადგენდა, მას უდავოდ ჰქონდა ისეთი უარყოფითი შედეგიც, რაც კრიმინალის სახელმწიფო სტრუქტურებთან შერწყმაში გამოიხატა. კერძოდ, კომუნისტური რეჟიმისა და ეკონომიკური სისტემის მოშლამ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე გამოიწვია ორგანიზებული დამნაშავეობის სისტემის წარმოშობა და განვითარება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე განვითარებული ორგანიზებული დანაშაული დსთ-ს საზღვრებს უკვე კარგა ხანია, გასცდა და აღმოსავლეთ ევროპაში, ამერიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში (ისრაელის ჩათვლით) გავრცელდა. ამ საშიშმა მოვლენამ კი უდიდესი თავსატეხი გაუჩინა საერთაშორისო ორგანიზაციებს და სპეცსამსახურებს. საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდამ კორუფციის მასშტაბების ზრდასთან ერთად, საერთაშორისო ტერორიზმის არნახულ გავრცელებასაც მისცა ბიძგი. მაფია კი ყველაზე მეტად იმ რეგიონებში იკიდებს ფეხს, სადაც ცენტრალური მთავრობების კონტროლი შესუსტებულია.

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია შეეხება ერთ-ერთ მსხვილ საერთაშორისო კომპანია "ნორდექსს" და მის ხელმძღვანელს გრიგორი ლუჩანსკის. ეს უკანასკნელი რუსეთის ექსმოქალაქეა. თავის დროზე, ვაშინგტონმა აბაშიძის მეგობარი "პერსონა ნონ-გრატად" გამოაცხადა. ამჟამად, ლუჩანსკის ისრაელის მოქალაქის პასპორტი უდევს ჯიბეში, რაც თავად ისრაელის სამართალდმცავების შეშფოთებას იწვევს.

## როგორ დააფუძნა ლუჩანსკიმ კომპანია "ნორდექსი"?

"ნორდექსი" გრიგორი ლუჩანსკიმ ოფიციალურად 1989 წლის 14 დეკემბერს დააარსა. იმ პერიოდში შექმნილმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ, კერძოდ "პერესტროიკის" ეპოქამ და მიხაილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა კომპანიის წარმატებით ფუნქციონირებას. "ნორდექსმა" სწრაფად დაიწყო განვითარება. უმოკლეს დროში მოახდინა მილიარდობით დოლარის აკუმულირება, ხოლო მასში დასაქმებულ პირთა რიცხვმა 8 000 კაცს მიაღწია.

1987 წელს ლუჩანსკი (იმჟამად საშუალო დონის ბიზნესმენი) მუშაობდა ლატვიის სახელმწიფო კომპანია "ადაში"-ში ("Adashi"). კომპანია წარმატებით იყენებდა დასავლურ ტექნოლოგიებს. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას ხორბლის შენახვა წარმოადგენდა. იმ პერიოდში, შენახვისათვის სათანადო პირობების არარსებობის გამო, ხორბლის მოსავლის, დაახლოებით, 30-40 პროცენტი ფუჭდებოდა.

ლუჩანსკის სწრაფი წარმატება ბიზნესში უშუალოდ უკავშირდება გორბაჩოვს, რომელმაც ლატვიაში ყოფნისას კომპანია "ადაში" მოინახულა და ხორბლის შენახვის ახალი მეთოდით დაინტერესდა. ლუჩანსკის ნება დართეს, დაეწყო ამ მეთოდის დანერგვა რუსეთის ტერიტორიაზე.

საინტერესოა, რომ ლუჩანსკიმ 1989 წელს, ყოველგვარი ბიუროკრატიული გართულებების გარეშე, სპეციალური ლიცენზია მიიღო საგარეო ვაჭრობის კომპანიის ჩამოყალიბებისათვის. ასევე საინტერესოა და უცნობია ის ფაქტი, თუ როგორ მოახერხა საშუალო დონის ბიზნესმენმა საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის უშუალო დაინტერესება. ასეა თუ ისე, ლუჩანსკიმ და მისმა პარტნიორებმა წარმატებით გამოიყენეს გორბაჩოვის წყალობით მიღებული ლიცენზია და საქმესაც დაუყოვნებლივ შეუდგნენ. ჭარბი რუსული სასუქი შეიძინეს, გაამდიდრეს და საერთაშორისო ფასთან შედარებით, ძალზე იაფად გაყიდეს საზღვარგარეთ.

ლუჩანსკი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ სასუქების ტრანსპორტირებას ახდენდა ბორნების საშუალებით მდინარეებზე - კამა, ვოლგა და დონი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ტრანსპორტირების ხარჯებს. ისრაელში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის "ვესტის" რედაქტორთან, ედუარდ კუზნეცოვთან ინტერვიუში ლუჩანსკიმ აღნიშნა: **"ეს იყო ბრწყინვალე იდეა. მე მივხვდი, რომ ამგვარი ტრანსპორტირებით შემეძლო 1 ტონა სასუქის 15 აშშ დოლარად გაყიდვა, მაშინ როდესაც 1 ტონის ფასი, დაახლოებით, 90 აშშ დოლარს შეადგენდა."**

"ნორდექსი" ლუჩანსკიმ თავის მეგობარ ჟოზეფ რატაჯისთან ერთად დააფუძნა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჟოზეფ რატაჯი იუგოსლავიის დაზვერვის ყოფილი ოფიცერია. რატაჯიმ კომპანიაში 300 000 აშშ დოლარი დააბანდა.

"ნორდექსი" სწრაფად გაფართოვდა. მისი ზესვლა ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე ხდება.

კომპანიის პირველი წარმატება უკავშირდება რუბლისა და სხვა უცხოურ ვალუტებს შორის გაცვლით მანიპულაციებს. კომპანიის ფილიალები გაიხსნა ვენაში, ციურიხში, ლონდონსა და მოსკოვში. "ნორდექსი" ოფიციალურად რეგისტრირებულია შვეიცარიის ქ. ზუგში, ხოლო მისი ოფისი მდებარეობს ქ. ვენაში, პრინც აუგენის ქუჩაზე.

"ნორდექსის" დაფუძნებაში მონაწილეობდა სამი კომპანია:

INDUSTRIAL FINANCE AND TRADING SA - დაფუძნებულია 1970 წელს, მდებარეობს ციურიხში. ხელმძღვანელი - ჟოზეფ რატაჯი.

DALMEX AG - დაფუძნებულია "ნორდექსის" შექმნამდე 2 თვით ადრე. რეგისტრირებულია შვეიცარიის ქალაქ ზუგში. კომპანიის ადვოკატია მარკ ბრუპაკერი, რომელიც ზედამხედველობას უწევს კომპანიის საქმიანობას.

ADASCHI - ლატვიის აგროსამრეწველო კომპანია. მისი ხელმძღვანელი იყო კაულს ალბერტი, ხოლო მოადგილე გრ. ლუჩანსკი. "ნორდექსის" დაფუძნებიდან 2 კვირის შემდეგ კაულს ალბერტი სამსახურიდან გაათავისუფლეს. როგორც ჩანს, ის გრიგორ ლუჩანსკის უკვე პრობლემებს უქმნიდა.

2-3 წლის შემდეგ "ნორდექსს" შეერწყა უამრავი კონკრეტული მიზნებისათვის შექმნილი კომპანიები, რამაც კომპანია "ნორდექსს" "რვაფეხას" სახე მისცა. ამ გარემოებამ კომპანიის ხელმძღვანელობას გაუადვილა ისეთ უკანონო საქმიანობაში ჩართვა, როგორიცაა ფულის გათეთრება.

## რვაფეხას სტრუქტურა

უცხოელი ექსპერტების განცხადებით, "ნორდექსის" სტრუქტურა ძალზე გართულებულია და ლაბირინთს წააგავს. აშკარაა, რომ კომპანიის აგებულება და დანიშნულება გაურკვეველია და კარდინალურად განსხვავდება ჩვეულებრივი, ლეგალურ ბიზნესში ჩართული კომპანიებისაგან. კომპანია "ნორდექსის" სტრუქტურა სადაზვერვო უწყებას უფრო წააგავს, ვიდრე ჩვეულებრივ კომერციულ ორგანიზაციას. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სპეციალისტების გამოცდილებით, კომპანიების რთული სტრუქტურის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს, საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუშალოს სამართალდამცავ უწყებებს, ამა თუ იმ კომპანიის ირგვლივ გამოძიება აწარმოონ. ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეულ მისამართზე იქმნება კომპანია, რიცხავს ფულს და ამის შემდეგ ან იხურება, ან ქრება. "ნორდექსიც" თავის სტრუქტურით სწორედ ასეთი სახის კომპანიას განეკუთვნება.

## "ნორდექსის" საქმიანობა

"ნორდექსის" ოფიციალურ და დაუფარავ საქმიანობად ითვლებოდა სხვადასხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა დსთ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის. კომპანია კონკურენციას უწევდა საერთაშორისო ვაჭრობის გიგანტებს ნავთობით, ხორბლითა და ლითონებით ვაჭრობის სფეროში.

სხვადასხვა მონაცემების თანახმად, "ნორდექსის" ფინანსური რესურსების ბრუნვა ყოველწლიურად 2,5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. "ნორდექსს" ამჟამად მსოფლიოს 14 ქვეყანაში 70-ზე მეტი შვილობილი კომპანია გააჩნია.

"ნორდექსის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი ლუჩანსკი მსხვილ საწარმოებს ფლობს. საინტერესოა, რომ ამ საწარმოების მოგების შემოწმების დროს საზღვარგარეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა აღმოაჩინეს შემდეგი: მოგებული თანხები აღარ არის ხელახლა დაბანდებული "ნორდექსში," არამედ გადარიცხული და დამალულია ლუჩანსკის პირად საბანკო ანგარიშებზე.

2000 წელს უკრაინაში "ნორდექსის" წარმომადგენელი გახდა ამერიკელი მოქალაქე ვლადიმერ ჩიზიკი.

დღესდღეობით დსთ-ს ტერიტორიაზე "ნორდექსს" გააჩნია მნიშვნელოვანი წილები და პოზიციები 200-ზე მეტ ქარხანაში. მათგან აღსანიშნავია: ურალის სპილენძის საბადო, პერმის ოლქის სასუქების საწარმოო ქარხნები, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები მოსკოვსა და ორენბურგში, მაგნიტოგორსკის ინდუსტრიული კომპლექსი.

2000 წელს "ნორდექსის" მოსკოვის ფილიალი ფეშენბელურ ოფისში დაფუძნდა, რომელიც მდებარეობს წრიულ მაგისტრალზე (MKAD), მეტროსადგურ "ჩისტიე პრუდი"-სთან ახლოს, "ლუკოილის" შენობის უკან.

## "ნორდექსის" ცნობილი ოპერაციები

ერთ-ერთი მთავარი ბიზნეს-ოპერაცია, რომლის შემდეგაც კომპანია "ნორდექსი" საყოველთაოდ ცნობილ ორგანიზაციად იქცა, 1993 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის სანავთობო გარიგება იყო. პოლიტიკური ურთიერთობების გაუარესებამ რუსეთსა და უკრაინას შორის გამოიწვია რუსეთის მიერ უკრაინისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა. ამ პერიოდში "ნორდექსის" ხელმძღვანელმა ლუჩანსკიმ უკრაინის პრეზიდენტ კრავჩუკს შესთავაზა, რომ კომპანია გარანტიას აძლევდა უკრაინისათვის მიეწოდებინა 100 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ნავთობი, ხოლო სანაცვლოდ შაქრის მიწოდებას ითხოვდა. გარიგებას ხელი მოეწერა 1993 წელს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, უკრაინა კომპანიისათვის ვალის გადახდას დღესაც აგრძელებს.

90-იანი წლების დასაწყისში ნორდექსმა 23 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდა უდიდესი მასშტაბის ქარხანა "ურალვაგონში", რომელიც ადრე ტანკებს აწარმოებდა.

"ნორდექსმა" რუსეთისა და უკრაინის მთავრობებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ახალი ტიპის თვითმფრინავ AN-70-ის შექმნის პროექტში. პროექტის მიხედვით, ახალ თვითმფრინავს უნდა შეძლებოდა მოკლე ასაფრენი ბილიკიდან სტარტის აღება თუმცა, 1999 წლის თებერვალში, AN-70-ის პროტოტიპმა კატასტროფა განიცადა და ეკიპაჟის 7 წევრი დაიღუპა, რამაც პროექტის განხორციელება შეაჩერა.

"ნორდექსის" მფლობელობაშია ანტონოვის ტიპის თვითმფრინავი. სწორედ ამ ტიპის თვითმფრინავით 1994 წელს კომპანიამ, სულ ცოტა, 10-ჯერ განახორციელა კონვენციური იარაღის ტრანსპორტირება ჩრდ. კორეიდან ირანში.

ლუჩანსკი აქტიურად მონაწილეობდა ყაზახეთში, ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნის მოდერნიზაციის პროექტში, სადაც მისი პარტნიორი იყო საულ ისენბერგი. მათი პარტნიორობა 1999 წელს დასრულდა, როდესაც ყაზახეთში თავიანთი ბიზნესი მიატოვეს. ამის შემდეგ, ლუჩანსკიმ არსებული კონტაქტები გამოიყენა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინთან და რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის შეფთან კორჟაკოვთან, რამაც მას მოსკოვში ბიზნესის განახლების საშუალება მისცა.

"ნორდექსი" აქტიურად ჩაერთო კომუნიკაციების სფეროში დაგეგმილი პროექტის განხორციელებაში, რომლის მიზანი იყო მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის დაკავშირება ოპტიკური ბოჭკოების გამოყენებით. პროექტის ღირებულება 17 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. კომპანია "Somatel"-მა "ნორდექსს" თავის პროექტში ჩართვის საფასურად 3 მლნ აშშ დოლარი გადაუხადა, თუმცა პროექტის განხორციელების უფლება იაპონიის საკომუნიკაციო კომპანია "NEC"-ს გადაეცა.

## კრიმინალური კავშირები

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 80-იანი წლების დასაწყისში ლუჩანსკი პერმის ოლქში უკანონო ბიზნესს ეწეოდა. კერძოდ, არალეგალურად აწარმოებდა ბეწვეულს და საზღვარგარეთ ყიდდა. სწორედ ამ ბრალდებით დააპატიმრეს 1983 წელს და 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა, მალე ლუჩანსკი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

1995 წლის იანვარში ავსტრიულმა ჟურნალმა "Economic Week" დაბეჭდა გერმანიის სადაზვერვო სამსახურის - BND-ს მასალა, რომლის მიხედვითაც: **"ნორდექსი" დაფუძნდა 80-იანი წლების ბოლოს და მისი შექმნის მიზანს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უცხოური ვალუტით დაფინანსება წარმოადგენდა. მრავალი ფაქტი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნა კომპანია "ნორდექსი" კრიმინალურ ორგანიზაციად."** ამავე ჟურნალში დაიბეჭდა სხვა სტატია, სადაც ნათქვამია: **"ნორდექსის" მფლობელობაში მყოფი ზოგიერთი კომპანია ყოველწლიურად ყვლეფს რუსეთის სახელმწიფოს მრავალი მილიონით მყარ ვალუტაში. ეს კომპანიები, აგრეთვე, მონაწილეობენ ფულის გათეთრების პროცესში და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში. "ნორდექსთან" დაკავშირებული პირები აქტიურად არიან ჩართულნი იარაღის ბიზნესში და ბირთვული ნივთიერებების კონტრაბანდაში აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში."**

"ნორდექსის" კომერციული საქმიანობის გამოძიების დროს აღმოჩენილია ყალბი ანგარიშფაქტურები და მიწოდების დოკუმენტები. კომპანიას მოგებული თანხები უბრუნდება სხვადასხვა არხის გამოყენებით, ანუ ეს თანხები გათეთრების მიზნით ხვდება სხვა კომპანიების ანგარიშებზე. მსხვილი კომერციული გარიგებების უკან დგანან მაფიის ლიდერები: სერგეი მიხაილოვი, ვიქტორ ავერინი და ბორის ბირშტეინი. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელია კომპანია "Seabeco"-ს, რომელიც თანამშრომლობდა "ნორდექსთან" 1991 წელს, ჰუმანიტარული საკვების გახმაურებულ სკანდალში: ამერიკის მთავრობამ მოსკოვის მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტების შეძენის მიზნით 14,5 მლნ აშშ დოლარი გამოყო. ამ თანხიდან 3 მლნ აშშ დოლარი გაურკვეველ ვითარებაში ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრ რუცკოისა და კომპანია "Contitrade"-ის ანგარიშებზე მოხვდა. ეს კომპანია, ფაქტობრივად, "ნორდექსის" ფილიალს წარმოადგენს და მას ჟოზეფ რატაჯი ხელმძღვანელობს.

გავრცელებული ხმების თანახმად, 1995 წლის ნოემბერში ლუჩანსკი მონაწილეობდა დსთ-ს უმსხვილესი კომერციული კომპანიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შეხვედრაში, რომელიც თელ-ავივში გაიმართა. სწორედ ამ შეხვედრაზე უკრაინა გავლენისა და კონტროლის რაიონებად დაიყო.

1995 წლის თებერვალში ლუჩანსკიმ ქ. ეილათში დაბადების დღე გადაიხადა. მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ გავლენიანი ბიზნესმენები დსთ-დან (რომლებიც პრეზიდენტ ელცინის თვითმფრინავით ჩაფრინდნენ), ავსტრიასა და აშშ-დან.

რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლებამ ზომები მიიღო თავისი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ლუჩანსკისა და კომპანია "ნორდექსის" საქმიანობის შესაზღუდად:

- 1994 წელს, კანადის მთავრობამ უარი თქვა ლუჩანსკისათვის ვიზის მიცემაზე, ვიდრე ლუჩანსკი თვითონ არ მიუთითებდა მისი შემოსავლის წყაროებს;

- 1994 წლის დეკემბერში ლუჩანსკიმ სცადა ბრიტანეთში საქმიანობის მოპოვების უფლება. ლუჩანსკი კომპანიის ორ თანამშრომელთან ერთად ჩავიდა ლონდონში, სადაც ის დააპატიმრეს და 6 საათის განმავლობაში ჰიტროუს აეროპორტში დააკავეს. საბოლოოდ, მას ქვეყანაში შესვლაზე უარი უთხრეს და ვენაში დააბრუნეს. პრესის მასალების მიხედვით, ლუჩანსკი ბრიტანეთის ერთ-ერთი ბანკის შეძენას აპირებდა, რათა გაეუმჯობესებინა ნედლეულით ვაჭრობა ყაზახეთიდან;

- 1994 წელს ლუჩანსკის აუკრძალეს ჰონგ-კონგში შესვლა და "ნორდექსთან" დაკავშირებული სამი კომპანიის წინააღმდეგ აღძრეს სარჩელი;

- ლონდონის პოლიცია სამი წლის წინ აწარმოებდა გამოძიებას ლუჩანსკის მიერ ადგილობრივი სამი კომპანიის მეშვეობით ფულის გათეთრების თაობაზე. ჩვენთვის უცნობია, თუ რითი დასრულდა ეს პროცესი.

## იარაღით ვაჭრობა

1994 წლის სექტემბერში შვეიცარიის ჟურნალმა "Cath"-მა "ნორდექსის" ვენის ფილიალის ხელმძღვანელს ისო ლესლინგერს ბრალი დასდო სამხრეთ აფრიკიდან ერაყის ტერიტორიაზე მძიმე წყლის გადატანაში.

1993 წლის ოქტომბერში ლუჩანსკი, აშშ-ში ვიზიტის დროს, პრეზიდენტ ბილ კლინტონს შეხვდა. ლუჩანსკის განცხადებით, მას კლინტონმა სთხოვა, უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკისათვის გადაეცა აშშ-ს მოთხოვნა უკრაინის ბირთვული არსენალის გაუქმების თაობაზე. თეთრი სახლის წარმომადგენლებმა უარყვეს ლუჩანსკის განცხადება;

1995 წელს ავსტრიის პრესაში გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ "ნორდექსთან" დაკავშირებული პირები საერთაშორისო დონეზე აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში აქტიურად მონაწილეობენ იარაღის ბიზნესსა და ბირთვული ნივთიერებებით ვაჭრობაში.

## კავშირები ისრაელთან

არსებული ინფორმაციით, "ნორდექსის" 12 დირექტორიდან ცხრამ, თავად ლუჩანსკის ჩათვლით, უკვე მიიღო ისრაელის მოქალაქეობა. ეს მათ აძლევთ უსაფრთხოების გარანტიას ბიზნესის კეთებისას, თავისუფლად გადაადგილებისას და ისრაელში უძრავი ქონების შეძენისას.

1995 წელს ლუჩანსკის ეკონომიკური მრჩეველი იყო ისრაელის ყოფილი ფინანსთა მინისტრი იცხაკ მოდაი. კომპანიაში მისი წლიური ხელფასი 300 000 აშშ დოლარს შეადგენდა. მართალია, იცხაკ მოდაის (როგორც თავად აცხადებს) "ნორდექსთან" აღარ გააჩნია საქმიანი კავშირები, მაგრამ მისი კომპანიაში მუშაობის ფაქტი აშკარად მიუთითებს ლუჩანსკის შესაძლებლობებზე, დაიქირავოს მაღალი თანამდებობის პირები და მათ სოლიდური ხელფასი გადაუხადოს.

ლუჩანსკის პარტნიორია ბაბლილ მოშე. მათ მფლობელობაშია Eilat Club Hoteli, ისრაელის ქალაქ ეილათში. კომპანიათა სარეგისტრაციო ოფისის მასალების მიხედვით, Eilat Club Hoteli-ის გარკვეულ ნაწილს ფლობს ანონიმური კომპანია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ კომპანიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული იცხაკ მოდაი.

1995 წლის დეკემბერში ისრაელს ეწვია რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. რუსეთის საელჩოში გამართულ მიღებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იმყოფებოდა ლუჩანსკი.

სატელევიზიო ინტერვიუში ლუჩანსკიმ ღიად განაცხადა, რომ ისრაელის ეკონომიკაში სოლიდური თანხების ინვესტირებას და პოლიტიკური გავლენის მოპოვებას აპირებს. ამის მისაღწევად ის აპირებს, დააფინანსოს "ახალი ემიგრანტების პარტია" და ხელი შეუწყოს ამ ორგანიზაციის გამარჯვებას მომავალ არჩევნებში.

## დასკვნა - ლუჩანსკი და აბაშიძე

80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დაიწყო სერიოზული ფიქრი იმპერიის დაშლის შემდეგ გავლენიანი პოზიციების შენარჩუნებაზე. ეს კი, პირველ რიგში, დიდი თანხების აკუმულირებას მოითხოვდა.

საეჭვოა, რომ პატიმრობიდან გათავისუფლებული ლუჩანსკი "ძლიერი ზურგის" გარეშე დაენიშნათ ლატვიის სახელმწიფო კომპანია "ადაში"-ს ხელმძღვანელის მოადგილედ, ხოლო 1989 წელს პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვს, თავისი ინიციატივით, შეეთავაზებინა რუსეთის ტერიტორიაზე კომპანიის ჩამოყალიბება და კომერციული საქმიანობის გაფართოება. არ არის გამორიცხული, რომ გორბაჩოვზე ლუჩანსკი ჩვენთვის უცნობმა, მაგრამ ძლიერმა ჯგუფმა გაიყვანა.

ეს გარემოებები, კომპანია "ნორდექსის" რეკორდული ტემპით განვითარება და ზემოთ მოყვანილი მთელი ინფორმაცია ვარაუდის მყარ საფუძველს იძლევა, რომ ლუჩანსკი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რუსეთის სპეცსამსახურებთან.

რა ინტერესები უნდა გააჩნდეს ლუჩანსკის აჭარაში და თავად აჭარის ლიდერთან? მით უმეტეს, როგორც თავად ასლან აბაშიძე აცხადებდა, ლუჩანსკის აჭარაში არანაირი ინვესტიცია არ დაუბანდებია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ლუჩანსკის ინტერესი აჭარაში მხოლოდ აჭარის ლიდერთან ურთიერთობით შემოიფარგლება. ამ ორი ადამიანის მეგობრობა კი, რასაკვირველია, მხოლოდ ურთიერთმოწონებას არ ემყარება და ამის მიზეზი ის მჭიდრო, საქმიანი თანამშრომლობა უნდა იყოს, რაც კოლოსალური ფინანსური ინტრესებითაა განპირობებული.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული ჯგუფებისა თუ პირთათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება უკონტროლო ტერიტორიებზე გავლენის მოპოვებას და ამ ტერიტორიებზე გაბატონებულ კლანთან მჭიდრო ურთიერთობას. უკონტროლო ტერიტორიას კი საერთაშორისო მაფიები აქტიურად იყენებენ არალეგალური იარაღის და ნარკოტიკების გადაზიდვებისათვის ან შესანახად, რასაც უდიდესი ფინანსური მოგება მოაქვს.

გრიგორი ლუჩანსკის ბრალად ედება იარაღის კონტრაბანდა და ნარკობიზნესში მონაწილეობა. ამ საქმიანობისათვის კი უდავოდ მნიშვნელოვანია ისეთ ტერიტორიაზე გავლენის მოპოვება, რომელსაც ცენტრი ვერ აკონტროლებს.

ერთ-ერთ ასეთ ტერიტორიად, წლების განმავლობაში, ჩამოყალიბდა აჭარა, სადაც ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის დანაშაულებრივი გულგრილობის გამო, ასლან აბაშიძეს ყველაფრის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

ჩვენთვის ცნობილი არ არის აჭარიდან იარაღით ვაჭრობის ფაქტები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იქ განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზას, რომლის საქმიანობაც ასევე დახურულია თბილისისათვის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აჭარას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლუჩანსკის კრიმინალურ საქმიანობაში, კერძოდ კი იარაღის კონტრაბანდაში.

იარაღით ვაჭრობის პარალელურად, საერთაშორისო მაფიოზური კლანების საქმიანობა ნარკობიზნესსაც მოიცავს. თუკი აჭარის ტერიტორიაზე იარაღით ვაჭრობის ფაქტები ჩვენთვის მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება, არავისთვისაა დამალული, რომ ბათუმის პორტი და სარფის საბაჟო საერთაშორისო ნარკოტრაფიკის მნიშვნელოვან წერტილებს წარმოადგენენ. კავკასიაში შემოსული ავღანური ჰეროინი ევროპის ტერიტორიაზე ორი არხით გაედინება: აფხაზეთი და აჭარა. აჭარაში მოხვედრილი ჰეროინის პარტია ასევე ორი გზით მიემართება: ზღვით და ხმელეთით. ამის ერთ-ერთ დადასტურებას 1994 წლის ნოემბერში სარფის საბაჟოდან "უკონტროლოდ" გასული ჰეროინის დიდი პარტიის თურქეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი სპეცსამსახურების მიერ დაკავების ფაქტიც წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ამ ოპერაციაში ლუჩანსკი მონაწილეობდა, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ცენტრის მიერ უკონტროლო აჭარის მნიშვნელობას საერთაშორისო მაფიისათვის. ვინ იცის, კიდევ რამდენი ნარკოოპერაცია განხორციელდა აჭარის ტერიტორიაზე? ვინ იცის, რამდენჯერ და როგორ გაიტანეს აჭარიდან იარაღის უკანონო პარტიები? ცხადია, არავინ, თავად "აჭარის ლომის" და მისი მეგობრების გარდა.

ამჟამად აბაშიძის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი და პარტნიორი გრიგორი ლუჩანსკი ბათუმში იმყოფება. რა უნდა იყოს მისი იქ ჩასვლის მიზანი ადგილობრივი კლანის ბოსის გამხნევების გარდა? თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც აჭარის უკონტროლო ტერიტორიით აქამდე ასტრონომიულ თანხების მოგებას ნახულობდნენ, შეშფოთებულნი არიან ცენტრის მიერ გატარებული პრინციპული პოლიტიკით ამ რეგიონის დაუმორჩილებელი მმართველის მიმართ. მათი შეშფოთების მიზეზი კი ცხადზე უცხადესია: ცენტრის მიერ დაწყებული სახელმწიფოებივი პოლიტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, საერთაშორისო მაფიას აჭარა, როგორც უკონტროლო ტერიტორია, ხელიდან ეცლება.





*გრიგორ ლუჩანსკი ბათუმში, თავისი მეგობრის, ასლან აბაშიძის მხარდასაჭერად ჩავიდა.*

# არაფერი გადამდო!

ფილმში "მისტერ და მისის სმიტი" ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი მკვლელებს თამაშობენ – ეს წყვილი საბოლოოდ ერთმანეთის დახოცვას განიზრახავს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გამოცდილი მსახიობია, გადაღებებს ბოლო არ უჩანდა – ანჯელინამ და ბრედმა ერთმანეთს რაღაც უბედურება გადასდეს.

"დეილი რეკორდი" წერს, რომ ფილმი მრავალ სასიყვარულო სცენას შეიცავს, და ვინაიდან ხან ერთ მსახიობს ჰქონდა სურდო, ხან - მეორეს, ისინი ერთმანეთს განუწყვეტლივ აავადებდნენ. "ახლა კი მთელი გადამღები ჯგუფი ავად გახდა," ერთობა გაზეთი.


ანჯელინა ჯოლი

# ნაომიმ კაცი იპოვნა

ტოლი ტოლს ეძებს, და ეს მხოლოდ ღირსებებს როდი ეხება. პამელა ანდერსონმა ტომი ლი იმის გამო მიატოვა, რომ მან ძალიან ცემა. ნაომი კემპბელი ისტერიულ დედაკაცადაა ცნობილი, და ისიც გამუდმებით ჩხუბობს. აი, ასეთმა ადამიანებმა, როგორც იქნა, ერთმანეთი იპოვნეს.

ფრანგული ინტერნეტ-სამსახური Actustar იუწყება, რომ ისინი მაიამიში შეხვდნენ ერთმანეთს. ჟურნალისტებმა მათი ურთიერთსიმპათია ჯერ წვეულებაზე შენიშნეს, შემდეგ კი წყვილი სასტუმროს ნომერში გაუჩინარდა – მედიას რა გამოეპარება! მართალია, კემპბელს რომ ჰკითხო, ის და ლი მხოლოდ მეგობრები არიან.


ნაომი კემპბელი

# ავსტრალიის განძი

"ცოცხალი ეროვნული საგანძური" – ეს არის წოდება, რომელიც ნიკოლ კიდმანსა და რასელ ქროუს ერთად აღებულ ყველა "ოსკარს" ურჩევნიათ. ამ წოდებას ავსტრალიის ნაციონალური ფონდი გასცემს და წელს ის სწორედ ქროუ-კიდმანის წყვილს გადაეცათ. მათ გარდა, საპატიო ტიტული კრიკეტის მოთამაშე სტივ ვომ, მრბოლელმა ჯონ ლენდიმ და ჩოგბურთელმა პატრიკ რაფტერმა მოიპოვეს. დაჯილდოვდა სულ 15 ადამიანი, რომელთა არსებობა და მოღვაწეობაც ავსტრალიელებს განსაკუთრებით ეამაყებათ.

პირველად ავსტრალიის ნაციონალურმა ფონდმა 100 ცოცხალი ეროვნული საგანძურის ნუსხა 1997 წელს გამოაქვეყნა. მას შემდეგ რამდენიმე პირი გარდაიცვალა და წელს 15 ახალი "განძი" სწორედ სიაში გამოცარიელებული ადგილების შესავსებად დაასახელეს.


რასელ ქროუ

# რას ფიქრობდა კობეინი

1994 წლის აპრილში დატრიალებულ ტრაგედიამდე, ანუ თვითმკვლელობამდე, "ნირვანას" მომღერალი კურტ კობეინი როკ-ჯგუფის დატოვებას აპირებდა. ჟურნალი "ანქათი" წერს, რომ მას თავის ცოლთან, კორტნი ლავთან ერთად სურდა ჯგუფის დაარსება. ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისას ჟურნალი დღემდე უცნობი ინტერვიუების მასალებს ეყრდნობა.

გარდაცვალებამდე რვა თვით ადრე კურტ კობეინს ფრანგი ტელეჟურნალისტისთვის უთქვამს: "დიდი სიამოვნებით დავტოვებ ჩემს ჯგუფს, რადგან მათთან ერთად მუსიკის შექმნისას თავს შებოჭილად ვგრძნობ, ასეთი რამ სხვა დროს არ მომსვლია".


კურტ კობეინი




სკანვორდი



## TV პროგრამა

17 მარტი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** "ტელელიპუცები" **18.20** არჩევნები-2004 **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "დაწყევლილი გზა". მთ. რ-ში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმენი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "ლამაზი მამაკაცი" **11.15** დოკ. ფილმი "მულჰაუზის მომღერლები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **15.15** პარლამენტის არჩევნები **17.15** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ენერგია **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** დოკ. ფილმი "ინტერპოლი" 1-ლი ს. **23.30** მხ. ფილმი "დორიან გრეი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "აგენტი კოდი ბენქსი". მთ.რ-ში ფრენკი მიუნიცი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "უმაღლესი პილოტაჟი" მთ.რ-ში ჯეისონ შვარცმანი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "დეზერტირები" (დინ მარტინი) **23.00** მხ. ფილმი "სახელგანთქმულ ჯენტლმენთა ლიგა" (შონ კონერი)

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" მე-2ს. **20.55** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "ჩრდილოეთის ვარსკვლავი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მილიონერთა ექსპრესი" **13.30** მხ. ფილმი "ვასაბი" **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში 3" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ურჩხული და ლამაზმანი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "წიწილა" **00.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.30, 17.50, 19.40, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ცხოველი" **13.15** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **14.50** ევროპის სტადიონებზე **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ლუდის ბატონები" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ლუდის ბატონები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ქართ. ფილმი "რაჭა ჩემი სიყვარული" **01.00** მხ. ფილმი "მატრიცა".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.30** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** ლარის მახე **14.05** თამაში: უდაბნოს სამჭედლოები **15.15** მხ. ფილმი "მკვლელი მეზობლად" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "მტვრის გემო" **21.30** 26 წუთი უცერემონიოდ **22.45** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **23.40** მხ. ფილმი "მომკალი კიდევ ერთხელ"

### არხი

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სილუეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** ბალეტი **15.15** მხ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია "სახელმწიფოს მეთაური" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "პოზიცია" **14.10** ბოევიკი "ცეცხლის კუნძული" **15.45, 17.45** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ჯიმი ნეიტრონი* გენიალური ბიჭუნა" **18.30** კომედია "კანადური ბეკონი" **20.10** სათავგადასავლო ფილმი "განძეულობა" **21.40, 02.55** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** თრილერი "რეკრუტი" **03.10** დოკუმენტური ფილმი **04.00** კომედია "ცოტა რამ მართას შესახებ"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 11.20, 20.00 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20 Сериал "Секретный фарватер", 2 с. 14.40** "Сканер" **15.10** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Фабрика звезд" **17.50** "Большая стирка" **19.25** Просто смех! **21.00 Детектив "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** Время **23.40** Спецрасследование. "Чужие среди своих" **00.50** Большой взрыв. "Властелины ядерных колец" **01.20** "Формула власти". Президент Республики Швейцария **01.50** Неизвестная планета. "Шокирующая Куба" **02.20 Комедия "Бейскетбол" 04.05 Боевик "Тобрук"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Тайны следствия 3 " 10.50** "Короткое замыкание" **11.50, 14.45, 17.25, 00.50** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50, 23.00 Детектив "Пан или пропал" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени 2. Оптический обман" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Детектив "Пассажир без багажа" 21.50** Спокойной ночи, малыши! **00.00** Вести+ **00.20** "Без галстука". Александр Хлопонин **01.05 Детектив "Меченые" 03.40** Дорожный патруль **03.55** Агентство одиноких сердец **04.20 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал "Рокировка" 11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок: В.Пресняков (старший) - А.Новиков **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Не забудь... Станция Луговая" 15.15** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** Протокол **20.40 Сериал "Таксист". 11 с. 21.50 Сериал "Рокировка". 3 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.45 Сериал "Без следа: Победа человечности" 00.50 Сериал "Таксист"**

# ფრანგი მუსიკოსები პოპულარული ვაშლის წინააღმდეგ




მუსიკოსთა უფლებების დამცველი ფრანგული ორგანიზაცია Sacem (მუსიკის შემქნელების, კომპოზიტორების და გამომცემლების ასოციაცია) კომპანია Apple-ს სასამართლოში უჩივლებს, თუკი ეს უკანასკნელი გადასახადებს არ დაფარავს. ფრანგული კანონმდებლობა მუსიკალური პროდუქციის გამავრცელებლებს ავალდებულებს გარკვეული თანხა აღნიშნულ ასოციაციას გადაუხადონ. სხვა შემთხვევაში, არავინ იზრუნებს ამ პროდუქციის მეკობრული ასლების წინააღმდეგ.

საფრანგეთის მუსიკოსთა ასოციაციის წევრები უკმაყოფილონი არიან იმითაც, რომ Apple არ იხდის გადასახადს iPod-ის პორტატული ფლეირების წარმოებისთვისაც. ამ ფლეირის ვინჩესტერის ტევადობა 40 გიგაბაიტია, რაც 10 ათასამდე ჩანაწერის შენახვის საშუალებას იძლევა. თითო ფლეირის ფასი 550 ევროა, აქედან საავტორო უფლებათა ასოციაციას 20 ევრო უნდა გადაერიცხოს. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მიმდინარე წელს საფრანგეთში iPod-ის 20 ათასამდე ფლეირი გაიყიდა. თუკი უახლოეს ხანში დავალიანება არ დაიფარება, ასოციაცია Apple-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

2003 წელს კორპორაციის დავალიანება ფრანგული ორგანიზაციის მიმართ 150 მილიონი ევრო იყო. საგულისხმოა, რომ ამასთან დაკავშირებით, Apple-ის წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ.

# რეკლამა ცაზე



სულ მალე სიგარეტსა და გამაგრილებელ სასმელებს რეკლამირებას ციური სხეულებიც გაუწევენ. რუსმა მეცნიერმა ალექსანდრე ლავრენოვმა რეკლამის კოსმოსში განთავსების მექანიზმი შეიმუშავა. "კოსმოსის კომერციალიზაცია, ეს ნიშნავს სოლიდური ტერიტორიის დაპყრობასა და მომხმარებელთა კოლოსალურ რაოდენობას", - ამბობს მეცნიერი. იდეის მიხედვით, სხვადასხვა დევიზის, სარეკლამო ტექსტისა და საფირმო ნიშნის განთავსება კოსმიურ სივრცეში თანამგზავრთა გარკვეული რაოდენობის დახმარებით იქნება შესაძლებელი. ამასთან ერთად, ეს იქნება კარგი საშუალება, რომ ღამით ცაზე სატელიტები დავინახოთ, რასაც ხელს შეუწყობს აპარატში დამონტაჟებული მზის სხივების რეფლექტორები. ალექსანდრე ლავრენოვი აცხადებს, რომ დედამიწიდან ადამიანები რეკლამას უკეთ დაინახავენ, ვიდრე ვარსკვლავებს.

# "მაიკროსოფტმა" შეცდომა გამოასწორა

Microsoft Outlook 2002-ში სუსტი წერტილი იპოვეს. კომპანია "მაიკროსოფტის" პოპულარულ პროგრამა-ორგანაიზერს – Outlook-ს კრიტიკული შეცდომა აღმოაჩნდა. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, პროგრამის აღნიშნულ ვერსიას არ აქვს დამცავი საშუალება და საფრთხეს უქმნის პროგრამის მფლობელებს, რადგანაც ბოროტმომხმარებელს თავისუფლად შეუძლია ამ პროგრამის დახმარებით ნებისმიერ კომპიუტერზე კონტროლი. აღსანიშნავია, რომ "მაიკროსოფტმა" შეცდომა გამოასწორა და უკვე გამოუშვა განახლებული Outlook, რომელიც დაინტერესებულმა მომხმარებელმა უნდა გადატვირთოს ვებ-საიტიდან - Windows Update.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"

წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

*22, 29 მარტი*
*5, 12,19, 26 აპრილი*
"თავისუფალი თეატრი"

*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



**ბრიტანული სამედიცინო - ფარმაცევტული კომპანია "გლაქსოსმიტკლაინის" წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე ქ. თბილისში.**

**მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**
- ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (ძველი საბჭოური სტილის);
- ავტობიოგრაფია ინგლისურ ენაზე (ე.წ. CIVI);
- უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი 3X4;

საბუთების მიღება წარმოებს 2004 წლის 26 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:
**ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 54**
**ტელ: 25-08-14; 25-24-92**

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

თავისუფლად კონვერტირებადი
მაგისტრის დიპლომი კიევში
EERC M.A. PROGRAM IN ECONOMICS

ეროვნული უნივერსიტეტი ...
სტუდენტებისთვის საქართველოდან უფასო განათლება
ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით

ჩვენი განათლება ეს არის
ეკონომიკის სწავლების საერთაშორისო სტანდარტები
სპეციალიზაცია-FINANCE, STRATEGY, CONSUMER BEHAVIOUR, MODERN THEORY OF INDUSTRY/FIRM и ECONOMIC THEORY

ეკონომიკის მსოფლიო რესურსები
პროფესორები დასავლეთიდან

სწავლება ინგლისურ ენაზე
უნიკალური ანალიტიკური უნარ-ჩვევები

შესანიშნავი შანსები კარიერული წინსვლისთვის
საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის საშუალება

მაღალი კლასის ტექნიკური უზრუნველყოფა
უფასო საერთო საცხოვრებელი და ღირსეული სტიპენდიები

**Internet: http://www.eerc.kiev.ua**
тел.: (38-044) 239-2494
e-mail: eerc@eerc.kiev.ua

ამერიკული აკადემია თბილისში
აცხადებს კონკურსს

ქართულის, ხელოვნების, მუსიკის და რელიგიის მასწავლებლის თანამდებობაზე 2004-2005 სასწავლო წლისთვის. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ CV, ორი რეკომენდაცია და მოტივაციის წერილი, სადაც ახსნილი იქნება, თუ რატომ სურთ აკადემიაში მუშაობა. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ინგლისურს, კომპიუტერს და აქვთ სკოლაში მუშაობის გამოცდილება. განაცხადის ფორმისთვის მოგვმართეთ მისამართზე: ჭავჭავაძის 37ა. ტელ: 227441; 227889 საბუთები მიიღება 1 აპრილამდე.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო
ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61







# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.